

**საქართველოს საკონსისტიუციო  
სასამართლოს 2020 წლის ანგარიში**



## სარჩევი

<b>შესავალი .....</b>	<b>5</b>
<b>1. პრაქტიკის მიმოხილვა .....</b>	<b>7</b>
1.1. განმცენიგებელი სხდომის ეტაპზე მიღებული აქტები .....	7
<b>1.1.1. კონსტიტუციური სარჩევის/წარდგინების დასაბუთებულობის მოთხოვნა .....</b>	<b>7</b>
<b>1.1.2. კონსტიტუციური სარჩევის წარდგენა უფლებამოსილი სუბიექტის მიერ .....</b>	<b>17</b>
<b>1.1.3. საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობა .....</b>	<b>20</b>
<b>1.1.4. კონსტიტუციურ სარჩევში ან კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებული ყველა სადაც საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ .....</b>	<b>24</b>
<b>1.1.5. სუბსიდიურობა .....</b>	<b>25</b>
1.2. გადაწყვეტილების დამდევი წორები .....	26
1.3. გადაწყვეტილებები .....	29
<b>1.3.1. პლენუმი .....</b>	<b>29</b>
<b>1.3.2. პირველი კოლეგია .....</b>	<b>42</b>
<b>1.3.3. მეორე კოლეგია .....</b>	<b>49</b>
<b>2. საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა ღონისძიებები .....</b>	<b>62</b>
2.1. საქართო კომუნიკაცია და საგამომცემლო საქმიანობა .....	62
<b>2.1.1. სამართალწარმოების ელექტრონული პორტალი .....</b>	<b>62</b>
<b>2.1.2. „საკონსტიტუციო სამართლის უურნალის“ გამოცემები .....</b>	<b>62</b>
2.2. საერთაშორისო ურთიერთობები .....	64
<b>2.2.1. სასამართლოს თავმჯდომარის/წევრების მიერ 2020 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ვიზიტები .....</b>	<b>64</b>
<b>2.2.2. საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა .....</b>	<b>66</b>
<b>2.2.3. ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ თანადაფინანსებული პროექტის „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ .....</b>	<b>67</b>
<b>2.2.4. ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენცია .....</b>	<b>68</b>

<b>3. კონსტიტუციური პარონიარების გამოტკიცვის მიზანები</b>	<b>70</b>
3.1. 2020 წლის დადგენილი კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტები.....	70
3.2. ახალი კორონავირუსის აანცემით გამოვლენილი რიგი შეზღუდვების პირობებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ეფექტური ფუნქციონირებისთვის გადადგმული ნაბიჯები.....	78
3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა განცხება და სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა.....	79
<b>4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაცევატილებების აღსრულება და გადაცევატილებებით დადგენილი სტადეარტების იმპლემენტაცია.....</b>	<b>81</b>
4.1. სადაცო ნორმის ძალადაკარგულად ცნობის გადავადება.....	81
<b>4.1.1. საქმეები, რომლებზეც საკანონმდებლო ცვლილებები არ მიღებულა .</b>	<b>82</b>
<b>4.1.2. საქმეები, რომლებზეც საკანონმდებლო ცვლილებები მიღებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის ამონტურვის შემდეგ .....</b>	<b>84</b>
<b>4.1.3. საქმეები, რომლებზეც უფლებამოსილმა ორგანოებმა საკითხი მოაწესრიგეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში და საქმეები, რომლებზეც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ ამონტურულა .....</b>	<b>85</b>
<b>5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის საქმიანობის სტატისტიკური მიმოხილვა .....</b>	<b>87</b>

## შესავალი

დემოკრატიული, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებისკენ სწრაფვა არის ის ძირითადი იდეა, რომელსაც ეფუძნება საქართველოს კონსტიტუცია და მის ძირითად საყრდენს წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, ხელისუფლების განხორციელებისას პატივი სცეს და გაუმართლებლად არ შეზღუდოს ადამიანის უფლებები, უზრუნველყოს მათი თავისუფალი რეალიზაციის შესაძლებლობა. ბუნებრივია, ამ ღირებულებათა სრულყოფილი რეალიზაცია მხოლოდ კონსტიტუციის უზენაესობის დაცვით, მასში გამოხატული პრინციპების ერთგულებით მიიღწევა. კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა ხელისუფლების თითოეული შტოს უპირობო ვალდებულებაა, თუმცა ამ პროცესში განსაკუთრებული როლი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აკისრია, რომელიც, კონსტიტუციური კონტროლის გზით, უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტურ დაცვას.

დღესდღეობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ძირითადი ნაწილი მიმართულია ფიზიკური და იურიდიული პირების, აგრეთვე, საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელების საფუძველზე, ნორმატიული აქტების კონსტიტუციური კონტროლის შემოწმებისკენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვას საფუძვლად უდევს ინდივიდუალური პირის კონსტიტუციური სარჩელი, ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებაზე ან მის ნაწილზე. ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თითოეული საქმის ფარგლებში მოცემული განმარტებები და არგუმენტაცია შესაძლოა მიუთითებდეს კანონმდებლობის დახვენის და მასში განსახორციელებელი ცვლილებების აუცილებლობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისა და მისი პრაქტიკის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მიეწოდოს როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისე - საზოგადოების დაინტერესებულ წევრებს.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე წელინადში ერთხელ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს წარუდგენს ინფორმაციას საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების შესახებ. წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2020 წელს განხორციელებული საქმიანობის შეჯამებას. კერძოდ, მასში წარმოდგენილია გასული წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური კონტროლის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა, პრაქტიკაში წარმომობილი სიახლეები თუ სირთულეები, აგრეთვე ყველა ის ინფორმაცია, რომლის თაობაზეც მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება.

გასული წლის განმავლობაში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას და გამოწვევას წარმოადგენდა ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული არაერთი სირთულე, რომელმაც ბუნებრივია, აგრეთვე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვასთან დაკავშირებული სხვადასხვა პროცესების კლასიკური მეთოდით წარმართვაზე. პანდემიამ და მისი პრევენციისთვის დაწესებულმა სხვადასხვა სახის შეზღუდვებმა ყველაზე მეტად გავლენა იქონია სასამართლოში საქმის განხილვის ტრადიციული, ზეპირი ფორმით სასამართლოს სხდომის დარბაზში წარმართვის პროცესზე. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გასულ წელს გადავიდა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით საქმის განხილვის სხდომების დის-

ტანციურ რეჟიმზე. ამასთან, თითოეული ამ მეთოდით ჩატარებული ზეპირი განხილვის სხდომა, პირდაპირი ტრანსლირებით გადაიცემა ონლაინ, საკონსტიტუციო სასამართლოს youtube არხის საშუალებით და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს გააჩნია მასზე წვდომა.

ნინამდებარე დოკუმენტი შედგება 5 თავისგან. I თავი შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის პრაქტიკის მიმოხილვას. დოკუმენტის ამ ნაწილში დეტალურად არის განხილული კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დასაბუთებულობის მოთხოვნები და მათი არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, ასევე განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე გამოვლენილი აქტუალური პრობლემები. I თავში აგრეთვე მოცემულია საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის ყველა გადაწყვეტილებისა და გადაწყვეტილების დამძლევ ნორმებთან დაკავშირებით მიღებული განჩინებების მოკლე მიმოხილვა.

დოკუმენტის II თავი შეიცავს ინფორმაციას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გასული წლის განმავლობაში განხორციელებული საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ. III თავი ეთმობა 2020 წელს ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი მიმართულებების მიმოხილვას. IV თავში განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისა და გადაწყვეტილებებით დადგენილი კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტების იმპლემენტაციის საკითხი. დაბოლოს, ნინამდებარე დოკუმენტის V თავში წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები 2020 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრირებული სარჩელების, სასამართლოს მიერ განხილული საქმეების, მიღებული აქტებისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების სხვა აქტუალური საკითხების შესახებ.

დოკუმენტი, მასში წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე, პრაქტიკული მნიშვნელობის იქნება არა მხოლოდ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, არამედ მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის მსურველ პირებს, მედიის წარმომადგენლებს, აკადემიურ წრეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სტუდენტებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობით დაინტერესებულ სხვა პირებს.

# 1. პრაქტიკის მიმოხილვა

## 1.1. განმეორიგებელი სხდომის ეფაზე მიღებული აქტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკავიდრებული პრაქტიკის მიხედვით, კონსტიტუციური სარჩელი/წარდგინება არსებითად განსახილველად არ მიიღება, თუ იგი არ აქმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს, მაგალითად, დაუსაბუთებელია, შემოტანილია არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ, საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს სადაცვო საკითხზე მსჯელობის კომპეტენცია, დარღვეულია სუბსიდიურობის მოთხოვნა და სხვა. განმნესრიგებელი სხდომის ეტაპზე ხდება აღნიშნული მოთხოვნების დარღვევით წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელების/წარდგინებების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმა, რაც იცავს სასამართლოს უსაფუძვლო/დაუსაბუთებელი კონსტიტუციური სარჩელების/წარდგინებებისაგან და ემსახურება ეფექტური საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას. ამრიგად, მნიშვნელოვანია საზოგადოების, მათ შორის, პოტენციური მოსარჩელეების ინფორმირება კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად არმიღების საფუძვლებთან დაკავშირებით, რათა მათვის ცხადი და მარტივად იდენტიფიცირებადი იყოს ყველა ის გარემოება, რომელმაც შეიძლება წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმა გამოიწვიოს.

### 1.1.1. კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დასაბუთებულობის მოთხოვნა

კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების წინაპირობებიდან მნიშვნელოვანია გამოიყოს დასაბუთებულობის მოთხოვნა, რომელიც რამდენიმე კრიტერიუმისაგან შედგება. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი/წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს. შესაბამისად, კონსტიტუციურ სარჩელში/წარდგინებაში მოსარჩელემ/წარდგინების ავტორმა უნდა მოიყვანოს ის მტკიცებულებანი, რომელიც, მათი აზრით, ადასტურებენ კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების საფუძვლიანობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებისათვის აუცილებელია, სხვა მოთხოვნებთან ერთად, დაკავშირებული იყოს ორი მოთხოვნა: ა) დასაბუთება შინაარსობრივად შეეხებოდეს სადაცვო ნორმას და ბ) დასაბუთებული იყოს შინაარსობრივი მიმართება სადაცვო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებას შორის, რომელთან დაკავშირებითაც არის მოთხოვნილი სადაცვო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა.

ა) დასაბუთება შინაარსობრივად არ შეეხება სადაცვო ნორმას

კონსტიტუციური სარჩელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსარჩელის მიერ სადაცვო ნორმის შინაარსის სწორად აღქმა. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს და შეაფასოს ნორმატიული აქტის მხოლოდ რეალური შინაარსის კონსტიტუციურობა. შესაბამისად, აუცილებელია მოსარჩელე სწორად აღიქვამდეს გასაჩივრებული ნორმის შინაარსს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსარჩელეთა მხრიდან სადაცვო ნორმის შინაარსის არასწორი აღქმა კვლავაც რჩება აქტუალურ პრობლემად. ქვემოთ განხილულია კონკრეტული კონსტიტუციური სარჩელები, რომელიც არსებითად განსახილველად არ იქნა მიღებული სწორედ სენებული პრობლემის გამო.

მაგალითად, საქმეზე „ედუარდ მარიკაშვილი და გიორგი ჩიტიძე საქართველოს

პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1515)<sup>1</sup> მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა, მათ შორის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების მე-11 მუხლის მე-12 პუნქტის კონსტიტუციურობას. სადავო ნორმის თანახმად, ფიზიკური პირის იზოლაციის (კარანტინი, თვითიზოლაცია) შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური წერილობით ან ზეპირად. გადაწყვეტილების ზეპირად მიღების შემთხვევაში, არა უმეტეს 5 დღისა, გადაწყვეტილების მიმღები პირის მიერ ხდებოდა ამ გადაწყვეტილების წერილობითი სახით გაფორმება.

მოსარჩელე მხარე სადავო ნორის არაკონსტიტუციურობის წარმოსაჩენად, ერთი მხრივ, მიუთითებდა, რომ პრობლემური იყო აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირება, ხოლო, მეორე მხრივ, აპელირებდა იმ ფაქტზე, რომ პირის კარანტინში/იზოლაციაში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები სასამართლო კონტროლის გარეშე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმა განსაზღვრავდა, თუ რა ფორმით და პროცედურით მიიღებოდა გადაწყვეტილება პირის იზოლაციაში/კარანტინში მოთავსების შესახებ. გასაჩივრებული ნორმა არ შეიცავდა რაიმე რეგულაციას პირის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე. გარდა ამისა, პირის კარანტინში/იზოლაციაში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტთა წრე განისაზღვრებოდა კანონმდებლობის სხვა ნორმებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარეს არასწორად ესმოდა დასახელებული ნორმის შინაარსი, შესაბამისად სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

საქმეზე „„შპს ტრანსკავკასიის კრისტალი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1433)<sup>2</sup> მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა, მათ შორის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 55-ე მუხლის პირველი პუნქტის და 61-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. მოსარჩელის მტკიცებით, სადავო ნორმები გამორიცხავდა აღმასრულებლის ვალდებულებას, მოვალის საკუთრებაში რამდენიმე ქონების არსებობის შემთხვევაში, უპირველესად ყადაღა დაედო და იძულებით აუქციონზე სარეალიზაციოდ გაეტანა კრედიტორის მოთხოვნის პროპორციული ლირებულების ქონება, ხოლო, შესაძლებლობის შემთხვევაში, ერთი საკადასტრო კოდის ქვეშ მოქცეული უძრავი ნივთი დაეყო ნაწილებად/ლოგტებად, რათა იძულებით აუქციონზე მოეხდინა მოთხოვნის პროპორციული წილის რეალიზება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლი ადგენდა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ყადაღადადებული მოძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმას, 55-ე მუხლის პირველი პუნქტი და 61-ე მუხლი კი განსაზღვრავდა, შესაბამისად, აღსრულებას დაქვემდებარებული მოთხოვნების და უძრავი ქონების სახეობების ჩამონათვალს. მაშასადამე, სადავო ნორმებით არ იყო დარეგულირებული ის საკითხი, თუ რა მოცულობითა და თანმიმდევრობით უნდა მომხდარიყო საჯარო აუქციონზე მოვალის უძრავი ქონების გატანა აღმასრულებლის მიერ. ისევე, როგორც სადავო ნორმები არ ადგენდა ქონების დაყადალების/

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის №1/12/1515 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ედუარდ მარიკაშვილი და გიორგი ჩიტიძე საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/8/1433 განჩინება საქმეზე „„შპს ტრანსკავკასიის კრისტალი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

რეალიზაციის სამართლებრივ საფუძველს. აქედან გამომდინარე, მოსარჩევე მხარის მოთხოვნა სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში ემყარებოდა სადაც ნორმების შინაარსის არასწორ აღქმას.

აღნიშნულ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ ვინაიდან მოსარჩელის პიზიციით საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას იწვევდა ქონების აუქციონზე რეალიზაციისას აღმასრულებლის მიმართ გარკვეული ვალ-დებულებების არარსებობა, ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელეს უნდა მოეთხოვა იმ ნორ-მის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც აღსრულების ეროვნული ბიუროს ამგვარ ვალდებულებებს ექსპლიციტურად გამორიცხავდა, ხოლო, მსგავსი სპეციალური ნორმის არარსებობის შემთხვევაში, მოსარჩელე მხარეს უნდა გაესაჩივრებინა კანონის ის დებუ-ლება, რომელიც ადგენდა უფლების შეზღუდვის საფუძველს, მოცემულ შემთხვევაში, აღმასრულებლის ზოგად უფლებამოსილებას, გაეყიდა მოვალის ქონება.

### ა.ა) ნორმატიული აქტის კონკრეტული გრამატიკული ერთეულის გასაჩივრება

წინამდებარე დოკუმენტის პრაქტიკული დანიშნულების გათვალისწინებით, საკონ-სტიტუციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი სასარ-ჩელო მოთხოვნის დასაბუთებასთან გამოკვეთილ ისეთ პრობლემურ ასპექტს, რომელიც უკავშირდება ნორმატიული აქტის კონკრეტული გრამატიკული ერთეულების (სიტყვების) გასაჩივრებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იგი უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხზე, რომელმაც შესაძლოა დაარღვიოს ძირითადი უფლება ან სხვა კონსტიტუციური დებულება. საკონსტიტუ-ციო სასამართლოს პრაქტიკაში გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც მოსარჩელე მხარე ასაჩივრებს არა კონკრეტული ქცევის წესის დამდგენ ნორმას, არამედ ნორმატიული აქტის კონკრეტულ სიტყვებს, გრამატიკულ ერთეულებს, რომლებიდანაც შეუძლებელია რაიმე ქცევის წესის იდენტიფიცირება.

საქმეზე „თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზი-დენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1503)<sup>3</sup> მოსარჩელე მხარე სადაც ხდიდა, მათ წორის, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სა-განგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვების: „საქართველოს მთავრობას მიეცეს უფლება, დადგე-ნილებით განსაზღვროს“ კონსტიტუციურობას. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით საქართველოს მთავრობას მიეცა საჯარო სერვისებისა და ადმინისტრაციული საქმისწარმოების განხორციელების საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესების დადგენის უფლე-ბამოსილება.

როგორც აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახ-მად, კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის მოსარჩელე ვალდე-ბულია მოახდინოს სადაც ნორმით დადგენილი რომელიმე წესის იდენტიფიცირება და მოითხოვოს მისი არაკონსტიტუციურად ცნობა. №1503 კონსტიტუციური სარჩელის ფარ-გლებში, მოსარჩელე მხარე არაკონსტიტუციურად მიჩნევდა მთავრობისათვის გარკვეუ-ლი უფლებამოსილების გადაცემას, თუმცა მის მიერ სადაც გამხდარი სიტყვები მთავ-რობის რაიმე უფლებამოსილებას არ ადგენდა. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ცალკე აღებული დებულება „საქართველოს მთავრობას მიეცეს უფლება, დადგე-

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 მაისის №3/7/1503 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავ-რობის წინააღმდეგ“.

ნიღებით განსაზღვროს“ არ ქმნიდა ნორმატიულ წესს, არამედ წარმოადგენდა დეკრეტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესის გრამატიკულ ერთეულს (სიტყვებს) და შინაარსს იძენდა მხოლოდ ხსენებული პუნქტის სხვა სიტყვებთან ერთობლიობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ სიტყვებს არ გააჩნდა მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმატიული შინაარსი და სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

ბ) არ არსებობს შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებას შორის, რომელთან დაკავშირებითაც არის მოთხოვნილი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა

კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღების კიდევ ერთი წინაპირობაა, რომ მოსარჩელემ დაასაბუთოს ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და შესაბამის კონსტიტუციურ უფლებას შორის. კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან დაცული სფეროს, უფლებაში ჩარევის საფუძვლებისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით. მაგალითად, ცალკეულ უფლებებთან მიმართებით სახელმწიფოს გააჩნია მიხედულების ფართო ზღვარი და თავისუფალი მოქმედების მეტი ფარგლები, მაშინ, როდესაც გარკვეული უფლებები აბსოლუტური ხასიათისაა და მათი შეზღუდვა დაუშვებელია. ამგვარი კონსტიტუციური წესრიგი ქმნის თითოეული უფლების შინაარსისა და ფარგლების სწორი განმარტების საჭიროებას. ძირითადი უფლებების სწორი განმარტება და დაცვა გართულდება, თუ უფლების შეზღუდვა არ შეფასდა შესაბამის კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით.

ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსარჩელის მიერ სადავო ნორმიდან მომდინარე შეზღუდვის ზუსტად წარმოჩენას და კონსტიტუციის რელევანტური დებულების იდენტიფიცირებას. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი მიუთითებს, რომ მოსარჩელეთა მიერ კონსტიტუციური უფლებების შინაარსისა და ფარგლების არასწორი აღქმა კვლავ აქტუალური პრობლემაა.

მაგალითად, საქმეზე „თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1503)<sup>4</sup> მოსარჩელე სადავოდ ხდიდა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის ნორმატიულ აქტს, რომლის მიხედვითაც საგანგებო მდგომარეობის ვადით იკრძალებოდა 21:00 საათიდან 06:00 საათამდე პირთა გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით. მოსარჩელის პოზიციით, აღნიშნული რეგულაცია ზღუდავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მიზანია, დაუცველი არ დარჩეს ცხოვრების ის სფეროები, რომლებიც პიროვნებასთან დაკავშირებული კონკრეტული უფლებებით არ არის მოცული. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების ესა თუ ის უფლებრივი კომპონენტი დაცულია სპეციალური კონსტიტუციური დებულებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი უნდა შეაფასოს არა საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლთან, არამედ იმ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების ამა თუ

<sup>4</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 მაისის №3/7/1503 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „თორნიკე ართქმელაძე საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

იმ უფლებრივი კომპონენტის დაცვის სპეციალურ კონსტიტუციურსამართლებრივ სტანდარტებს ადგენს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადაც ნორმა წარმოადგენდა, ადამიანების მიმოსვლის შემცირების მიზნით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა ნაწილს, რომლის საფუძველზე, სადაც ნორმით განსაზღვრულ პერიოდში (21:00 საათიდან 06:00 საათამდე) იზღუდებოდა პირთა ნებისმიერი სახის გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირის შესაძლებლობა, საკუთარი სურვილისამებრ, ნებისმიერ დროს გადაადგილდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, დატოვოს ქვეყნის საზღვრები და თავისუფალი ნების შესაბამისად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი პიროვნული ავტონომიისა და თვითგამორკვევის მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუმცა პიროვნების თავისუფალი განვითარების დასახელებული ასპექტები დაცულია საქართველოს კონსტიტუციის სპეციალური ნორმით, კერძოდ, მე-14 მუხლით, რომელიც განამტკიცებს გადაადგილების თავისუფლებას. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე მხარემ ვერ დაასაბუთა, რომ სადაც ნორმით, გადაადგილების თავისუფლების მიღმა იზღუდებოდა პიროვნების თავისუფალი განვითარების კონსტიტუციური უფლების რომელიმე კომპონენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩინა, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ წარმოაჩინა შინაარსობრივი მიმართება სადაც ნორმასა და საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით განმტკიცებულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას შორის და შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში კონსტიტუციური სარჩელი არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.

საქმეზე „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1444)<sup>5</sup> მოსარჩელე მხარე ითხოვდა პატიმრობის კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებისა და 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის როგორც პირველ, ისე მე-2 პუნქტებთან მიმართებით. სადაც ნორმები განსაზღვრავდა გამომძიებლის და პროკურორის უფლებამოსილებას ბრალდებულისათვის ხანმოკლე პაემნის, მონწერის ან/და სატელეფონო საუბრის უფლებების შეზღუდვის თაობაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ უფლებას ორი სტრუქტურულად ერთმანეთისაგან განსხვავებული ასპექტი გააჩინა. მე-15 მუხლის პირველი პუნქტი იცავს პირის შესაძლებლობას, თავისი სურვილისამებრ განავითაროს პირადი და ოჯახური ცხოვრება, აირჩიოს, პირად სფეროში ვისთან დაამყარებს კომუნიკაციას და, ზოგადად, ჰქონდეს პირად სფეროში გადაწყვეტილების სახელმწიფოსგან ჩაურევლად მიღების შესაძლებლობა. ხსენებული უფლების მე-2 ასპექტი კი მოიაზრებს პირის შესაძლებლობას, პირადი ცხოვრების სახელმწიფოსგან ფარულად განხორციელებაზე, მის პირად კომუნიკაციაზე წვდომის, პირად სივრცეში შეჭრის და სხვა ფორმით მასზე ზედამხედველობის აკრძალვას. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მიზანია არა პირის პირადი კომუნიკაციის შესაძლებლობის, არამედ ამ კომუნიკაციაზე სახელმწიფოს მიერ გაუმართლებელი წვდომისაგან დაცვა. საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესი გარანტია იმისა, რომ პირთა პირად სივრცეში, პრივატულ გარემოში სახელმწიფო არ შეიქრება.

განსახილველ შემთხვევაში, სადაც ნორმებით დადგენილი იყო კონკრეტული სახის პირადი კომუნიკაციის შეზღუდვა და არა მასზე სახელმწიფოს მიერ წვდომის განხორციელების შესაძლებლობა. მათ საფუძველზე პროკურორის/გამომძიებელს ენიჭებოდა ბრალდებულისათვის მიმოწერის ან/და პაემნის ფორმით კომუნიკაციის შეზღუდვის უფლებამოსილება. გასაჩივრებული ნორმები არ განსაზღვრავდნენ

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/3/1444 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

განხორციელებულ კომუნიკაციაზე სახელმწიფოს მიერ წვდომის ფარგლებს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმებით ხდებოდა ჩარევა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტში და არ არსებობდა შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმებსა და საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ უფლებას შორის.

გასული წლის განმავლობაში სადავო ნორმებსა და კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს შორის შინაარსობრივი მიმართების დასაბუთების კუთხით გამოიკვეთა კიდევ რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომელთა შესახებ საზოგადოების ინფორმირება ხელს შეუწყობს მომავალში კონსტიტუციური სარჩელების უკეთ დასაბუთებას. ესენია: ა) კონსტიტუციური უფლების შესაძლო შეზღუდვის თანამდევი გვერდითი ეფექტი; ბ) პირთა წრის მიმართ ნეიტრალური შინაარსის ნორმების გასაჩივრება თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით; გ) სადავო ნორმის გასაჩივრება საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლთან მიმართებით; დ) სადავო ნორმასა და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას შორის შინაარსობრივი მიმართების დასაბუთება; ე) მატერიალური უფლების შეზღუდვის გასაჩივრება სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით და ვ) სადავო ნორმის გასაჩივრება კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თვალსაზრისით.

ა) კონსტიტუციური უფლების შესაძლო შეზღუდვის თანამდევი გვერდითი ეფექტი

მიმდინარე წლის პრაქტიკაში გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოსარჩელები სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებას ითხოვდნენ იმ უფლებებთან მიმართებით, რომელიც სადავო ნორმიდან მომდინარე შეზღუდვის გვერდითი ეფექტია. ამ მხრივ აღსანიშნავია საქმე „პაატა დიასამიძე საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, რომელშიც სადავოდ იყო გამხდარი, მათ შორის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული იზოლაციისა და კარანტინის წესების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი.<sup>6</sup> სადავო ნორმის თანახმად, ტაქსით გადაადგილებით მომსახურებისას იკრძალებოდა 3-ზე მეტი პირის (მძღოლის ჩათვლით) გადაადგილება. ამასთან, გადაადგილებისას მძღოლი აღჭურვილი უნდა ყოფილიყო პირბადით, ხოლო მგზავრები უნდა განთავსებულიყვნენ მძღოლის უკანა მხარეს. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ასეთი რეგულაცია ზღუდავდა თავისუფალი გადაადგილების უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ გარკვეულ შემთხვევებში, ავტო-სატრანსპორტო საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებული რეგულაციები თუ შეზღუდვები შესაძლოა, აბრკოლებდეს გადაადგილების თავისუფლებას, რადგანაც ამგვარი ტრანსპორტის უპირველესი დანიშნულება პირთა ერთი პუნქტიდან მეორეში გადაყვანაა, თუმცა ავტოტრანსპორტთან მიმართებით ნებისმიერი რეგულაციის დაწესება არ ნიშნავს, რომ ეს შეზღუდვა მიმართულია პირთა მიმოსვლის შეზღუდვისაკენ და, რიგ შემთხვევებში, ეს შედეგი წარმოადგენს სხვა კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის გვერდით ეფექტს. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმის ანალიზის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ნორმის მიზანი იყო ავტოსატრანსპორტო საშუალებაში სამზე მეტი პირის განთავსების გამორიცხვა და აღნიშნულ პირებს შორის ახლო კონტაქტის შემცირება, რითაც შესაძლოა შეზღუდულიყო, მაგალითად, საკუთრების ობიექტის სრული რესურსით გამოყენების შესაძლებლობა, პირადი ცხოვრება ან სხვა რომელიმე კონსტიტუციური უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით,

<sup>6</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 5 ივნისის №1/9/1505 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „პაატა დიასამიძე საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

ამგვარ რეგულაციას შესაძლოა, გვერდითი ეფექტის სახით, გაერთულებინა, მათ შორის, პირთა ერთი პუნქტიდან მეორეში გადაადგილება ან ამისათვის უფრო მეტი რესურსის გაღება გამხდარიყო საჭირო, თუმცა, აღნიშნული არ წარმოადგენდა გადაადგილების უფლების შეზღუდვის დასაბუთებისთვის საკმარის საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადაც ნორმა არ იყო მიმართული გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისაკენ და ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მხოლოდ სხვა კონსტიტუციური უფლებების შესაძლო შეზღუდვის თანმდევ გვერდით ეფექტს, რის გამოც კონსტიტუციური სარჩელი სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.

ბ) პირთა წრის მიმართ ნეიტრალური ნორმების გასაჩივრება თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი კრძალავს არსებითად თანასწორო პირების მიმართ არათანასწორ მოპყრობას და პირიქით. შესაბამისად, კონსტიტუციის მე-11 მუხლთან მიმართებით ნორმის არაკონსტიტუციურობის სამტკიცებლად მოსარჩელე მხარე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ სადაც ნორმა მას, სხვა არსებითად თანასწორ პირებთან შედარებით, დიფერენცირებულ მდგომარეობაში აყენებს ან ადგილი აქვს უთანასწორო პირთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

საქმეზე „ნინო ჟველია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1534)<sup>7</sup> სადაც იყო გამხდარი „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის კონსტიტუციურობა, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. სადაც ნორმის თანახმად, პირი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან თავისუფლდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ყველა დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე ამ კანონის გამოყენებისას გამოძიების ან სასამართლოს წინაშე განაცხადებდა თანხმობას, ამ პირზე ამნისტიის გავრცელების თაობაზე. მოსარჩელე მხარის პოზიციით, სადაც რეგულაცია ატარებდა დისკრიმინაციულ ხსიათს, ვინაიდან გათავისუფლდებოდა თუ არა კონკრეტული პირი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან დამოკიდებული იყო დაზარალებულის (უფლებამონაცვლის) კეთილგანწყობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადაც ნორმის თანახმად, ამნისტია ვრცელდებოდა ნებისმიერ პირზე, თუ ამაზე თანხმობას განაცხადებდა ნორმით გათვალისწინებული სუბიექტი. შესაბამისად, სადაც ნორმით გათვალისწინებული სარგებელი - კონკრეტულ პირზე ამნისტიის გავრცელება დამოკიდებული იყო არა პირთა რომელიმე ჯგუფისადმი მიკუთვნებაზე, არამედ - კონკრეტულ ქმედებაზე, დაზარალებულის ან მისი უფლებამონაცვლის თანხმობაზე. ამგვარი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში კი არა მხოლოდ მოსარჩელეზე, არამედ არც ერთ სხვა პირზე არ გავრცელდებოდა ამნისტია. ამდენად, სადაც ნორმა ითვალისწინებდა ერთგვაროვან უფლებების რეჟიმს ერთგვაროვანი სამართლებრივი მნიშვნელობის მეორე ქმედებების განხორციელებისათვის და არ გამოყოფდა რომელიმე იდენტიფიცირებად პირთა ჯგუფს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული ნორმა იყო ნეიტრალური შინაარსის და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა პირთა მიმართ დიფერენცირებულ მოპყრობას.

<sup>7</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის №2/20/1534 განჩინება საქმეზე „ნინო ჟველია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

გ) სადავო ნორმის გასაჩივრება საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებთან მიმართებით

საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები“, ამავე მუხლის მე-3 პუნქტი კი ადგენს, რომ „ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, დასახელებული კონსტიტუციური დებულებები არ წარმოადგენენ ძირითადი უფლების დამდგენ ნორმებს, არამედ განსაზღვრავენ ზოგად კონსტიტუციურ პრინციპებს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს ადამიანის უფლებებს შორის სამართლიანი ბალანსის მიღწევის კონსტიტუციურ პრინციპს, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ახდენს უფლების შეზღუდვის პროპორციულობის ზოგადი პრინციპის დეკლარირებას. ხსენებული კონსტიტუციური დებულებებისგან დამოუკიდებლად, აღნიშნული პრინციპებით დაცული გარანტიები, თავისთავად, გამომდინარეობს კონსტიტუციის მეორე თავით განსაზღვრული ცალკეული უფლებებიდან. ამ-დენად, საკონსტიტუციო სასამართლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აფასებს სადავო ნორმას ძირითადი უფლების დამდგენ, კონსტიტუციის მეორე თავით განსაზღვრულ დებულებებთან მიმართებით, კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი პრინციპების კონტექსტში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციურსამართლებრივ შეფასებას საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებთან მიმართებით განცალკევებულად არ ახდენს და ითხოვს გასაჩივრებული წესიდან მომდინარე შეზღუდვის დასაბუთებას ძირითადი უფლებების დამდგენ ნორმებთან მიმართებით. გასული წლის მანძილზე საკონსტიტუციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის შესაბამის ნაწილებში დასახელებული საფუძვლით არსებითად განსახილველად არ მიიღო №1534,<sup>8</sup> №1472,<sup>9</sup> და №1508<sup>10</sup> კონსტიტუციური სარჩელები.

დ) იმგვარი ნორმის გასაჩივრება რომელიც არ ზღუდავს სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირველ რიგში, მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა უფლებაშემზღვდველი გადაწყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. ამასთანავე, კონსტიტუციი არა მხოლოდ აღიარებს და იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ განსაზღვრავს მათ შინაარსა და მოცულობას. შესაბამისად, კონსტიტუციური უფლება არსებობს კანონის მიერ მისი აღიარების გარეშეც, ის არსებობასა და მოქმედებას განაგრძობს მაშინაც, როდესაც კანონმდებლობით ამ უფლების რეალიზაციის საფუძვლები არ არის განსაზღვრული. საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლების შინაარსი და ფარგლები თავად საქართველოს კონსტიტუციითავ განსაზღვრული და მისით სარგებლობა შესაძლებელია გასაჩივრების შესაძლებლობის საკანონმდებლო აქტით

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის №2/20/1534 განჩინება საქმეზე „ნინო ჟველია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>9</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/4/1472 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>10</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 12 ნოემბრის №1/24/1508 განჩინება საქმეზე „დურმიშან გურგენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დადასტურების გარეშეც. ამის მიუხედავად, ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ თუ საკანონმდებლო აქტში პირდაპირ არ არის მითითებული სა-სამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობაზე იგი ამ უფლებით ვერ სარგებლობს და ეზღუდება სამართლიანი სასამართლოს უფლება.

მაგალითად, საქმეზე „მადონა ძიძიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1468)<sup>11</sup> მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას. სადავო ნორმის თანახმად, „დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებული, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს“. მოსარჩელე მხარის განმარტებით, კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სისხლისამართლებრივი გამოძიების არდაწყების შემთხვევაში პროკურორის, გამომძიებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. შესაბამისად, არ არსებობდა გამოძიების დაწყების ვალდებულების სასამართლო კონტროლის მექანიზმი, რითაც ირლვეოდა შესაძლო დაზარალებული პირის სამართლიანი სასამართლოს უფლება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, იარსებებს თუ არა პირდაპირი საკანონმდებლო ჩანაწერი ხელისუფლების ორგანოს მიერ მიღებული უფლებაშემზღველი აქტის/გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით დაცული შემზღველი ღონისძიების სასამართლოში გასაჩივრების უფლებასთან შინაარსობრივი მიმართების დასასაბუთებლად მოსარჩელე ვალდებული იყო მიეთითებინა იმგვარ უფლებაშემზღველ ნორმატიულ აქტზე, რომელიც მას ართმევდა შესაძლებლობას, მიემართა სასამართლოსთვის მის მიმართ გამოყენებული შემზღველი ღონისძიების კანონიერების შესამოწმებლად. ხოლო, ამგვარი აქტის არარსებობის პირობებში, პირს შესაძლებლობა ჰქონდა, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მიემართა სასამართლოსთვის საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავოდ გამხდარი ნორმა შემოიფარგლებოდა პროკურორის, გამომძიებლის ვალდებულების დადგენით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში დაეწყოთ გამოძიება. შესაბამისად, აღნიშნული წესი არათუ არ აწესებდა აკრძალვებს პროკურორის, გამომძიებლის გადაწყვეტილების სასამართლოს გზით გასაჩივრების თაობაზე, არამედ, საერთოდ არ ადგენდა სამართლიანი სასამართლოს გამოყენების პროცესუალურ წესრიგს. საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ კონსტიტუციურ სარჩელში არ იყო წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ საერთო სასამართლოები სადავო ნორმის საფუძველზე, უარს ამბობდნენ პროკურორის, გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებაზე. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა არ ზღუდდავდა გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას და ამ კუთხით, არ არსებობდა შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას შორის.

<sup>11</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის №2/13/1468 განჩინება საქმეზე „მადონა ძიძიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ე) მატერიალური უფლების შეზღუდვის გასაჩივრება სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის დროულად და სამართლიანად განხილვის უფლება, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ქმნის კონსტიტუციური უფლებების ან/და კანონიერი ინტერესების დაცვის პროცესუალურ გარანტიას. ანალოგიურად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული ხასიათისაა და მისი მიზანია ადამიანის უფლებების და კანონიერი ინტერესების, სასამართლოს გზით, ეფექტიანი დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. დასახელებული კონსტიტუციური დებულება განამტკიცებს პირის საპროცესო უფლებას, საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი მატერიალური უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით და 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლებების შეზღუდვა სახეზე იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც სადაც ნორმით შეიზღუდება უფლების ან/და კანონიერი ინტერესის დაცვის საპროცესო მექანიზმით ეფექტურად სარგებლობის შესაძლებლობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დასახელებული კონსტიტუციური დებულებებით განმტკიცებული პროცესუალური გარანტია არ მოიცავს პირის უფლებას, მოთხოვოს მატერიალური უფლების შექმნა ან ფარგლების გაფართოება. იგი მხოლოდ არსებული უფლებებისა და ინტერესების ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობაზე მიუთითებს. შესაბამისად, თუ სადაც ნორმა მიმართულია თავად მატერიალური უფლებისა თუ კანონიერი ინტერესის შეზღუდვის ან/და გაუქმებისაკენ, მაშინ ადგილი აქვს არა უფლების დაცვის საპროცესო მექანიზმების შეზღუდვას, არამედ თავად ამ უფლების მატერიალური შინაარსის რეგულირებას და იგი ვერ შეფასდება სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების ან/და სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით.

მაგალითად, საქმეზე „ზაურ შერმაზანაშვილი საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1502)<sup>12</sup> მოსარჩელე მხარე სადაც ხდიდა, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტის №1 დეკრეტის მე-8 მუხლის სიტყვების „ამ დეკრეტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა გამოიწვევა: 1. ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას ფიზიკური პირებისათვის 3 000 ლარის ოდენობით“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. მოსარჩელის პოზიციით, აკრძალული ქმედებების შინაარსი, ისევე როგორც პასუხისმგებლობა ამ ქმედებებისათვის, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო კანონით, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვეოდა საქმის სამართლიანად განხილვის უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადაც ნორმა განსაზღვრავდა პასუხისმგებლობას საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისათვის. პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება კი უკავშირდებოდა ამა თუ იმ მატერიალური უფლების შეზღუდვას. შესაბამისად, გასაჩივრებული ნორმის მიზანი არ იყო ადმინისტრაციული ორგანოს ან/და სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესუალური წესრიგის დადგენა, აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ნორმას არ გააჩნდა მიმართება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით და 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებებთან და სასარჩელო მოთხოვნის ამ წარმოების კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 20 მაისის №3/6/1502 საქმო ჩანაწერი საქმეზე „ზაურ შერმაზანაშვილი საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

ვ) სადავო ნორმის გასაჩივრება კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თვალსაზრისით

მიმდინარე წელს განხილული საქმეების მაგალითზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გამოიკვეთა კიდევ ერთი პრობლემური ტენდენცია კონსტიტუციური სარჩელების დასაბუთებულობის თვალსაზრისით. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, მოსარჩელეები ითხოვდნენ სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას მათი კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის მოტივით, ისე, რომ სარჩელში არ იყო წარმოდგენილი არგუმენტაცია თავად კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის კუთხით.

მაგალითად, საქმეზე „„შპს ლექსიკა“ საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1438)<sup>13</sup> მოსარჩელე მხარე ასაჩივრებდა „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების განევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან მიმართებით. სადავო ნორმებით დადგენილი იყო, მათ შორის, შემოსავლების სამსახურის მიერ სხვადასხვა სახის მომსახურების განევისათვის გათვალისწინებული საფასურები, შესაბამისი განაკვეთები, საფასურის გადახდის წესი და მისგან გათავისუფლების შემთხვევები. მოსარჩელის არგუმენტაციით, აღნიშნული საფასურები თავისი არსით წარმოადგენდა მოსაკრებელს, რომლის სტრუქტურისა და შემოღების წესის, მათი განაკვეთების ან განაკვეთების ფარგლების დადგენა, საქართველოს კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნების თანახმად, უნდა მომხდარიყო კანონით და არა მთავრობის ნორმატიული აქტით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის, მოსარჩელეს მოეთხოვება, მოიყვანოს არგუმენტები იმ კონსტიტუციური უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, რომელთან მიმართებითაც იგი ითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ იდავოს კონსტიტუციით დადგენილი ფორმალური მოთხოვნების დარღვევაზე, პირველ რიგში, აუცილებელია, მოსარჩელემ მოახდინოს სადავო ნორმის საფუძველზე უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, პირის სარჩელის საფუძველზე, მხოლოდ უფლებაშემზღვდელი ნორმები ცნოს არაკონსტიტუციურად. პირი ვერ მოითხოვს, თუნდაც კონსტიტუციით დადგენილი ფორმის დარღვევით მიღებული ისეთი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც მის უფლებას არ ზღუდავს.

დასახელებულ კონსტიტუციურ სარჩელში, გარდა კონსტიტუციის ფორმალური მოთხოვნების დარღვევაზე მითითებისა, არ იყო წარმოდგენილი რაიმე სახის არგუმენტაციია სადავო ნორმებით მოსარჩელის საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

### 1.1.2. კონსტიტუციური სარჩელის წარდგენა უფლებამოსილი სუბიექტის მიერ

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს კონსტიტუციური სარჩელის უფლებამოსილი სუბიექტის მიერ წარდგენის ვალდებულებას. ამავე კანონით

<sup>13</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/4/1438 განჩინება საქმეზე „შპს ლექსიკა“ საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

განსაზღვრულია კონსტიტუციურ დავაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრე საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციებთან მიმართებით. 2020 წელს პრაქტიკაში გამოიკვეთა, რომ კონსტიტუციური სარჩელის უფლებამოსილი სუბიექტის სწორად იდენტიფიცირება რამდენიმე ძირითად პრობლემურ საკითხთან არის დაკავშირებული. ქვემოთ დეტალურადაა განხილული არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველები, ის გარემოები და სამართლებრივი არგუმენტაცია, რომლებზე დაყრდნობითაც სასამართლომ უარი თქვა კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღებაზე.

### ა) პირი არ ექცევა სადაცო ნორმის მოქმედების სფეროში

იმისათვის, რომ ფიზიკური და იურიდიული პირი ჩაითვალოს კონსტიტუციური სარჩელის წარდგენაზე უფლებამოსილ სუბიექტად, მას ევალება, წარმოაჩინოს, რომ სადაცო ნორმის მოქმედება მასზე ვრცელდება ან არსებობს მომავალში ნორმის მოქმედების გავრცელების რეალური აღბათობა. მარტომდენ ჰიპოთეტური ვარაუდი, რომ მოსარჩელე ოდესმე შეიძლება მოექცეს ნორმის მოქმედების ქვეშ, არ არის საკმარისი მის უფლებამოსილ სუბიექტად მიჩნევისთვის.

საქმეზე „ა(ა)იპ „პროფესორთა ასოციაცია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>14</sup> მოსარჩელე იურიდიული პირი სადაცოდ ხდიდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის კონსტიტუციურობას. მოსარჩელის მითითებით, სადაცო ნორმა უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ ამნისტია არ გავრცელებულიყო ყველა მსჯავრდებულზე, რითაც ირღვეოდა თანასწორობის უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საკანონმდებლო ნორმათა ანალიზით დაადგინა, რომ სადაცო ნორმა სასჯელისაგან ათავისუფლებდა პირს, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრული ქმედება. თავის მხრივ, ხსენებული მუხლით ჩადენილი ქმედებისათვის არ დგებოდა იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა. შესაბამისად, იურიდიული პირი არ ექცეოდა და ვერც მომავალში მოექცეოდა სადაცო ნორმის რეგულირების ფარგლებში. ამდენად, სასამართლომ მოსარჩელის მიმართ სადაცო ნორმის გაუვრცელებლობაზე მითითებით, იგი კონსტიტუციური სარჩელის წარდგენაზე არაუფლებამოსილ სუბიექტად მიიჩნია.

მსგავსი გარემოებები გამოიკვეთა საქმეზე „ზურაბ დგებუაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.<sup>15</sup> მოსარჩელე სადაცოდ ხდიდა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2011 წლის 19 აპრილის №4562-ს კანონის მე-2 მუხლს. სადაცო ნორმა შეეხებოდა იმ პირებს, რომელთაც მის ამოქმედებამდე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ჰქონდათ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების უფლება. მოსარჩელე თავს მიიჩნევდა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, ვინაიდან მისი მტკიცებით, იგი შენაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი თანამდებობიდან 2006 წელს უკანონოდ, პოლიტიკური შეზღულებების გამო გაათავისუფლეს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ვრცელდებოდა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს კანონის ამოქმედებამდე. არც კანო-

<sup>14</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის №2/19/1530 განჩინება საქმეზე „ა(ა)იპ „პროფესორთა ასოციაცია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>15</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/2/1283 განჩინება საქმეზე „ზურაბ დგებუაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ნის განმარტებიდან და არც საქმეზე წარმოდგენილი მისი გამოყენების პრაქტიკიდან გამომდინარე არ დადგინდა, რომ მოსარჩელე ექცეოდა სადავო ნორმის მოქმედების ფარგლებში და მის მიღებამდე იგი ექვემდებარებოდა რეპრესირებულად აღიარებას. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან არ იკვეთებოდა, რომ სადავო ნორმა მოსარჩელეზეც ვრცელდებოდა.

### ბ) *actio popularis*

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება მინიჭებული აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია დაირღვეს უშუალოდ მათი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები. ამდენად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არ ითვალისწინებს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ე.ნ. „*actio popularis*“ სარჩელის წარდგენის კომპეტენციას. მოსარჩელე უფლებამოსილია, იდავოს ნორმატიული აქტების საფუძველზე უშუალოდ მისი უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით. სხვა პირთა უფლებების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ სპეციალური სუბიექტებისათვის.<sup>16</sup>

საქმეზე „ააიპ „საგაჭრო-კომერციული ცენტრების (ბაზრობების) გაერთიანება“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>17</sup> მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა რეგულირებას, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ზოგიერთი სუბიექტისათვის ადგენდა ფინანსურ ანგარიშებასთან დაკავშირებულ რიგ ვალდებულებებს. თავად მოსარჩელე წარმოადგენდა არაკომერციულ, არასამენარმეო იურიდიულ პირს, რომელიც არ იყო ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირი და რომლის ძირითად საქმიანობას საერთოდ არ წარმოადგენდა ვაჭრობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უკავშირდებოდა არა საკუთარი, არამედ სხვა პირების - მისი დამფუძნებელი საწარმოების (ბაზრობების) ინტერესების დაცვას. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი, საკონსტიტუციო სასამართლოში ედავა სხვა პირების უფლებების დარღვევაზე, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ პირთა უფლებების დაცვა იურიდიული პირის ძირითად მიზანს წარმოადგენდა.

ანალოგიური საფუძვლით საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელის წარდგენაზე უფლებამოსილ სუბიექტად არ ცნო მოსარჩელე საქმეზე „ლევან აქუბარდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.<sup>18</sup> აღნიშნულ საქმეზე მოსარჩელე ითხოვდა უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ გადაწყვეტილების მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსრულების მომწესრიგებელი კანონმდებლობის არაკონსტიტუციურად ცნობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავოდ გამხდარი საპროცესო ლონისძიების გამოყენება შესაძლებელი იყო სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის პირობებში კონკრეტული მხარის საწინააღმდეგოდ. სასარჩელო არგუმენტაციიდან გამომდინარე, არ იკვეთებოდა, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა მიმდინარე ან მომავალი

<sup>16</sup> იხ. მაგ.: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>17</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/15/1469 განჩინება საქმეზე „ააიპ „საგაჭრო-კომერციული ცენტრების (ბაზრობების) გაერთიანება“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>18</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/3/1383 განჩინება საქმეზე „ლევან აქუბარდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სამართალწარმოების მხარეს, რომლის ფარგლებშიც გამოყენებული იქნებოდა სადავოდ გამხდარი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების ღონისძიება. იმავდროულად, კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარე უთითებდა სხვა პირების წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომელთა ფარგლებშიც მოხდა სადავო ნორმის გამოყენება. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე მხარის მიზანს წარმოადგენდა არა საკუთარი, არამედ სხვა პირების უფლებების დაცვა და ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლომ იგი არაუფლებამოსილ სუბიექტად მიიჩნია.

გ) მოსარჩელის უფლებამოსილება, მიმართოს სასამართლოს შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწერიგებელი კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელი წარადგინონ მხოლოდ მეორე თავით აღიარებულ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით. თუმცა მოსარჩელე ფიზიკური და იურიდიული პირები ხშირად მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით კონსტიტუციის იმ დებულებებთან მიმართებით, რომლებიც არ არის მოთავსებული მეორე თავში.

სწორედ აღნიშნულ საკითხს შეეხებოდა საქმე „გივი გაჩერილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,<sup>19</sup> რომელშიც მოსარჩელე სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდა საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით. ხოლო, საქმეზე „„შპს ჩემპიონები 111“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>20</sup> მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციური იყო „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტთან მიმართებით. აღნიშნულ შემთხვევებში, მოსარჩელეები მოითხოვდნენ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას კონსტიტუციის იმ დებულებებთან მიმართებით, რომლებიც არ არის მოთავსებული საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კვლავაც მიუთითა, რომ ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან, იდავონ ნორმატიული აქტის მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებულ უფლებებთან შესაბამისობის საკითხზე. სასამართლომ განმარტა, რომ მას არ აქვს ფიზიკური პირების სარჩელის საფუძველზე სადავო ნორმების დასახელებულ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით კონსტიტუციურობის თაობაზე მსჯელობის კომპეტენცია. შესაბამისად, აღნიშნულ საქმეებში მოსარჩელეები არაუფლებამოსილ სუბიექტებად იქნენ მიჩნეული.

### 1.1.3. საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობა

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ მასში მითითებული არც ერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქარ-

<sup>19</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N2/5/1446 განჩინება საქმეზე „გივი გაჩერილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>20</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის №2/7/1465 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „„შპს ჩემპიონები 111“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

თველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს. საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ამონშებს სასარჩელო მოთხოვნა მიეკუთვნება თუ არა მის განსჯად საკითხს.

საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი/წარდგინება არსებითად განსახილველად არ მიიღება, თუ სადავოდ გამხდარი საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი. მაგალითად, სადავოდაა გამხდარი ნორმატიული ბუნების არმქონე აქტის კონსტიტუციურობა ან ნორმატიული აქტი ძალადაკარგულია, მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია ახალი ნორმატიული შინაარსის შექმნისკენ, საკითხის შეფასება სცდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას და სხვა.

2020 წლის განმავლობაში ზემოთხსენებული საფუძვლებით საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენიმე საქმეში თქვა უარი სასარჩელო მოთხოვნის არსებითად განსახილველად მიღებაზე.

### ა) საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ნეგატიური კანონმდებელი

გასული წლების მსგავსად, სასამართლოს პრაქტიკაში მიმდინარე წელსაც აქტუალური იყო სადავო ნორმის მოსარჩელისათვის სასურველი რედაქციით მოდიფიცირებისკენ მიმართული სასარჩელო მოთხოვნები. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში, მოსარჩელეები ცდილობდნენ სადავო ნორმიდან კონკრეტული სიტყვების მექანიკურად ამოღებით მისი მოქმედების ფარგლების გაფართოებას და ამ გზით მისი სასურველი შინაარსით ჩამოყალიბებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ გააუქმოს სადავო ნორმა მთლიანად ან/და მისი რომელიმე ნაწილი/ნორმატიული შინაარსი, თუმცა მას არ შეუძლია დაადგინოს ახალი წესრიგი, გააფართოოს სადავო ნორმის მოქმედება და ა.შ. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ სადავო ნორმის რომელიმე ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობაში, მის გაუქმებაში“.<sup>21</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი არსით, „ასრულებს ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციას, გავლენას ახდენს ნორმაშემოქმედებით საქმიანობაზე – სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა (ნორმები) კარგავს იურიდიულ ძალას, მეტიც, კანონმდებელმა, ხშირ შემთხვევაში, უნდა მიიღოს ახალი, კონსტიტუციის შესაბამისი ნორმები, თუმცა ხაზგასმით უნდა ალინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ქვეყანაში ახალი წესრიგის დადგენას (შექმნას) კი არ ემსახურება, არამედ უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას და ქმედითობას, ხელს უწყობს მის შესრულებას როგორც სახელმწიფოს, ისე ხალხის მიერ“.<sup>22</sup> „საქართველოს კონსტიტუცია, საკონსტიტუციო სასამართლოს ... არ ანიჭებს ნორმატიული შინაარსის აქტების გამოცემის, რეგულაციების დადგენის უფლებამოსილებას. მისი ფუნქცია არსებული საკანონმდებლო სივრცის კონსტიტუციურობის უზრუნველყოფაში პოვებს ასახვას“.<sup>23</sup>

საქმეზე „რუსლან ალექსიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>24</sup> მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი

<sup>21</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე - ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22.

<sup>22</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18.

<sup>23</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე - ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20.

<sup>24</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის №2/16/1492 განჩინება საქმეზე „რუსლან ალექსიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის სიტყვების „სახელმწიფო სტიპენდია“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. მოსარჩელე მხარის მოთხოვნა მიმართული იყო, სადაც გამხდარი ნორმიდან, რომელიც ადგენდა საგადასახადო ვალდებულებისგან გათავისუფლების მარეგულირებელ წესს, კონკრეტული სიტყვის ამოღების გზით, საგამონაკლისო წესის ფარგლების გაფართოებასა და, ამდენად, არასახელმწიფო სტიპენდიით მიღებულ შემოსავალზე საგადასახადო შეღავათის გავრცელებისკენ.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვდა, ერთი მხრივ, სადაც ნორმის იმ ნორმატიული შინაარსის გაუქმებას, რომელიც მას არ გააჩნდა ხოლო, მეორე მხრივ, სადაც ნორმიდან სიტყვის ამოღებით მისი შინაარსის გაფართოებას. საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, ორივე მოთხოვნა კანონმდებლობაში პოზიტიური დანაწესის შექმნის იდენტური იყო. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება სცდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს.

არსებითად იმავე პრობლემის მქონე იყო №1456 კონსტიტუციური სარჩელი. კერძოდ, საქმეზე „ვახტანგ ბარნაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>25</sup> სადაც იყო გამხდარი, მათ შორის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 116-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. სადაც ნორმის თანახმად, იკრძალებოდა მოხელე ქალის სამსახურიდან გათავისუფლება ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის ან მოხელის შეფასების შედეგების გამო. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვით, მოსარჩელე, მიზნად ისახავდა სადაც ნორმით მოხელე ქალისათვის დადგენილი უფლების მოხელე მამაკაცზე გავრცელების მიღწევას.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადაც ნორმას არ გააჩნდა იმგვარი ნორმატიული შინაარსი, რომლის არაკონსტიტუციურად ცნობაც მოხელე მამაკაცის უკანონოდ გათავისუფლების აკრძალვის შესაძლებლობას გააჩნდა და, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ დასახელებულ პრობლემას აღმოფხვრიდა. აღნიშნულ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადაც ნორმის რომელიმე ნაწილის/ნორმატიული შინაარსის გაუქმებას შესაძლოა, შედეგად მოჰყოლოდა მხოლოდ სადაც ნორმით განსაზღვრული უფლებით მოსარგებლე პირთა კატეგორიის შემცირება და არა პირიქით. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება და მოხელე მამაკაცების მიმართ სადაც ნორმით განსაზღვრული უფლებების გავრცელება ნორმის მოქმედების ფარგლების გაფართოებას მოითხოვდა. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიმართული იყო ახალი ნორმატიული შინაარსის შექმნისკენ და საკითხის შეფასება სცდებოდა მის უფლებამოსილებას. აღნიშნული საფუძვლით, №1456 კონსტიტუციური სარჩელი არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.

### ბ) სადაც აქტის მხოლოდ კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისობა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისთან მიმართებით. ამდენად, მოსარჩელე ვალდებულია, სასარჩელო მოთხოვნა დააყენოს კონსტიტუციით დაცულ ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით, წინაღმდეგ შემთხვევაში, განსჯადობის მოთხოვნის დაუცველობის საფუძვლით სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელს არ მიიღებს არსებითად განსახილველად.

<sup>25</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/12/1456 განჩინება საქმეზე „ვახტანგ ბარნაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქმეზე „„შპს სვეტი დეველოპმენტი“, „შპს სვეტი ჯგუფი“, „შპს სვეტი“, „შპს სვეტი ნუცუბიძე“, გივი ჯიბლაძე, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>26</sup> მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი ეწინააღმდეგებოდა, მათ შორის, რომის 1950 წლის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ 1963 წლის 16 სექტემბრის სტრასბურგის მე-4 დამატებითი ოქმის პირველ მუხლს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ, თითოეულ შემთხვევაში, „ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლის, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა მაქსიმალური რესპექტირებით, მდიდარი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ...“<sup>27</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტითა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კომპეტენციური სპექტრის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს საქართველოს ნორმატიული აქტების მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სადაც ნორმის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისთან“ შესაბამისობის შეფასების საკითხი არ იყო საქართველოს საკონსტიტუციოს სასამართლოს განსაზღვრული განსაზღვრული დაგენერირებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აქტის ნორმატიული პუნქტის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს აქტის ადრესატთა წრისა და მოწესრიგების ობიექტის გათვალისწინებით. „ნორმატიულ აქტს აქვს საყოველთაობის პრეტენზია, იგი მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი და ასეთად რჩება ამ წრის გვარეობითი ნიშნით იდენტიფიკაციის შემთხვევაში“<sup>28</sup> .... ნორმის ნორმატიული ხასიათი ვლინდება ადამიანთა ქცევის სავალდებულო რეგულირებაში და განსაზღვრავს ამ ქცევათა მოქმედების ფარგლებს. შესაბამისად, სამართლებრივი დებულება მაშინ არის ნორმატიული ხასიათის მატარებელი, თუ იგი ადგენს ქცევის სავალდებულო წესს, რომელიც კონკრეტული პირის ან პირთა წრის მიმართ ადგენს აკრძალვებს ან პირიქით, ნებას რთავს გარკვეულ ქმედებებთან დაკავშირებით. სამართლებრივი ნორმის სავალდებულო ხასიათი ემსახურება სწორედ ამ ფუნქციების განხორციელებას და მიზნად ისახავს ახალი სამართლებრივი წესრიგის დადგენას მისი მეშვეობით“<sup>29</sup>.

მოსარჩელეთა მიერ სადაც ნორმის ნორმატიული პუნქტის არასწორი შეფასების მაგალითად შესაძლოა განვიხილოთ საქმე „არჩილ ფულარიანი ქალაქ ბალათის მუნიცი-

<sup>26</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/4/1416 განჩინება საქმეზე „„შპს სვეტი დეველოპმენტი“, „შპს სვეტი ჯგუფი“, „შპს სვეტი ნუცუბიძე“, გივი ჯიბლაძე, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>27</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 9 ივნისის №2/6/465 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე პაატა დობორვეგინძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

<sup>28</sup> 2007 წლის 9 ნოემბრის №1/7/436 განჩინება საქმეზე „შპს „კავკასუს ონლაინ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-5.

<sup>29</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

პალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ<sup>30</sup>. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა ქალაქ ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის №32 დადგენილების კონსტიტუციურობას, რომლის შესაბამისაა დაც, დამტკიცდა ქალაქ ბალდათში მცხოვრები 688 ოჯახის მიწის ნაკვეთების მიღება-ჩაბარების აქტები და მიწის რეფორმის კომისიას დაევალა მათი სპეციალურ უურნალში რეგისტრაციაში გატარება. აგრეთვე, ამავე აქტით დადგინდა განხილვის გადადების აუცილებლობა, პირთა გარკვეულ ჯგუფთან დაკავშირებული აქტების შემდგომი დაზუსტების მიზნით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო დადგენილებით მიღებულ იქნა კონკრეტული გადაწყვეტილება 688 მიღება-ჩაბარების აქტის ნამდვილად მიჩნევის და მათი რეგისტრაციაში გატარების შესახებ, ასევე გადაწყდა სხდომის გადადების საკითხი. შესაბამისად, გასაჩივრებული აქტი ადგენდა არა რომელიმე ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმატიულ წესს, არამედ წარმოადგენდა კონკრეტული პირებისათვის კონკრეტული მიწის ნაკვეთების გადაცემის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას. ამდენად, სადავო აქტს არ გააჩნდა მრავალჯერადი გამოყენების რესურსი სხვა მსგავსი ურთიერთობების მიმართ. აღნიშნული დადგენილების მოქმედება შემოიფარგლებოდა მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ერთჯერადად, ინდივიდუალურად გადაწყვეტით. შესაბამისად, სადავოდ გამხდარი დადგენილება, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისათვის, ვერ იქნებოდა განხილული როგორც ნორმატიული აქტი.

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო საკითხი არ იყო საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი და №1431 კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

#### **1.1.4. კონსტიტუციურ სარჩელში ან კონსტიტუციურ წარდგინებაში მითითებული უკვე სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ**

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>3</sup> მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ „მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა ამ კანონის 21<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

დასახელებული საკანონმდებლო ნორმა ემსახურება პროცესის ეკონომიურობას და საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით, არ განიხილოს ისეთი საკითხები, რომლებიც ერთხელ უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ამავე დროს, ნორმა უშვებს სასამართლო პრაქტიკის გადახედვის შესაძლებლობას „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში - თუ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია ან კოლეგიის წევრი მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან, საქმე შესაძლოა, განსახილველად გადაეცეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.

საქმეზე „ნიკოლოზ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1445)<sup>31</sup> მოსარჩელე სადავოდ ხდიდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობას, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტით გარან-

<sup>30</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/7/1431 განჩინება საქმეზე „არჩილ ფულარიანი ქალაქ ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ“.

<sup>31</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/10/1445 განჩინება საქმეზე „ნიკოლოზ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ტირებულ შეკრების უფლებასთან მიმართებით. სადავო ნორმის თანახმად, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირები არ შეიძლება ყოფილიყვნენ პირები, რომელიც არ შესრულებიათ 18 წელი. მოსარჩელე მხარე არა-კონსტიტუციურად მიიჩნევდა 14-დან 18 წლის ასაკამდე არასრულნლოვანი პირებისთვის შეკრებისა და მანიფესტაციის პასუხისმგებელ პირად ყოფინის აკრძალვას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმის კონსტიტუციურობა უკვე შეფასებული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-183 გადაწყვეტილებით საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ შეკრების უფლებასთან მიმართებით შეაფასა არასრულნლოვანი პირებისთვის შეკრებისა და მანიფესტაციის პასუხისმგებელ პირად ყოფინის აკრძალვის კონსტიტუციურობა და სადავო რეგულაცია კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია. ამდენად, №1445 კონსტიტუციურ სარჩელში დაყენებული საკითხი, სასარჩელო მოთხოვნის აღნიშნულ ნაწილში, უკვე გადაწყვეტილი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა 2002 წლის 5 ნოემბრის №2/2/180-183 გადაწყვეტილებაში გამოთქმული სამართლებრივი პოზიცია, რის გამოც, №1445 კონსტიტუციური სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში, არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.

### 1.1.5. სუბსიდიურობა

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ „სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის“. საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელს არსებითად განსახილველად მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობაზე სრულყოფილი მსჯელობა შესაძლებელია ზემდგომი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასების გარეშე.

საქმეზე „თეკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1496)<sup>32</sup> მოსარჩელე სადავოდ ხდიდა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობას. მოსარჩელე მხარე 3 პირზე მეტი რაოდენობით ფიზიკურ პირთა თავშეყრის აკრძალვას არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საგანგებო მდგომარეობის ვადით, ნებისმიერი სახის შეკრება, მანიფესტაცია და ადამიანების თავშეყრა აკრძალული იყო „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის პირველი მუხლის მე-6 პუნქტით. შესაბამისად, მო-

<sup>32</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/8/1496 განჩინება საქმეზე „თეკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

სარჩელის პრობლემის გამომწვევი ნორმის მსგავს რეგულაციას იმეორებდა ზემდგომი ნორმატიული აქტი, რომელიც მოსარჩელე მხარეს სადაცოდ არ გაუხდია. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი ამ შეზღუდვის კონსტიტუციურობის თაობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელი იყო მასზე ზემდგომი ნორმატიული აქტის, საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის პირველი მუხლის მე-6 პუნქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე. შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.

## 1.2. ბადანყვეტილების დამდლევი ნორმები

### ნოე კორსავა და გიორგი გამგებელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2020 წლის 4 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო განჩინება საქმეზე „ნოე კორსავა და გიორგი გამგებელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები №1265 და №1318)<sup>33</sup> და ძალადაკარგულად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისთვის.

მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ ზოგიერთ ნარკოტიკულ საშუალებას არ გააჩნდა მცირე და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობები, რის გამოც, მათი ნებისმიერი ოდენობა, რომელიც არ წარმოადგენდა განსაკუთრებით დიდ ოდენობას, კვალიფიცირდებოდა დიდ ოდენობად, განურჩევლად იმისა, გამოყენებადი იყო თუ არა იგი მოსახმარად. შესაბამისად, სადაცო ნორმა სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, მათ შორის, მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შეძენისა და შენახვისთვის. მოსარჩელეთა აზრით, მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა არ წარმოადგენდა იმგვარი საზოგადოებრივი საშიშროების მქონე ქმედებას, რომელიც გაამართლებდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას. შესაბამისად, გასაჩივრებული რეგულაცია ენინააღმდეგებოდა არაადამიანური სასჯელის გამოყენების აკრძალვის კონსტიტუციურ დანაწესას. ამასთან, მოსარჩელეები თვლიდნენ, რომ სადაცო ნორმას ჰქონდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილებით<sup>34</sup> არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იდენტური შინაარსი და მოითხოვდნენ მის ძალადაკარგულად ცნობას საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

მოპასუხე მხარის პოზიციით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილება მიემართებოდა მხოლოდ კონკრეტული სახის და კონკრეტული ოდენობის ნარკოტიკულ საშუალებას – 0,00009 გ. დეზომორფინს. ყველა სხვა სახის ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვიდან მომდინარე საფრთხეების შეფასება, ისევე როგორც ამ ნარკოტიკული საშუალებების მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის დადგენა მოითხოვდა საქმის არსებითი განხილვის ფორმატს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადაცო ნორმა არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების დამძლევ ნორმად.

<sup>33</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის №1/19/1265,1318 განჩინება საქმეზე „ნოე კორსავა და გიორგი გამგებელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>34</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ 2017 წლის 13 ივლის №1/8/696 გადაწყვეტილებით დადგინდა ზოგადი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების დამზადების, შეძენისა და შენახვისთვის წარმოადგენდა აშეარად არაპროპორციულ სასჯელს და შესაბამისად, ენინაალმდეგებოდა არაადამიანური სასჯელის გამოყენების აკრძალვის კონსტიტუციურ დანაწესს. განსახილველ საქმეზე, სასამართლომ, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზზე დაყრდნობით, დაადგინა, რომ სადაც ნორმის რეგულირების ქვეშ ექცეოდა იმ ნარკოტიკული საშუალებების ნებისმიერი ოდენობა (გარდა განსაკუთრებით დიდი ოდენობისა), რომელთაც არ გააჩნდათ მცირე და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობები. შესაბამისად, გასაჩივრებული რეგულაცია, №1/8/696 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსად, ითვალისწინებდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, მათ შორის, მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შეძენისა და შენახვისთვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ნარევის ოდენობა განისაზღვრებოდა იმ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით, რომლის უკანონო ბრუნვისათვის (დადგენილი ოდენობით) გათვალისწინებული იყო სასჯელის უფრო მკაცრი ზომა. ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში შესაძლებელი იყო სახეზე ყოფილიყო ისეთი ნარევი, რომელში არსებული წამყვანი ნივთიერების ოდენობა (ნივთიერება, რომლის ოდენობის მიხედვითაც მოხდებოდა ქმედების კვალიფიკაცია), დამოუკიდებლად, ყოფილიყო მოსახმარად გამოუსადეგარი, თუმცა ამავე ნარევში არსებულ სხვა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებთან კომბინირებულ კავშირში, მას შეძლებოდა ნარკოგენული ეფექტის გამოწვევა და ნარევი ყოფილიყო მოსახმარად გამოსადეგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიუთითა, რომ ამა თუ იმ ნარკოტიკული საშუალების მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის დადგენა უნდა მომხდარიყო საერთო სასამართლოებში კონკრეტული საქმის გარემოებების ინდივიდუალური შეფასების შედეგად. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბრალდების მხარეს და საქმის განმხილველ სასამართლოს (სათანადო ცოდნის მქონე სპეციალისტის დაზრდებით) უნდა შეფასებინა, წარმოადგენდა თუ არა აღმოჩენილი ნარკოტიკული საშუალება/ნარკოტიკულ საშუალებათა ნარევი მოსახმარად გამოსადეგ օდენობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის ამა თუ იმ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა არ წარმოშობდა რაიმე ისეთ დამატებით საფრთხეს, რასაც ადგილი არ ექნებოდა მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის დეზომორფინის დამზადების, შეძენისა და შენახვისას. სადაც ნორმის არაკონსტიტუციურობა განპირობებული იყო არა ნარკოტიკული საშუალების სახით, არამედ კონკრეტული ოდენობიდან გამომდინარე მისი მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით. სადაც რეგულაციით დადგენილი სანქცია, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსად, მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზანს ემსახურებოდა, რაც ვერ იქნებოდა თვითკმარი საფუძველი სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოსაყენებლად.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ გაიზიარა 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილებაში გამოხატული პოზიცია და მიიჩნია, რომ არ არსებობდა სასამართლოს პრაქტიკის შეცვლის საჭიროება. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩევე მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სადაც ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

## გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2020 წლის 11 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო განჩინება საქმეზე „გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1476).<sup>35</sup> სადავო ნორმა ადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერ-სახის დამახინჯებისთვის, კერძოდ, პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსების-თვის ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი.

მოსარჩელე მხარე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა სადავო ნორმის იმ ნორმატიულ შინაარსს, რომელიც გამორიცხავდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მესაკუთრის მიერ ან მესაკუთრის თანხმობით პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების სპონტანური აქციის ფარგლებში, ხანმოკლე ვადით, დროებითი განთავსების შესაძლებლობას ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი. მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ ხსენებულ ნორმას ჰქონდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილებით<sup>36</sup> არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იდენტური შინაარსი და შუამდგომლობდა სადავო ნორმის საქმის არსებითი განხილვის გარეშე ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით, №1/5/1271 გადაწყვეტილებით შეფასდა ბალანსი, ერთი მხრივ, თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების თავიდან აცილების და, მეორე მხრივ, გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის ინტერესებს შორის, რომელიც თანაბრად რელევანტურია ნებისმიერ თვითმმართველ ერთეულთან, მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან მიმართებით. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ნორმის მოქმედების გეოგრაფიული ფარგლები ვერ ჩაითვლებოდა ისეთ გარემოებად, რომელიც ნორმის, საქმის არსებითი განხილვის ფორმატში, ხელახალი შეფასების წინაპირობას შექმნიდა.

მოპასუხე მხარემ, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი იზიარებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ სტანდარტს, ხოლო სადავო ნორმა ადგენდა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იდენტურ შეზღუდვას და სამართლებრივ შედეგს. შესაბამისად, მოპასუხე მხარემ ცნო №1476 კონსტიტუციური სარჩელი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილებით დადგენილი ზოგადი სტანდარტით, მიუხედავად მუნიციპალიტეტის იერსახის შენარჩუნების ლეგიტიმური ინტერესის მნიშვნელობისა, დროულობას და მყისიერებას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიმდინარე აქტუალური მოვლენების შესახებ მოსაზრების გამოხატვისას და პროტესტის ნებისმიერი დროით დაყოვნებამ შესაძლოა, მინიმუმამდე შეამციროს მისი ეფექტურობა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების ამგვარი ინტენსიური შეზღუდვის საპირნონე ვერ იქნება ამა თუ იმ შენობა-ნაგებობის იერსახის ხანმოკლე, დროებითი სახეცვლილების პრევენცია.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმა სიტყვასიტყვით იმეორებდა ძალადაკარგული ნორმის შინაარსს და არეგულირებდა არსებითად იდენტურ სამართლებრივ ურთიერთობას. განსხვავებას წარმოადგენდა მხოლოდ ის გარემობა, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენდა თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯებისთვის, ხოლო განსახილველ საქმეში სადავოდ გამხდარი ნორმა ვრცელდებოდა იმავე ქმედების ქალაქ

<sup>35</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის №2/14/1476 განჩინება საქმეზე „გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>36</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე „ბესიკ ქათამაძე, დავით მუავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებაზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ცალკეულ შემთხვევაში ამა თუ იმ ობიექტის გეოგრაფიული განლაგება შესაძლოა განაპირობებდეს მასზე განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის გავრცელების აუცილებლობას, თუმცა განსახილველ საქმეში არ გამოკვეთილა რაიმე დამატებითი ინტერესი, რომელიც მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული იმავე ქმედების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელების შეფასებისას. ამდენად, სადაც ნორმით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნები, მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალება და სამართლებრივი შედეგი იყო არსებითად იდენტური. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებული განსხვავება არ განაპირობებდა სადაც ნორმის არსებითი განხილვის ფორმატში შემოწმების საჭიროებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადაც ნორმა იმეორებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს და სადაც ნორმა, არსებითი განხილვის გარეშე, ძალადაკარგულად ცნო.

### 1.3. გადაწყვეტილებები

#### 1.3.1. პლენუმი

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2020 წლის 30 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელები №1459 და №1491). საქმეზე სადაც იყო გამხდარი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup> მუხლის რიგი პუნქტები, რომლებითაც განისაზღვრებოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესი.

საქართველოს სახალხო დამცველის არგუმენტაციით, კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა პარლამენტისთვის წარდგენის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნას. იმავდროულად, გადაწყვეტილების ფარული კენჭისყრით მიღების გამო, კანდიდატთა შერჩევის სხვადასხვა ეტაპზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ იყო შებოჭილი ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. მოსარჩელე მხარე განმარტავდა, რომ მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისი პროცედურების საფუძველზე შექმნილ და დაკომპლექტებულ სასამართლოს გააჩნია კონსტიტუციურსამართლებრივი ლეგიტიმაცია. სადაც ნორმები კი, რომლებიც არ გამორიცხავდა შერჩევის პროცესის თვითმიზნურად და არაგონივრულად წარმართვას, ეჭვქვემ აყენებდა სასამართლოს დაკომპლექტების კონსტიტუციურ მართლზომიერებას. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სადაც ნორმებით დადგენილი წესი ვერ უზრუნველყოფდა საუკეთესო კანდიდატების შერჩევას, რაც ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციით გარანტირებულ საჯარო თანამდებობის დაკავებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებებს.

მოპასუხე მხარის პოზიციით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შერჩევა არ წარმოადგენდა კონკურსს და განსხვავდებოდა პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა შერჩევის პროცესისაგან. აღნიშნულ პროცესში საქა-

რთველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი შემოიფარგლებოდა პარლამენტისათვის კანდიდატების წარდგენით, რაც არ გულისხმობდა სხვა პირების (კანდიდატების) დაწუნებას, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას პირის მოსამართლედ არჩევის შესახებ იღებდა საქართველოს პარლამენტი. ამდენად, მოპასუხე მიიჩნევდა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე პირის არჩევა არ ექცეოდა საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებით დაცულ სფეროში. იმავდროულად, მოპასუხე მხარე მიუთითებდა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით შებოჭილი იყო გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე. ამასთან, ხმის მიცემის ფარულობის მიუხედავად, სრულიად შესაძლებელი იყო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძვლად არსებული ფაქტობრივი წინაპირობების იდენტიფიცირება, ხოლო ფარულობა, თავისთავად, იცავდა საბჭოს თითოეულ წევრს გარეზეგავლენისაგან. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მიიჩნევდა, რომ სადავო რეგულაციები საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი სტანდარტების საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გავრცელების საკითხი. სასამართლომ განმარტა, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეთა შერჩევის პროცედურისთვის დადგენილი სტანდარტები ვერ იქნებოდა სრულად რელევანტური და იდენტური უზენაესი სასამართლოს მოსამართლებთან მიმართებაში, რამდენადაც განსხვავებული იყო როგორც დასაკავებელი თანამდებობის არსი, ასევე, სასამართლო ხელისუფლების სხვადასხვა საფეხურზე მოსამართლის განწესებაზე უფლებამოსილი კონსტიტუციური ორგანოები და ამ ორგანოთა როლი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, უზენაესი სასამართლოს წევრების შერჩევა-დანიშვნის უფლებამოსილება იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა (სასამართლო ხელისუფლება) და წარმომადგენლობით პოლიტიკურ ხელისუფლებას (პარლამენტი) შორის იყო განაწილებული და საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ პოლიტიკური ხელისუფლება იღებდა. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებისას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისკრეცია სათანადო კანდიდატების საკანონმდებლო ორგანოსთვის ასარჩევად წარდგენით შემოიფარგლებოდა და პარლამენტს რჩებოდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება. სასამართლოს მითითებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლების შერჩევის პროცესი, მიუხედავად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ წარდგინების ეტაპის არსებობისა, არჩევითი თანამდებობის ელემენტებით ხასიათდებოდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გადაწყვეტილების მიღებისას პარლამენტი, ისევე, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, შებოჭილნი იყვნენ კონსტიტუციის მოთხოვნით - კანდიდატი შეირჩეს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების საფუძველზე. ამასთან, სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და განწესების პროცესში ორი კონსტიტუციური ორგანოს მონაწილეობა, მათი ფუნქციები, დანიშნულება, სტატუსი, ერთობლიობაში, უზრუნველყოფა უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებას კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად - სათანადო კომპეტენციის, კეთილსინდისიერი მოსამართლებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იყო კომპეტენტური, განესაზღვრა მოსამართლის თანამდებობაზე გასამწესებელი სათანადო კანდიდატები და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც, ამ ორგანოს დაკომპლექტების წესისა და საქმიანობის განხორციელებისას არსებული საკანონმდებლო გარანტიებიდან გამომდინარე, თავისთავად იყო ლეგიტიმური. ამდენად, მოდელი, სადაც საბჭოს მიერ მიღე-

ბული გადაწყვეტილება საბჭოს წევრების მიერ ხმის მიცემით განისაზღვრებოდა და არ საჭიროებდა დამატებით წერილობით დასაბუთებას, კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებდა მიღებული გადაწყვეტილების ხარისხსა და სანდოობას. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისას გადაწყვეტილების მიღება წერილობითი დასაბუთების გარეშე არ არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცულ უფლებას.

ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებას ასევე არ არღვევდა გადაწყვეტილების მიღების ფარულობის წესი, რამდენადაც კენჭისყრის ფარულობა, ძირითადად, ემსახურებოდა ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, უზრუნველყოფდა გადაწყვეტილების მიმღები პირის დაცულობას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევის ეტაპზე მეტი სამუშაო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის უპირატესობის მინიჭების საკითხის კონსტიტუციურობის შეფასებისას სასამართლომ განმარტა, რომ პირის სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება მისი კვალიფიკაციის ხარისხობრივი მსაზღვრელი და ობიექტური კრიტერიუმი იყო. ამდენად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, უპირატესობის მინიჭება უფრო ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილების მქონე პირისათვის არ წარმოადგენდა არასათანადო ან/და ისეთ კრიტერიუმს, რომელიც ენინააღმდეგებოდა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც სადაც ნორმები უზრუნველყოფდა უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებას საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონდა ყველა სხვა პირის სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევას და ეს ნორმები კონსტიტუციისათან შესაბამისად ჩათვალა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - თეიმურაზ ტუდუშის, ირინე იმერლიმშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

განსხვავებულ აზრში უპირველესად განიმარტა საქართველოს კონსტიტუციით ჩამოყალიბებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის მოდელი, რომელიც გულისხმობს პირის როგორც აპოლიტიკური სასამართლო სისტემის ორგანოს, ასევე პოლიტიკური ორგანოს მიერ შეფასებასა და მხარდაჭერას, სადაც პარლამენტი ავსებს საბჭოს მიერ მიღებულ პროფესიულ გადაწყვეტილებას და ანიჭებს მას დემოკრატიულ ლეგიტიმიტაციას. გარდა ამისა, კონსტიტუციით განისაზღვრა მოსამართლეთა ცალკეული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. ამგვარად, ცალსახაა კონსტიტუციის ნება, რომ მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი პოლიტიკური პროცესისთვის დამახასიათებელი, მიზანშენონილობის საფუძველზე გადაწყვეტილებათა მიღება. დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, განსხვავებული აზრის ავტორთა პოზიციით, ფაქტობრივად მის მიზანშენონილობაზე, სურვილზე (ამ შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა სურვილზე) დაყრდნობით მიღებას უთანაბრდებოდა. მსგავსი შესაძლებლობა კი კონსტიტუციამ მხოლოდ პოლიტიკურ ხელისუფლებას ხალხის მიერ უშუალო კონტროლის განხორციელების პირობით მიანიჭა.

განსხვავებულ აზრში ჩამოყალიბებული მსჯელობის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე ხალხის კონტროლის კონსტიტუციური მექანიზმების ნაკლე-

ბობიდან გამომდინარე, დემოკრატიის პრინციპი მოითხოვს, მისი მხრიდან მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების სამართლის საფუძველზე და, არა მიზანშე-ნონილობაზე დაყრდნობით, მიღებას. სწორედ კონსტიტუციის 25-ე მუხლის მოთხოვნას წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის ისეთი სისტემის შექმნა, რომლის ფარგლებშიც, საბჭოს ექნება როგორც კანდიდატთა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის შეფასების ადეკვატური შესაძლებლობა, ისე, რომ გამოირიცხებოდეს საბჭოს მიერ გადაწყვეტილების თვითმიზნურად მიღება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რელევანტური ნორმების ანალიზის საფუძველზე, განსხვავებული აზრის ავტორებმა მიიჩნიეს, რომ შერჩევის პროცესის პირველი კენჭისყრის ეტაპი საბჭოს წევრებს არ აძლევდა კანდიდატთა ადეკვატურად და ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას და არ ითვალისწინებდა დასაბუთებულობის მოთხოვნის მინიმალურ ელემენტებსაც კი. ამასთან, სადაც ნორმებით დადგენილი შერჩევის შემდგომი ეტაპები არ იყო მიმართული დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისენ, ვერ გამორიცხავდა კანდიდატთათვის ხელოვნური უპირატესობისა თუ შედავათის მინიჭებას, ვერ უზრუნველყოფდა მათვის თანაბარ შესაძლებლობებს და უგულებელყოფდა კონსტიტუციით პირისთვის დადგენილ გარანტიას, მიიღოს სათანადო განმარტება თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის შესახებ. გარდა ამისა, განსხვავებული აზრის ავტორთა პოზიციით, კენჭისყრის ფარულობა კიდევ უფრო ამცირებდა საბჭოს წევრთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობასა და მათი ანგარიშვალდებულების ხარისხს. რაც შეეხებოდა გასაჩივრებულ წესს, რომლის საფუძველზეც თანაბარი შედეგების მქონე კანდიდატთაგან უპირატესობა ენიჭება მეტი სამუშაო გამოცდილების მქონე კანდიდატს, თავად ამ გამოცდილების ხარისხობრივი კომპონენტის გათვალისწინების გარეშე, მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესში წარმოადგენდა არასათანადო კრიტერიუმს.

საბოლოოდ, განსხვავებული აზრის თანახმად, სადაც ნორმებით ჩამოყალიბებული სისტემა სრულად უგულებელყოფდა დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების განმახორციელებელი პირების ანგარიშვალდებულების პრინციპს და არღვევდა ადამიანის უფლებას, დაიკავოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა.

ზემოაღნიშნულთან ერთად, განსხვავებული აზრის ავტორებმა მიიჩნიეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2020 წლის 30 ივლისს მიღებული №3/1/1459,1491 გადაწყვეტილება არსებითად ენინაალმდეგებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მყარად დადგენილ სტანდარტებს და არ იზიარებს მის სულისკვეთებას.

სადაც ნორმების სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით შეფასებისას, განსხვავებული აზრის ავტორმა მოსამართლეებმა განმარტეს, რომ ამ უფლების პრაქტიკული რეალიზებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამოსამართლო უფლებამოსილების უშუალოდ განმახორციელებელი მოსამართლეების პიროვნულ და პროფესიულ მახასიათებლებს. ამდენად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურას უნდა უზრუნველყო კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მოსამართლეების თანამდებობაზე განწესება და ამ პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება. მოსამართლეთა შერჩევის ეტაპები, განსხვავებული აზრის ავტორთა მოსაზრებით, ვერ პასუხობდა ხსენებულ კონსტიტუციურ მოთხოვნებს, კერძოდ, ვერ ქმნიდა მოსამართლეობის კანდიდატის სრულფასოვნად შეფასების საშუალებას და, ამდენად, საბჭო მოკლებული იყო შესაძლებლობას, კანდიდატების კონსტიტუციით განვითარებით განვითარებით შემოწმების საფუძველზე მიეღო გააზრებული გადაწყვეტილება. იმავდროულად, პროცედურა არ ითვალისწინებდა საბჭოს მიერ თითოეულ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების მექანიზმს, რაც კანდიდატთა ფარული კენჭისყრის შედეგების მათი შეფასების ქულებთან კავშირის არარსებობის პირობებში, მოკლებული იყო ლოგიკას.

## ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2020 წლის 25 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არ დააკმაყოფილა №1473 კონსტიტუციური სარჩელი („ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). დასახელებულ საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 12 დეკემბრის №5544-ს დადგენილება „ნიკანორ მელიასათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“. ხსენებული დადგენილების მიღების საფუძვლად განისაზღვრა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 დეკემბრის განაჩენი, რომლითაც ნიკანორ მელია დამნაშავედ იქნა ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის.

მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვა-დამდე შეიძლება შეწყვეტოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, კანონიერ ძალაში შესულად კი ჩაითვლებოდა ის განაჩენი, რომელიც იყო საბოლოო და აღარ ექვემდებარებოდა პირდაპირი წესით გასაჩივრებასა და შეცვლას ზემდგომ სასამართლოში. მოსარჩელე განმარტავდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს შესაძლოა დაეშვა შეცდომები ფაქტების შეფასებისას და მიეღო არასწორი გადაწყვეტილება. ამ რისკის თავიდან ასაცილებლად კი არსებობდა გასაჩივრების მექანიზმი, თუმცა იგი აზრს დაკარგავდა, თუ პირს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მიადგებოდა შეუქცევადი ზიანი. შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს და შეიცავდა პირის უფლებების შეუქცევადად დარღვევის რიკა.

მოპასუხე მხარე განმარტავდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის საკითხი დაკავშირებული იყო მის აღსრულებასთან. იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა დაყოვნდებოდა საქმეზე გასაჩივრების მექანიზმის ამონურვამდე, ვერ მოხდებოდა ამ განაჩენის აღსრულება და პირისთვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის დაკისრება, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუშლიდა საქმეზე მართლმასჯულების განხორციელებას. აქედან გამომდინარე, მოპასუხე მიიჩნევდა, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნებისათვის, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ჩათვლილიყო კანონიერ ძალაში შესულად და, ამ მხრივ, სადავო დადგენილება არ არღვევდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, შეაფასა, რამდენად იწვევდა სადავო დადგენილება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტად მიიჩნევა მხოლოდ ის ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც პარლამენტის წევრის სტატუსის დაკარგვას პერმანენტული/გრძელვადიანი ხასიათი აქვს და უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ დადგენილების გაუქმების გარეშე კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის მისი აღდგენის შესაძლებლობა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ნიკანორ მელიას ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებდა მოსარჩელისთვის პარლამენტის მანდატის აღდგენის შესაძლებლობას, თუნდაც ზემდგომ სასამართლოს იგი უდანაშაულოდ მიეჩინა, რაც წარმოადგენდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისათვის.

მომდევნო ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის შინაარსი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების

შეწყვეტის წესთან და საფუძვლებთან დაკავშირებით. სასამართლოს შეფასებით, პარლამენტის წევრის უფლებამოსილების არასწორად შეწყვეტა წარმოშობდა პირის უფლებების შეუქცევადად დარღვევისა და ხალხის ნების დაძლევის უდიდეს რისკებს. სწორედ ამიტომ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი ექსკლუზიურად და ამომწურავად ჩამოთვლიდა იმ საფუძვლებს, რომელთა არსებობაც იწვევდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას და ეს ჩამონათვალი არ ექვემდებარებოდა გაფართოებას ქვემდგომი საკანონმდებლო აქტებით. ამასთანავე, მართალია საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძლად განსაზღვრავდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობას, თუმცა ამა თუ იმ დანაშაულის სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრა ავტომატურად არ მიუთითებდა იმაზე, რომ კონკრეტული ქმედების ჩადენის გამო დასაშვები იყო პირის უფლებამოსილების შეწყვეტა, ისევე როგორც, არ გამოირიცხებოდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მიღმა არ-სებულიყო ქმედებები, რომელთა ჩადენასაც უნდა გამოეწვია საპარლამენტო მანდატის ვადაზე ადრე შეწყვეტა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება წარმოადგენდა სწორედ იმგვარ დანაშაულს, რომლის ჩადენაც შეუსაბამო იყო პარლამენტის წევრის სტატუსთან.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე იმსჯელა, თუ რამდენად შეიძლება პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მიჩნეულ იქნას კანონიერ ძალაში შესულად და საფუძლად დაედოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას. მისი განმარტებით, პარლამენტში იმ პირთა საქმიანობა, რომლებიც „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით“ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით პირველი ინსტანციის სა-სამართლომ დამნაშავედ ცნო, აზიანებდა საკანონმდებლო ორგანოს რეპუტაციას და ეჭვეჭვეშ აყენებდა მის სანდოობას. ამასთან, სასამართლოს შეფასებით, გამამტყუნებელი განაჩენის არსებობა ლეგიტიმურობას აცლიდა პარლამენტის წევრის მიმართ ხალხის ნდობას და მათ მიერ მინიჭებულ მანდატს. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების ურთიერთმიმართებას და მიუთითა, რომ თუ არ მოხდებოდა პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გა-ნაჩენის აღსრულება პარლამენტის წევრთან მიმართებით, საფრთხე შეექმნებოდა არა-მხოლოდ პარლამენტის ეფექტურ ფუნქციონირებას, არამედ მართლმსაჯულების განხორციელებასაც.

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ დასკვნა, რომ ნიკანორ მელიასათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა პირველი ინსტანციის სა-სამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე არ ეწინააღმდეგებოდა საქართ-ველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - თემურაზ ტუღუშის, ირინე იმერლიმვილის, გიორგი კვერენჩილაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

განსხვავებული აზრის ავტორებმა არ გაიზიარეს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადება წარმოადგენს მის კანონიერ ძალაში შესვლას და შესაძლებელია საფუძლად დაე-დოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას. მათი განმარტებით, სისხლის სამართლის საქმეზე მუდმივად არსებობს ფაქტების არასწორად შეფასების, შეცდომის დაშვების და არასწორი გადაწყვეტილების მიღების რისკი. ამ რისკის რეალიზების უარყოფითი შედეგები კი ყველაზე თვალსაჩინოა საქართველოს პარლამენტის წევრის,

როგორც პირდაპირი არჩევნების გზით არჩეული პირის უფლებამოსილების შეწყვეტისას, რითაც შეუქცევადად ირღვევა არა მხოლოდ პირის უფლება, არამედ ილახება ამომრჩევლის ინტერესები და საფრთხე ექმნება პარლამენტის უფექტურ ფუნქციონირებას. ამდენად, განსხვავებული აზრის ავტორთა პოზიციით, პარლამენტის წევრის უფლებებში ამ ინტენსივობის ჩარევა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა განხორციელდეს.

მოსამართლებმა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის საკითხზე მსჯელობისას პარალელი გავლეს უდანაშაულობის პრეზუმუციასთან და მიუთითეს, რომ როგორც არაბრალებულობის პრეზუმუციის, ისე პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხთან მიმართებით ტრემინს „კანონიერ ძალაში შესული განაჩენი“ ანალოგიური მნიშვნელობა და მიზანი გააჩნია. კერძოდ, ორივე შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუცია მიზნად ისახავს პირის დაცვას უფლების შეუქცევადი დარღვევისაგან მანამ, სანამ გადაწყვეტილება მისი დამნაშავედ ცნობის შესახებ არ გახდება საბოლოო (არ ამოიწურება გადაწყვეტილების პირდაპირი გასაჩივრების მექანიზმები).

განსხვავებული აზრის ავტორებმა ასევე ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს გამამტყუნებელი განაჩენის პირდაპირ შედეგს და ამ საკითხზე საქართველოს პარლამენტმა დამოუკიდებლად უნდა იმსჯელოს. ანუ მანდატის შეწყვეტა წარმოადგენს არა სასჯელს, არამედ პირის დამნაშავედ ცნობის გვერდით ეფექტს. ამდენად, მათი განმარტებით, მცდარია საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მოსაზრება მართლმსაჯულების აღსრულებასა და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

განსხვავებული აზრის ავტორთა პოზიციით, პარლამენტის წევრის სტატუსის დაკარგვა დასაშვებია მხოლოდ საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რამდენადაც მანდატის შეწყვეტას გააჩნია პერმანენტული/გრძელვადიანი ხასიათი და შეწყვეტის შესახებ დადგენილების გაუქმების გარეშე კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის მისი აღდგენის შესაძლებლობა და პარლამენტის წევრის/ მისი ამომრჩევლის ინტერესებს ადგება შეუქცევადი ზიანი.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, განსხვავებული აზრით ავტორები მიიჩნევენ, რომ „ნიკანორ მელიასათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 12 დეკემბრის №5544-ს დადგენილება ენინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რამდენადაც ნიკანორ მელიას უფლებამოსილება შეუწყდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის საფუძველზე, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეს ამონურული არ ჰქონდა განაჩენის გასაჩივრების მექანიზმი და ეს განაჩენი საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისათვის არ ითვლებოდა კანონიერ ძალაში შესულად.

ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2020 წლის 25 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე, რომელშიც სადავოდ გამხდარი ნორმა საარჩევნო სუბიექტებისთვის ადგენდა 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე გასამართ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიული სიის იმგვარად შედგენის ვალდებულებას, რომ სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც ყოფილიყო განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდებოდა.

კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოსარჩელე პოლიტიკურმა გაერთიანებამ

შეიმუშავა სისტემა, რომლის საფუძველზეც არჩევნებში მონაწილეობისათვის პარტიული სის ფორმირება სრულად დამოკიდებულია პარტიის პარტიიორთა მიერ გამოხატულ ნებაზე. სადაც ნორმა მოსარჩევე მხარეს ავალდებულებდა, სქესთა შორის ბალანსის დაცვის მოტივით, განეხორციელებინა ცვლილებები პარტიის პარტიიორთა მიერ განსაზღვრულ პარტიულ სიაში. მოსარჩევე მხარის განმარტებით, მსგავსი ვალდებულების დაკისრება გაუმართლებლად ზღუდავდა მათ საარჩევნო უფლებას. ამასთან, პოლიტიკური პარტია იძულებული ხდებოდა, უგულებელეყო საკუთარი პარტიიორების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რაც უარყოფითად აისახებოდა პარტიიორთა მხრიდან პარტიის დაფინანსების საკითხზე და, შესაბამისად, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა პოლიტიკური გაერთიანების სრულფასოვან ფუნქციონირებას.

მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ საარჩევნო უფლების შეზღუდვას განაპირობებდა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ძირითადი უფლება, რომლის საფუძველზეც, სახელმწიფოს დაეკისრა პოზიტიური ვალდებულება, მიიღოს განსაკუთრებული ზომები ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად. განსახილველ შემთხვევაში კი, სადაც ნორმის ლეგიტიმურ მიზანს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სქესთა შორის არსებული ბალანსის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიული სის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობაში სავალდებულო რეგულაციების დაწესება იწვევს მოსარჩევეთა საარჩევნო უფლების შეზღუდვას. სასამართლომ, პირველ რიგში, შეაფასა სადაც ნორმით დაწესებული შეზღუდვის თავსებადობა დემოკრატიული მმართველობის პრინციპთან და განმარტა, რომ სქესის ნიმნით კვოტირება არ უკავშირდება რაიმე ტიპის კონკრეტული იდეის ან/და პოლიტიკის ხელშეწყობას. ამასთან, კვოტირება ხდება იმ პირებს შორის, რომლებიც საარჩევნო უფლების მქონე ადამიანთა მეტ-ნაკლებად თანაბარ ნაწილებს წარმოადგენენ და იგი არ იწვევს საქართველოს პარლამენტში რომელიმე ჯგუფის წარმომადგენლობის არაპროპორციულად ზრდას. ამდენად, სადაც ნორმის მოქმედების შედეგად, მოქალაქეთა არჩევანზე სახელმწიფოს გავლენა არის მინიმალური, შესაბამისად, იგი ვერ იქნება მიჩნეული დემოკრატიის პრინციპთან თავისთავად შეუთავსებელ შეზღუდვად.

აღნიშნულის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა სადაც ნორმის შესაბამისობა უშუალოდ თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებთან მიმართებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებისა და თანასწორი სამართლებრივი რეგულირებების პირობებშიც კი შესაძლებელია კონკრეტული ჯგუფები, სოციალური გარემოს მოქმედებით შექმნილი ხელოვნური ბარიერების გამო, ვერ ახდენდნენ შესაძლებლობების სხვათა თანაბრად რეალიზებას. სწორედ ამგვარი, სამართლის მიღმა არსებული სოციალურ-პოლიტიკური უთანასწორობის წინააღმდეგ და შესაძლებლობების თანასწორად რეალიზების ხელშეწყობისკენ არის მიმართული საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება. აღნიშნული დებულება სახელმწიფოს აღჭურავს მხოლოდ რეალური საჭიროებით განპირობებული სპეციალური ღონისძიებების გატარების უფლებამოსილებით. იგი სახელმწიფოსაგან მოითხოვს სპეციალური ღონისძიებების გატარებას სქესის გამო წარმატების ხელისშემსლელი ხელოვნური საზოგადოებრივი ბარიერების დამაბალანსებელი მექანიზმების შექმნით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ხეენებული დებულების მიზანია ფაქტობრივი თანასწორობის ხელშემწყობი გარემოებების შექმნა და არა თანასწორობის ხელოვნურად უზრუნველყოფა.

საკონსტიტუციო სასამართლომ, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებლის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ მათი მცირე წარმომადგენლობა შეუძლებელია უკავშირდებოდეს მხოლოდ ბუნებრივ ფაქტორებს, არამედ იგი განპირობებულია საზოგადოებაში არსე-

ბული ქალების პოლიტიკაში მონაწილეობისთვის ხელშემშლელი გარემოებებით. კერძოდ, საქართველოში მყარად დამკვიდრებული სტეროტიპული შეხედულებები კიდევ უფრო აძლიერებს ქალის პოლიტიკაში მონაწილეობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არა-ჯანსაღი, ხელოვნური ბარიერების არსებობის არგუმენტს და, საბოლოოდ, ქალებისთვის ქმინის უთანასწორო გარემოს, მათ შორის, პოლიტიკაში მონაწილეობის თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა მიიჩნია საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტიდან მომდინარე ლეგიტიმურ მიზნად, რომლის მისაღწევადაც შესაძლოა საარჩევნო უფლების შეზღუდვა.

შეზღუდვის გამოსადეგობის ეტაპზე მსჯელობისას, სასამართლომ ცალკე იმ-სჯელა პარტიული სიის ყოველ ოთხეულში მინიმუმ ერთი მამაკაცი კანდიდატის გათვალისწინების ვალდებულებაზე და აღნიშნა, რომ ლოგიკურ ახსნას არის მოკლებული, თუ რატომ იზღუდება სრულად, ან უმეტესად ქალებით დაკომპლექტებული საარჩევნო სიის ფორმირება მაშინ, როცა ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებ(ოდ)ა მამაკაცთა რაოდენობას და, ამავე დროს, არ არსებობს უახლოეს მომავალში პარლამენტში მამაკაცთა სასარგებლოდ კვოტირების განხორციელების საჭიროების შექმნის რაციონალური მოლოდინი. შესაბამისად, ამგვარი რეგულაცია ხელს უშლის საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას. ამდენად, სადაც ნორმით დადგენილი მოთხოვნა, რომლის თანახმადაც საარჩევნო სიის ყოველ ოთხეულში უნდა იყოს მინიმუმ ერთი მამაკაცი, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით.

სადაც ნორმის იმ ნორმატიულ შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც საარჩევნო სუბიექტებს ავალდებულებს, პარტიული სიის ყოველ ოთხეულში წარმოდგენილი ჰყავდეთ მინიმუმ ერთი ქალი კანდიდატი, სასამართლომ მიუთითა, რომ სადაც ღონისძიება დღროის მოკლე მონაკვეთში შედეგის მიღწევის ერთ-ერთ ყველაზე ქმედით მექანიზმს წარმოადგენს და ახდენს პარლამენტში, როგორც მინიმუმ, გარკვეული პროცენტული ოდენობით, ქალთა წარმომადგენლობის გარანტირებას. ამ კუთხით, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პრინციპულად არასწორია საქართველოს პარლამენტის წევრების შედარება სხვადასხვა პროფესიის პირებთან. მისი შეფასებით, პროფესიული თანამდებობისგან ან სხვა პროფესიული საქმიანობისგან განსხვავებით, სადაც მართვის უკეთ განხორციელება და წარმატებული შედეგის მიღწევა პირდაპირ კავშირშია ამ პოზიციისთვის საუკეთესო ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირების შერჩევასთან, საქართველოს პარლამენტის დაკომპლექტება ხდება სრულად ხალხის, როგორც სუვერენის ნების შესაბამისად, ხოლო პარლამენტარის საქმიანობის სათანადოდ განხორციელება არ არის დაკავშირებული ისეთ სპეციალურ უნარებთან, რომლებიც, როგორც წესი, მამაკაცებს ახასიათებთ. ამდენად, სასამართლოს შეფასებით, სადაც რეგულირებით დადგენილი სავალდებულო კვოტირება, პროფესიული საქმიანობის სფეროებისგან განსხვავებით, ხელს ვერ შეუშლის პარლამენტის საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ მხედველობაში მიიღო სადაც ნორმის დროებითი ხასიათი, აგრეთვე ის გარემოება, რომ საარჩევნო სუბიექტთა თავისუფლება მინიმალური დონით იზღუდება არა მხოლოდ განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა ნაკლები რაოდენობრივი მოთხოვნის დაწესებით, არამედ თავად რეგულირების ბუნებიდან გამომდინარე. კერძოდ, შეზღუდვა მიემართება კანდიდატების არა რაიმე განსაკუთრებული ნიშან-თვისებების საფუძველზე შერჩევას, არამედ ისეთ მოთხოვნას (სქესს), რომელიც თავისი ბუნებით ერთ-ერთი ყველაზე მარტივად გადასასალახი ბარიერია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ნორმით სამართლიანად არის დადგენილი ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის და საარჩევნო სიის ყოველ ოთხეულში მინიმუმ ერთი ქალის გათვალისწინების

ვალდებულება არ ენინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადაღებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ევა გოცირიძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/1526 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

განსხვავებული აზრის ავტორმა მიუთითა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით ვერ დამყარდა სამართლიანი ღირებულებითი ბალანსი. ამასთან, არ არსებობდა სადაც ნორმის და მისი არც ერთი „ნორმატიული შინაარსის“ არაკონსტიტუციურად ცნობის ფაქტობრივი, იურიდიული თუ ლოგიკური საფუძველი.

განსხვავებული აზრის ავტორის განმარტებით, სადაც ნორმა ნამდვილად ემსახურებოდა შესაბამის სამართალურთიერთობაში სქესთა შორის თანასწორობის მიღწევის ლეგიტიმურ ინტერესს. ამავდროულად, ნორმის მიზანია დაეხმაროს სამართალურთიერთობაში დაჩაგრულ სქესს და არა კონკრეტულად ქალს ან მამაკაცს, რაც პირდაპირ შესაბამება კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ პრინციპებს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სწორედ ამ დებულებაში ამოიკითხა საკონსტიტუციო სასამართლომ, სავსებით მართებულად, სახელმწიფოს განსაკუთრებული პოზიტიური ვალდებულებები ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის უზრუნველყოფასთან მიმართებით.

განსხვავებული აზრის ავტორის მოსაზრებით, ლეგიტიმური მიზნის მიღწევას სადაც ნორმა ახდენს საარჩევნო უფლებაში მინიმალური ჩარევით, ვინაიდან იგი მოითხოვს სიის მხოლოდ ყოველ ოთხეულში ერთი განსხვავებული სქესის წარმომადგენლის ჩართვას. შესაბამისად, აღნიშნული შეზღუდვის მიღმა პარტიებს რჩებათ საკმაო მიხედულების თავისუფლება, თავიანთი პრეფერენციების მიხედვით შეადგინონ პარტიული სია.

განსხვავებული აზრის ავტორი მიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად გადაწყვიტა მამაკაცთა სასარგებლო კვოტირების კონსტიტუციურობის საკითხი. მისი მოსაზრებით, სადაც რეგულაციის უმთავრესი მიზანია პარლამენტში ქალთა და მამაკაცთა მეტნაკლებად თანაბარი წარმოდგენა. შესაბამისად, როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის თანაბარი კვოტირების დაწესება არათუ არ ენინააღმდეგება თანასწორობის იდეას, არამედ ყველაზე უფრო პირდაპირ და ნათლად გამოხატავს მას. ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი პარლამენტში სახელდებით სწორედ ქალთა და მამაკაცთა არსებით თანასწორობაზე მიუთითებს და არა უშუალოდ ქალთა წარმომადგენლობის გაზრდაზე. შესაბამისად, თუ ლეგიტიმურ მიზნად ვიგულისხმებთ არა უშუალოდ პარლამენტში ქალთა რაოდენობის გაზრდას, არამედ, უთანასწორობის აღმოფხვრას, მაშინ ძნელი სათემელი იქნება, რომ მამაკაცთა კვოტირება არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზნის მიღწევას და, მათ შორის, არ არსებობს გონივრული და რაციონალური კავშირი. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას ქალთა და მამაკაცთა არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფისა და პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ლეგიტიმური მიზნები ერთმანეთთან შეუთავსებლად მიიჩნია, რამაც განაპირობა საკითხის არასწორად გადაწყვეტა. ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა კი, პირიქით, ხელს უწყობს სქესთა შორის ბალანსის უზრუნველყოფას.

განსხვავებული აზრის ავტორის მითითებით, საკმაო რისკების შემცველია ის ნორმატიული მოცემულობა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიქმნა. სასამართლომ მამაკაცთა კვოტირების არაკონსტიტუციურად ცნობით შინაარსობრივად ნეიტრალურ რეგულაციას შესძინა დისკრიმინაციული ხასიათი და ამით თავად განახორციელა თანასწორობის უფლებაში ჩარევა. უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლომ, ფაქტობრივად, მხოლოდ ქალთა პარტიების არსებობის შესაძლებლობა დაუშვა, ხოლო მამაკაცთა პარტიების არსებობა უარყო. ქალებისთვის ამგვარი პრიორიტეტის მინიჭება საფრთხეს წარმოადგენს როგორც სქესთა შორის თანასწორობის, ისე, ზოგა-

დად, დემოკრატიის ხარისხის გაზრდის თვალსაზრისით და იგი იოლად ვერ გამართლ-დება პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ლეგიტიმური მიზნით.

განსხვავებული აზრის ავტორი აღმოჩენას, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტით ფაქტობრივად, შეასრულა პოზიტიური კანონმდებლის როლი.

განსხვავებული აზრის ავტორი ასევე მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ არაკონ-სტიტუციურად ცნობილი ნორმატიული შინაარსი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სადაც ნორმის ნორმატიულ შინაარსად, რომელიც მას ნამდვილად გააჩნდა. მისი მოსაზრებით, სადაც ნორმას მხოლოდ ერთი ნორმატიული შინაარსი აქვს, რაც გულისხმობს პარ-ტიულ სიებში ორივე სქესის სავალდებულო კვოტირებას. შესაბამისად, სწორედ „ორივე სქესის კვოტირება“ ქმნის ერთ ნორმატიულ მოცემულობას, რის გამოც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენურმ სადაც ნორმა ან მთლიანად კონსტიტუციურად უნდა ეცნო ან იგი მთლიანად არაკონსტიტუციურად უნდა მიეჩნია.

განსხვავებული აზრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ დავის ამგვარი გადაწყვეტით წარმოშვა ახალი დილემაც. კერძოდ, მან გამორიცხა მამაკაცების შესაძლე-ბლობა საკონსტიტუციო სასამართლოში იდავონ სქესის ნიშნით განსხვავებული მოპყ-რობის კონსტიტუციურობის თაობაზე საარჩევნო უფლებასთან მიმართებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - ირინე იმერ-ლიშვილის და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუ-ციო სასამართლოს პლენურმის 2020 წლის 25 სექტემბრის №3/3/1526 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტთან მიმართებით

განსხვავებული აზრის ავტორები მიუთითებენ, რომ სადაც წესი, რომელიც საქარ-თველოს მოქალაქეებს ავალდებულებს, საქართველოს პარლამენტში აუცილებლად აირ-ჩიონ გარკვეული რაოდენობის ქალი დეპუტატი, მიმართულია საქართველოს მოქალაქე-თა არჩევანის თავისუფლების შეზღუდვის და არა მისი ხელშეწყობისკენ. სადაც ნორმა ადგენს წესრიგს, რომელიც უცხოა არჩევანის თავისუფლებაზე დაფუძნებული საარჩევ-ნო პროცესისათვის და, ამდენად, სადაც ნორმა ამ უფლების მძიმე შეზღუდვას აწესებს.

განსხვავებული აზრის ავტორები არ უარყოფენ, რომ საზოგადოებაში ქალთა რა-ოდენობასთან შედარებით, საქართველოს პარლამენტში მათი წარმომადგენლობის მნიშ-ვნელოვნად დაბალი ნიშნული არსებობს. თუმცა აღნიშნული, თავისთავად, არ ამტკიცებს, რომ ასეთი ფაქტობრივი მოცემულობა უმეტესად გამოწვეულია ქალების მიმართებით საზოგადოებაში არსებული არაჯანსაღი დამოკიდებულებებითა თუ სტერეოტიპული შეზღულებებით. განსხვავებული აზრის ავტორების მოსაზრებით, ამგვარი ვითარების არსებობის შემთხვევაშიც კი, კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი არ ქმნის სა-დაც ნორმით განსაზღვრული სპეციალური ღონისძიების (რომლის მიზანია, სოციალური ბარიერების მოხსნის გზით, ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი სასტარტო პირო-ბების უზრუნველყოფაა და არა მათი შედეგებში გათანაბრება) გამოყენების საფუძველს, ვინაიდან იგი პირდაპირ არის ორიენტირებული შედეგზე. . შესაბამისად, სადაც ნორმა სცდება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით სახელმწიფოსათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და სახეზე არ არის მისი მოქმედების ლეგი-ტიმური საფუძველი.

განსხვავებული აზრის ავტორებმა შეზღუდვის გამოსადეგობაზე მსჯელობისას აღნიშნეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია თუ რამდენად ეფექტურად ახდენს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების განეიტრალე-ბას სავალდებულო კვოტირება. მათი მოსაზრებით, ამგვარმა რეგულაციამ პირიქით, შესაძლოა ხელი შეუწყოს ქალის როლისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულების გამყარე-ბას, ვინაიდან, დეპუტატ ქალთა რაოდენობის ხელოვნურად განსაზღვრა ქმნის მათი

თანამდებობაზე დაუმსახურებლად მოხვედრის შესახებ საზოგადოებრივი აზრის გაჩენის რისკს. ამავდროულად, სადავო ნორმით უზრუნველყოფილი ქალთა წარმომადგენლობა, მისი არარსებობის პირობებშიც თითქმის მიღწეული იყო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად. შესაბამისად, სადავო რეგულირება არ ცვლის საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაუმჯობესების კუთხით მოსალოდნელ მოცემულობას, რის გამოც იგი ვერ ჩაითვლება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად.

აუცილებლობის ეტაპზე მსჯელობისას, განსხვავებული აზრის ავტორებმა აღნიშნეს, რომ 2008-2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის მზარდ მაჩვენებელზე მიუთითებს. კერძოდ, მთლიანად პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა უკანასკნელი სამი საპარლამენტო არჩევნების შედეგად გაიზარდა 6%-დან 12%-მდე, ხოლო შემდეგ 16%-მდე. ამასთან, პროპორციული სისტემის ნაწილში 10.66%-დან გაიზარდა 14.29%-მდე, ხოლო შემდეგ 23.38%-მდე. 2016 წელს, როგორც მთლიანად პარლამენტში, ასევე პროპორციული სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრთა ნაწილში ორჯერ და მეტად გაიზარდა ქალთა წარმომადგენლობა და რეალურად, სადავო ნორმით უზრუნველყოფილი ქალთა წარმომადგენლობა თითქმის მიღწეული იყო. აღნიშნული მონაცემების არსებობისას, საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მტკიცება, რომ ბუნებრივ პირობებში საქართველოს პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის ზრდის დინამიკა არასაკმარისია. ამდენად, განსხვავებული აზრის ავტორებმა მიიჩნიეს, რომ სახეზე არ იყო სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვის დაწესების აუცილებლობა და იგი არ წარმოადგენდა უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავ საშუალებას.

განსხვავებული აზრის ავტორებმა ვიწრო პროპორციულობის საკითხზე მსჯელობისას აღნიშნეს, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატია გულისხმობს ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელი გადაწყვეტილებების იმ პირთა მიერ მიღებას, რომლებიც ამომრჩეველთა თავისუფალი ნების საფუძველზე, ყველაზე მეტი მხარდაჭერით იქნენ არჩეულნი და ყოველგვარი ხელოვნური ჩარევა მაქსიმალურად უნდა იქნეს გამორიცხული. შესაბამისად, პროფესიული თანამდებობის მსგავსად, არანაკლებ საფრთხის შემცველია შესაბამისი მხარდაჭერის არმქონება და, ამდენად, არასაკმარისი ლეგიტიმაციის მქონე პირის მიერ ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღების მინდობა. ასევე, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ, სადავო ღონისძიება შემოღებული იქნა საპარლამენტო არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე. შესაბამისად, პოლიტიკურ პარტიებს არ მიეცათ გონივრული დრო, წინასწარ ეზრუნათ შესაბამისი რაოდენობის ქალ კანდიდატთა პოპულარიზაციასა და მათი მხარდაჭერის სათანადოდ გაზრდაზე. ამავდროულად, ის პოლიტიკური პარტიები, რომელთაც ბუნებრივად მაღალი ქალთა წარმომადგენლობა ჰყავდათ, უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან, რომელთაც არ ჰყავდათ საკმარისი რაოდენობის შესაბამისი პოლიტიკური რეიტინგის მქონე ქალი კანდიდატები. აღნიშნულის გათვალისწინებით, განსხვავებული აზრის ავტორები მიიჩნევენ, რომ საარჩევნო სის ყოველ ოთხეულში მინიმუმ ერთი ქალის გათვალისწინების ვალდებულება ენინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცულ საარჩევნო უფლებას.

**ლევან მესხი, ნესტან კირთაძე, თამაზ ბოლქვაძე და სხვები (სულ 50 მოსარჩევე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ**

2020 წლის 29 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან მესხი, ნესტან კირთაძე, თამაზ ბოლქვაძე და სხვები (სულ 50 მოსარჩევე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩევები №648, 1315, 1369, 1370, 1371, 1372, 1373, 1374, 1375, 1379, 1385, 1386,

1388, 1391, 1397, 1398, 1405, 1406, 1407, 1411, 1413, 1414, 1415).<sup>37</sup> საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები, რომელიც სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები სუბიექტების განსაზღვრული კატეგორიისთვის ადგენდა კომპენსაციის ზედა ზღვარს 560 ლარის ოდენობით და სადავო ნორმათა შემოღებამდე დადგენილ კომპენსაციის უქვემდებარებდა გაანგარიშების ახლებურ წესს, რაც გულისხმობდა კომპენსაციის ზედა ზღვარის დაწესებას 560 ლარის ოდენობით.

მოსარჩელები წარმოადგენდნენ პარლამენტის ყოფილ წევრებს, რომელთა კომპენსაციაც სადავო ნორმის ამოქმედებამდე შეადგენდა 750 ლარს და სადავო ნორმის საფუძველზე შემცირდა 190 ლარით. მოსარჩელეთა პოზიციით, კომპენსაციის შემცირება ეწინააღმდეგებოდა მათი საკუთრების უფლებას. მოსარჩელები აღნიშნავდნენ, რომ სახელმწიფო კომპენსაციას „ორმხრივი“ დანიშნულება ჰქონდა და ემსახურებოდა პირის ნამსახურობის სტაჟისა და ქვეყნის წინაშე განეული განსაკუთრებული სამსახურის დაფასებას, აგრეთვე, იმ პირთა სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რომელთაც გვერდით გადადეს საკუთარი პროფესიული საქმიანობა, რათა ჩართულიყვნენ და აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცხოვრებაში. კომპენსაციის შემცირებით სახელმწიფომ უგულებელყო აღნიშნული მიზნები. ამასთან, მოსარჩელისთვის ბუნდოვანი იყო თუ რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა პარლამენტის ყოფილი წევრის კომპენსაციის შემცირება, იმ პირობებში, როდესაც კომპენსაციის ოდენობის შემცირებით არ მომხდარა სხვა ტიპის ბენეფიციარი პირებისათვის სოციალური უზრუნველყოფის ოდენობათა მნიშვნელოვანი ზრდა.

მოპასუხე მხარის განმარტებით, სადავო ნორმების საჯარო ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის მდგრადობა, სახელმწიფო ხარჯების რაციონალიზაცია, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ეკონომიკური კეთილდღეობის დაცვა, დაბალანსებული და მდგრადი კეთილდღეობის სისტემის ჩამოყალიბება. ამასთან, სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში გააჩნდა მიხედულების ფართო ფარგლები. მოპასუხე მხარის მითითებით, გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტორიც, რომ სადავოდ ქცეული საკანონმდებლო ცვლილება არ იყო იზოლირებული და შეადგენდა საპენსიო სისტემის უფრო ფართო საკანონმდებლო რეფორმის ნაწილს. ამასთან, დადგენილი კომპენსაციის მაქსიმალური ოდენობა იყო სამართლიანი, რადგან 2,8-ჯერ აღემატებოდა ჩვეულებრივ სოციალურ პენსიას. შესაბამისად, სადავო ნორმების საფუძველზე, პროპორციულად იზლუდებოდა მოსარჩელეთა საკუთრების უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი არ შემოიფარგლება საკუთრების ტრადიციული გაგებით და ის აგრეთვე მოიცავს ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლებას, რომელიც ლეგიტიმურ მოლოდინს ეფუძნება. კანონის საფუძველზე შექმნილი ლეგიტიმური მოლოდინის დაცვის ხარისხი, სხვადასხვა შემთხვევებში, შესაძლოა, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთის-გან. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მისი შეფასება უნდა მოხდეს ამგვარი ინტერესის/სარგებლის ბუნებისა და სამართლებრივი რეგულირების სფეროს გათვალისწინებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ გამოყო სამართლებრივ ურთიერთობათა კატეგორიები, სადაც საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობაში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას სასამართლო მკაცრად შეაფასებს. კერძოდ, იმ შემთხვევებში, როდესაც პირი სახელმწიფოს სასარგებლოდ ამა თუ იმ ქმედებას ახორციელებს სამომავლოდ

<sup>37</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №3/4/648, 1315, 1369, 1370, 1371, 1372, 1373, 1374, 1375, 1379, 1385, 1386, 1388, 1391, 1397, 1398, 1405, 1406, 1407, 1411, 1413, 1414, 1415 გადაწყვეტილება საქმეზე “ლევან მესხი, ნესტან კირთაძე, თამაზ ბოლქვაძე და სხვები (სულ 50 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”.

სარგებლის მიღების პირობით და ხსენებული პირობის შესრულების ვალდებულება ლეგიტიმურ დაცვას იმსახურებს, ან როდესაც სახელმწიფო, მის მიერ გამოვლენილი ნების ფარგლებში, სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის კონკრეტულ პირებთან, რომელსაც სურვილი და მზაობა გააჩნიათ, დადგენილი წინაპირობების შესრულების შედეგად, მიიღონ ქონებრივი სარგებელი, რადგან აღნიშნული ურთიერთობა შინაარსობრივად ემსგავსება სახელშეკრულებო ურთიერთობას. დასახელებული შემთხვევებისგან განსხვავებით, როდესაც სახელმწიფო ქონებრივ სარგებელს გასცემს კეთილი ნების საფუძველზე, სარგებელის მიმღები პირებისგან შემხვედრი ქმედების განხორციელების მოლოდინის გარეშე, სასამართლო საკუთრების უფლების დარღვევას არ დაადგენს, თუ სახელმწიფოს მოქმედება ეფუძნება გონივრულ დასაბუთებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეებს გააჩნდათ ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მოქმედი პარლამენტის წევრის ხელფასის შემცირების გარეშე მათი პენსია არ შემცირდებოდა. მოქმედი პარლამენტის წევრის ხელფასი გაიზარდა, აღნიშნულის საპირისპიროდ, სადაც ნორმათა შემოღებით, კანონმდებელმა შეამცირა მოსარჩელეთა კომპენსაციის ოდენობა. ამდენად, სადაც ნორმა ადგენდა საკუთრების უფლების შეზღუდვას.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ პარლამენტის წევრისათვის პენსიის/კომპენსაციის გადახდა არ წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ მიღებული სარგებლის, სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის დამახასიათებელ საპასუხო შესრულებას, რადგან პარლამენტის წევრობა თავისი ბუნებით არ წარმოადგენს ისეთ საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო კვალიფიციური კადრების სიმცირის ან სხვა ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება ადგენდეს თანამდებობის დაკავების და საქმიანობის განხორციელების წამახალისებელ მექანიზმებს, განსხვავებით სხვა საჯარო თანამდებობებისგან (მაგალითად, ჯარისკაცი, პოლიციელი). მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის დანიშვნა ემსახურებოდა პარლამენტის წევრის განსაკუთრებული როლის პატივისცემას და არა მისი სამსახურის სანაცვლოდ სახელმწიფოს მიერ აღებული სოციალური ვალდებულებების შესრულებას. შესაბამისად, პარლამენტის ყოფილი წევრებისათვის სადაც კანონით დანიშნული სახელმწიფო კომპენსაცია წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პოლიტიკის ფარგლებში, კეთილი ნების საფუძველზე შექმნილ სოციალურ გარანტიას.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მხარის არგუმენტაცია და დაადგინა, რომ კომპენსაციის ზედა ზღვრის დაწესება მიმართული იყო მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების მისაღწევად, დაბალანსებული და სოციალურად სამართლიანი საპენსიონი სისტემის შესაქმნელად. ამავდროულად, მოცემულ შემთხვევაში, არ მომხდარა მოსარჩელეთა კანონით განსაზღვრული ქონებრივი ინტერესის იმგვარად შემცირება, რომელიც ფაქტორივად გაუთანაბრდებოდა ამგვარი ინტერესის არსობრივად გამოფიტვას და მოსარჩელებს დააკისრებდა ინდივიდუალურ და გადამეტებულად მძიმე ტვირთს. სასამართლომ მიუთითა, რომ პარლამენტის ყოფილი წევრებისათვის სადაც კანონით დადგენილი სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ჩვეულებრივ სოციალურ პენსიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, პარლამენტის ყოფილი წევრების პენსიის/კომპენსაციის შემცირება ეფუძნებოდა გონივრულ დასაბუთებას და არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებს.

### 1.3.2. პირველი კოლეგია

ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ

2020 წლის 4 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1404). მოსარჩელები სადაც ხდიდნენ პირადობის მოწმობის გაცემის წესის მოწესრიგებელ ნორმებს, რომლებიც არ იძლეოდა აღნიშნული დოკუმენტის, არაელექტრონული სახით, ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის (ე. წ. „ჩიპის“) გარეშე გაცემის/მიღების შესაძლებლობას.

მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის შემცველი პირადობის მოწმობა ადამიანების ტოტალური კონტროლის საშუალებაა და დაკავშირებულია აპოკალიფსის შესახებ ბიბლიურ წინასწარმეტყველებასთან. შესაბამისად, ისინი, საკუთარი რწმენის გამო, კონსტიტუციის მე-16 მუხლის საფუძველზე უარს აცხადებდნენ ასეთი დოკუმენტების მიღებაზე. გარდა ამისა, მოსარჩელე მხარის არგუმენტაციით, სადაც ნორმები ობიექტური საფუძვლის გარეშე ადგენდა განსხვავებულ მოპყრობას იმ პირებთან მიმართებით, რომლებსაც არ შეეხო საკანონმდებლო ცვლილება და დღემდე სარგებლობენ უვადო არაელექტრონული პირადობის მოწმობებით, რაც ეწინააღმდეგებოდა თანასწორობის უფლებას.

მოპასუხის პოზიციით, ელექტრონული პირადობის მოწმობის შემოღების აუცილებლობა რამდენიმე საფუძვლით იყო განპირობებული. ერთი მხრივ, სახელმწიფოს გააჩნდა ლეგიტიმური ინტერესი, რომ უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე გაეცა ისეთი დოკუმენტი, რომელიც მაქსიმალურად დაცული იქნებოდა გაყალბებისგან. აღნიშნულ მიზანს კი უზრუნველყოფდა პირადობის მოწმობაში ინტეგრირებული ელექტრონული კომპონენტი (ჩიპი). მეორე მხრივ, ოფიციალური დოკუმენტების და მათ შორის პირადობის მოწმობის სანდოობის ხარისხის უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო მათი ერთიანი, უნიფიცირებული სახით არსებობა. ამასთან, პირადობის მოწმობის გაცემის სხვა, ალტერნატიული წესის დაშვება დაკავშირებული იქნებოდა საკანონმდებლო და პრაქტიკული ხასიათის პრობლემებთან. თანასწორობის უფლებასთან მიმართებით მოპასუხებ აღნიშნა, რომ სადაც გამხდარი ნორმები ადგენდა ელექტრონული პირადობის მოწმობის გაცემის ერთიან წესს, შესაბამისად არ ახდენდა პირთა შორის დიფერენცირებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელეთა უარი, მიიღონ ელექტრონული პირადობის მოწმობა, წარმოადგენდა მათი რელიგიური რწმენის გაცხადებას და ემყარებოდა მათ გულწრფელ რელიგიურ მოსაზრებებს. შესაბამისად, ასეთი რელიგიური წინააღმდეგობა ექცევითა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული რწმენის/აღმსარებლობის თავისუფლების დაცვის ფარგლებში.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, სადაც ნორმები იმთავითვე არ ახდენდნენ მოსარჩელეთა რელიგიური რწმენის თავისუფლებაში ჩარევას. სადაც რეგულაცია თავისი ბუნებით ნეიტრალური ხასიათის იყო და ელექტრონული პირადობის მოწმობის გაცემის უალტერნატივი წესის დადგენით თანაბრად მიემართებოდა ყველა პირს, მათი რწმენის მიუხედავად. ამასთან, გასაჩივრებული წესი არ ადგენდა რაიმე ისეთ აკრძალვას ან შეზღუდვას, რაც ვინმესათვის რწმენის ამა თუ იმ ფორმით გაცხადების თავისუფლებაში ჩარევას გულისხმობდა. თავის მხრივ, შინაარსობრივად წეიტრალური ნორმებიდან მომდინარე გვერდითი ეფექტი ვერ იქნებოდა თვითკმარი საფუძველი რწმენის თავისუფლებაში ჩარევის სამტკიცებლად.

საკონსტიტუციო სასამართლომ, სადაც ნორმებით რწმენის თავისუფლებაში შესაძლო ჩარევის საკითხის განმარტების შემდეგ მოსარჩელეთა რწმენის თავისუფლებისათვის წარმოშობილი ზიანი შეაფასა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ჭრილში. ამ თვალსაზრისით, სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი, თუ რამდენად იყო სახელმწიფო ვალდებული, სადაც ნეიტრალური ნორმიდან გაეთვალისწინებინა გამონაკლისები გვერდითი ეფექტების თავიდან აცილების მიზნით.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პირადობის ელექტრონული მოწმობის გაცემის უალტერნატივო წესის ფარგლებში მოსარჩელები საკუთარი რწმენის დაცვის მოტივით პირადობის მოწმობის გარეშე დარჩნენ, რამაც გვერდითი ეფექტების სახით მათი სოციალური ცხოვრების მრავალი კომპონენტიდან გარიყვა გამოიწვია. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, ოფიციალური ადმინისტრაციული დოკუმენტების ერთგვაროვნების დაცვის მნიშვნელოვანი საჯარო და ინდივიდუალური ინტერესების საზიანოდ სახელმწიფოს არ წარმოემობოდა ვალდებულება ზოგადი, შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულაციიდან დაეშვა გამონაკლისები. შესაბამისად, სასამართლომ, ინდივიდუალურ და საჯარო ინტერესთა ურთიერთკავშირის ფარგლებში სწორედ ასეთი ბალანსი მიიჩნია გონივრულად და სამართლიანად.

თანასწორობის უფლებაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადაც ნორმები ნეიტრალური ხასიათის იყო და ადგენდა ერთგვაროვან უფლებრივ რეჟიმს პირადობის მოწმობის მიღების მსურველი ყველა პირისათვის. მოქმედი რეგულაციის პირობებში, ნებისმიერ პირზე, მათ შორის მოსარჩელეთა მიერ იდენტიფიცირებული ჯგუფის წევრებზეც, პირადობის მოწმობის განახლების შემთხვევაში, გაიცემოდა ელექტრონული პირადობის მოწმობა. შესაბამისად, ახალი რეგულაციით ყველა პირი, მათ შორის, უვადო არაელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელები, პირადობის მოწმობის აღების საკითხში, იმყოფებოდნენ არა განსხვავებულ, არამედ ერთნაირ, იდენტურ უფლებრივ მდგომარეობაში.

ყველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ნორმები არ ენინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით და მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ რწმენისა და სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლებებს.

### „შპს ბექანასი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2020 წლის 12 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ბექანასი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1475).

განსახილველ საქმეზე მოსარჩელე მხარე სადაც ხდიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ დებულებას, რომელიც, სათანადო ლიცენზიის გარეშე წიაღით სარგებლობისათვის, სანქციის ერთ-ერთ სახედ ითვალისწინებდა და სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციას.

№1475 კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია, რომ მოსარჩელე ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სათანადო ლიცენზიის გარეშე წიაღით სარგებლობისათვის და, ადმინისტრაციული სახდელის სახედ განესაზღვრა სამართალდარღვევის ჩასადენად გამოყენებული იარაღის – ტრაქტორის კონფისკაცია. მოსარჩელის განმარტებით, სადაც ნორმა, სანქციის სახით, ითვალისწინებდა სამართალდარღვევის იარაღის უპირობო კონფისკაციას და საქმის განმხილველ მოსამართლეს ართმევდა ადმინისტრაციული სანქციის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას. მოსარჩელის მითითებით, საქმის განმხილველი მოსამართლე მოკლებული იყო შესაძლებლობას, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, კერძო და საჯარო ინტერესების ადეკვატური დაბალანსების გზით, განესაზღვრა სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციის აუცილებლობა, რაც გაუმართლებლად ზღუდავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებით განმტკიცებულ საკუთრების უფლებას.

მოპასუხის – საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის განმარტებით, სადაც ნორმის შემუშავება სათანადო ლიცენზიის გარეშე წიაღის მოპოვების პრაქტიკაში არსებული გახშირებული შემთხვევებითა და მხოლოდ ფინანსური სანქციების არაეფექტურობით იყო განპირობებული, ემსახურებოდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით

რაციონალურად სარგებლობის საჯარო ლეგიტიმურ მიზანს და, ამ თვალსაზრისით, არ ეწინააღმდეგებოდა საკუთრების კონსტიტუციურ უფლებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, განმარტა, რომ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის იარაღი განეკუთვნება ქონებათა იმ კატეგორიას, რომელზეც ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული სფერო. შემდგომში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, სამართალდარღვევის იარაღის სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის გზით, მესაკუთრე კარგავს აღნიშნული საგანის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობას, რაც წარმოადგენს საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. ამასთან, სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მხარის პოზიცია, ბუნებრივი გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფა მიიჩნია კონსტიტუციურ დონეზე დაცულ ღირებულ საჯარო სიკეთედ და დაადგინა, რომ სადაც რეგულირებით გათვალისწინებულ შეზღუდვას თავისთავად გააჩნია სამართალდარღვევის ჩადენის შემაკავებელი ეფექტი და ლოგიკურ კავშირშია საჯარო ლეგიტიმურ მიზანთან.

სადაც შეზღუდვის აუცილებლობაზე მსჯელობისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირის საკუთრებაში არსებული ქონების იძულებით უსასყიდლოდ ჩამორთმევა წარმოადგენს საკუთრების უფლების შეზღუდვის ყველაზე მძიმე ფორმას. შესაბამისად, სამართალდარღვევის იარაღის ჩამორთმევისას განსაკუთრებულად იზრდება საზოგადოებრივი საჭიროების უპირატესობის დასაბუთებისა და შეპირისპირებულ ინტერესთა შორის სამართლიანი და თანაზომიერი ბალანსის დადგნის აუცილებლობა. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას, აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული ისეთი გარემოებები, როგორიცაა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სიმძიმე, გარემოსათვის მიყენებული ზიანის ბუნება და მასშტაბი, სამართალდამრღვევი სუბიექტის ვინაობა და პიროვნული მახასიათებლები, აგრეთვე სხვა ინდივიდუალური მახასიათებლები, რომელთა ერთობლიობა შესაძლებელია, განაპირობებდეს სადაც ნორმით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას ან სასამართლოს მიერ მის გამოყენებაზე უარის თქმას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, შეპირისპირებული ინტერესების აწონ-დაწონვის გარეშე შეუძლებელი იქნება იმის დადგენა, რამდენად აუცილებელი და გამართლებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საგნის ჩამორთმევა სათანადო ლიცენზიის გარეშე წიაღით სარგებლობის სამართალდარღვევის ყველა შესაძლო შემთხვევასთან მიმართებით. აღნიშნულის საპირისპიროდ, სასამართლომ მიუთითა, რომ სადაც ნორმა არ ითვალისწინებდა ადმინისტრაციული სანქციის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას, იმდენად, რამდენადაც იგი სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციას განსაზღვრავდა სავალდებულო და ავტომატურ ღონისძიებად. შედეგად, იგი იმაზე მეტად ზღუდავდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის იარაღის მესაკუთრის საკუთრების კონსტიტუციურ უფლებას, ვიდრე ობიექტურად აუცილებელი იყო ბუნებრივი გარემოსა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის ლეგიტიმური საჯარო ინტერესების დასაცავად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად მიიჩნია სადაც ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის – წიაღით სათანადო ლიცენზიის გარეშე სარგებლობისათვის, სანქციის სახით, ითვალისწინებდა სამართალდარღვევის იარაღის სავალდებულო კონფისკაციას და გამორიცხავდა საქმის განმხილველი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ ამავე სანქციის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას.

## კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2020 წლის 18 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1312).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადაცო ნორმა ადგენდა დაზარალებულის უფლებას, მიეღო ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაცნობოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგებოდა გამოძიების ინტერესებს. მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლებით აღჭურავდა და არ ითვალისწინებდა ამ მასალების ასლების გადაცემის შესაძლებლობას.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის გაცნობის უფლება, მათ შორის, გულისხმობს საჯარო დაწესებულებაში დაცული დოკუმენტების ასლების მიღების უფლებასაც. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ საქმის მასალების გადაცემა ემსახურებოდა დაზარალებულის ინტერესების ეფექტური დაცვის შესაძლებლობას, რათა ეფექტიანი კონტროლი გაეწია საგამოძიებო ორგანოების საქმიანობაზე და, საჭიროების შემთხვევაში, გაესაჩივრებინა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება. ამასთან, რამდენადაც სისხლის სამართლის სამართლნარმოების პროცესში ინფორმაციის გაცემის წინაპირობას წარმოადგენს გამოძიების ინტერესების დაზიანების თავიდან არიდება, მოსარჩელისთვის ბუნდოვანი იყო უშუალოდ დაზარალებულთან დაკავშირებული საქმის მასალების გაცნობის აკრძალვის არგუმენტაცია.

მოპასუხე მხარე განმარტავდა, რომ სახელმწიფო საგამოძიებო ორგანოებში გამოძიების შესახებ არსებულ ინფორმაციაზე და დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობა მართალია, ექცეოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ სფეროში, თუმცა სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების მიღება არ წარმოადგენდა ამ კონსტიტუციური დებულების მოთხოვნას. მოპასუხის მითითებით, მასალების გადაცემის შემთხვევაში გამოძიებისთვის ხელშეშლის რისკი იმატებს, კერძოდ, ასლების გადაღებითა და მათზე მატერიალურად წვდომის უფლების მინიჭებით, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგებოდა არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ დანაშაულთან ბრძოლის პროცესს და სამართალნარმოების მხარეთა ინტერესებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხესნებული კონსტიტუციური დებულების მიზანი არ არის მხოლოდ ინფორმაციის წაკითხვა არამედ, მისი დანიშნულებაა იმგვარი მექანიზმის შექმნა, რომელიც პირს საშუალებას მისცემს, სათანადოდ, გულდასმით შეისწავლის ინფორმაცია, გამოიკვლიოს მისი სისწორე, გააანალიზოს, გააკეთოს დასკვნები, გაავრცელოს ან/და გამოიყენოს იგი სხვადასხვა ლეგიტიმური მიზნით. სასამართლოს მითითებით, ინფორმაციის სპექტრის მრავალფეროვნების ზრდა, პირთა განსხვავებულ საჭიროებებსა და ინტერესებთან ერთად, მოითხოვს მისი გაცნობისთვის შესაფერისი ინსტრუმენტების შექმნას, თუმცა როგორი უნდა იყოს ინფორმაციის გაცემის ინსტრუმენტი, პრინციპულად დამოკიდებულია საკუთრივ ინფორმაციის ფორმასა და შინაარსზე და არა მომთხოვნი პირის საჭიროებებზე. მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულის გამოძიების მასალებისადმი ინტერესი მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებით არის განპირობებული, რაც აუცილებელს ხდის მასზე ეფექტიან წვდომას. სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუციის ხესნებული მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცნობის უფლება გულისხმობდა ამ ინფორმაციის ეფექტიანი გაცნობის შესაძლებლობას, რაც საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა აგრეთვე მოიცავდეს ამგვარი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის, ასლის სახით მიღებასაც.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სისხლის სამართლის მასალების

მხოლოდ ადგილზე გაცნობის და თუნდაც, წერილობითი ჩანაწერების ხელით გაკეთების შესაძლებლობა დაინტერესებული პირისათვის ყოველთვის ვერ უზრუნველყოფდა საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებული ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის ეფექტიანი, სრულფასოვანი გაცნობის შესაძლებლობას. ამდენად, სადაც ნორმით ხდებოდა პირის ინფორმაციის თავისუფლებით დაცული სფეროს შეზღუდვა.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და აღნიშნა, რომ სადაც ნორმის ლეგიტიმური მიზანი იყო გამოძიების ინტერესების დაცვა. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თუ საქმის მასალების დაზარალებულისთვის გაცნობა არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, ამით არ გამოირიცხება შესაძლებლობა, რომ ამავე მასალების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობამ გამოძიებას მიაყენოს ზიანი. მართალია, დაზარალებულმა შესაძლოა გაავრცელოს ის ინფორმაცია, რაც გაცნობის შედეგად მიიღო, თუმცა, მასალების ასლების სახით გავრცელება გამოძიების სრული სურათის წარმოჩენის რისკს ქმნის. შესაბამისად, საქმის მასალების ასლების გადალების აკრძალვა ამცირებდა ხსენებულ რისკებს, შესაბამისად, ის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას წარმოადგენდა.

აუცილებლობის ეტაპზე, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ დაზარალებული წარმოადგენს გამოძიების სათანადოდ წარმართვით და, შესაბამისად, ინფორმაციის გაცნობით ყველაზე მეტად დაინტერესებულ პირს. ამავდროულად, საქმის მასალებში არსებული ინფორმაცია შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან და შესაბამისად, გამოძიების ინტერესის დაცვის აუცილებლობაც განსხვავებული იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ამდენად, გამოძიების ინტერესების დაცვისა და საჯარო დაწესებულებაში პირის შესახებ არსებული ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ინტერესებს შორის შესაძლოა, წარმოიშვას მათი ინდივიდუალურად დაბალანსების საჭიროება. აღნიშნულის საპირისპიროდ, სადაც ნორმა ადგენდა საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების ასლის სახით მიღების ბლანკეტურ შეზღუდვას, ინდივიდუალური გარემოებების შეფასების გარეშე.

გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, კონკრეტული მექანიზმების შემუშავება კანონმდებლის დისკრეციას წარმოადგენს, თუმცა, მან შესაძლებლად მიიჩნია კანონმდებლობით იმგვარი მექანიზმის შემუშავება, რომელიც თანაბრად უზრუნველყოფდა ყველა ჩართული ლეგიტიმური ინტერესის ადეკვატურ და სათანადო გათვალისწინებას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადაც ნორმა საჯარო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის გაცნობის უფლებას ზღუდავდა იმაზე მეტი ინტენსივობით, ვიდრე ეს აუცილებელი იყო გამოძიების დაცვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ უფლებას.

### ფატმან კვარაცხელია და კახა ეხვაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2020 წლის 18 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „ფატმან კვარაცხელია და კახა ეხვაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩევლი №1380). მოსარჩევის მიერ საქმეზე სადაც გამხდარი ნორმები ადგენდა ფიზიკურ პირზე (მათ შორის, ინდივიდუალურ მექანიზმზე) გასაცემი/გაცემული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად მის ან სხვა ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე იპოთეკის და გარკვეული კატეგორიის ნივთებთან მიმართებით, გირავნობის გამოყენების აკრძალვას.

მოსარჩევე მხარე აღნიშნავდა, რომ სადაც შეზღუდვა გაუმართლებელ დიფერენცირებას ახდენდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, ხოლო დიფერენცირე-

ბას ლეგიტიმური მიზანი ვერ ექნებოდა, ვინაიდან სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ფიზიკური და იურიდიული პირები ქონების დაკარგვის იდენტური საფრთხის წინაშე იდგნენ. მეორე მხრივ, მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმები ზღუდავდა მესაკუთრის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის შესაძლებლობას და სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობებისთვის დამახასიათებელ ნების თავისუფლებას. ხსენებულის გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თანასწორობისა და საკუთრების უფლებას.

მოპასუხე მხარემ განმარტა, რომ სადავო რეგულირების მიზანი იყო მომხმარებლის უფლებების დაცვა და ჭარბვალიანობის რისკების შემცირება, რაც, უშუალოდ უკავშირდებოდა ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას. ამასთან, მოპასუხების მითითებით, შეზღუდვა განპირობებული იყო კრედიტორის მხრიდან მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისგან სესხის მიმღები პირების სამართლებრივი დაცვის აუცილებლობით. მოპასუხების მტკიცებით, სესხის გამცემი ფიზიკური პირების საქმიანობა დასახელებულ რისკებს ზრდიდა, ვინაიდან კონტროლს არ ექვემდებარებოდა ფიზიკური პირების მიერ გაცემული სესხის ოდენობა, საპროცენტო განაკვეთი და არ ხდებოდა სესხის მიმღები ფიზიკური პირის გადახდისუნარიანობის სათანადო ანალიზი. ამავდროულად, მოპასუხე გამართლებულად მიიჩნევდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის დიფერენცირებულ მოპყრობას, ვინაიდან, იურიდიული პირი, როგორც წესი, იქმნება არაერთჯერადი ეკონომიკური მოგების მიზნით და, საკრედიტო სფეროში, გაცილებით მეტი გამოცდილებისა და მაღალი ცნობიერების მქონეა, ვიდრე ფიზიკური პირი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საზოგადოებაში ჭარბვალიანობის თავიდან აცილება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა უკავშირდება ისეთ მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს, როგორიც არის ეკონომიკის სიჯანსაღე, საზოგადოების მსყიდველუნარიანობის შენარჩუნება, ხოლო ფიზიკური პირების სასესხო ვალდებულებების მასობრივ აკუმულირებას შეუძლია, ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე და გამოიწვიოს კრიზისი საკრედიტო სფეროში. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სესხთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირების გზით ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება არის ის განსაკუთრებით ფასეული სიკეთე, რომლის დასაცავად დასაშვებია საკუთრების უფლების შეზღუდვა.

ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ბაზარზე არსებული კრედიტორები, უმეტეს შემთხვევაში, სარგებლობები მათი მდგომარეობისთვის დამახასიათებელი ასიმეტრიული ძალა ბალანსით, რაც განპირობებულია არა მხოლოდ მათი შესაბამისი გამოცდილებით, არამედ სამართლებრივი ურთიერთობიდან მაღალი სარგებლის მიღების მომეტებული ინტერესითაც. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ აუცილებელია ისეთი მექანიზმების არსებობა, რომელიც დააბალანსებს ასეთი კრედიტორებისგან მომდინარე საფრთხეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ, მათი სპეციფიკურობის და არსებული რისკების გათვალისწინებით, ერთმანეთისგან გამიჯნა უძრავ ნივთზე იპოთეკის და გარკვეული კატეგორიის მოძრავ ნივთებთან მიმართებით, გირავნობის გამოყენების შემთხვევები. სასამართლომ აღნიშნა, რომ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი, როგორც წესი, დამახასიათებელია ისეთი საკრედიტო ურთიერთობებისთვის, რომლებიც უკავშირდება განსაკუთრებით დიდი ოდენობით საკრედიტო ვალდებულების მიღებას. შესაბამისად, ამგვარი სესხის კრედიტორისთვის დაბრუნება ისეთ მაღალ ტვირთს შეიძლება აკისრებდეს პირს, რომ მნიშვნელოვანად ამცირებდეს მის მსყიდველუნარიანობას და საგრძნობლად აუარესებდეს მის ხელთ არსებული რესურსებით სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ზემოხსენებული ნეგატიური შედეგების დიდი სიხშირის გამო, მხედველობაშია მისაღები ნორმის არა მხოლოდ ინდივიდუ-

ალური, არამედ საზოგადოებრივი ეფექტი, ვინაიდან რიგ საჯარო ინტერესებს ექმნება საფრთხე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ნორმით სამართლიანად არის დადგენილი ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის გამცემ პირთა წრის შეზღუდვა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გარანტირებულ საკუთრების უფლებას.

თუმცა, გარკვეული კატეგორიის მოძრავი ნივთების, მათ შორის, სატრანსპორტო სამუალებების გირავნობით უზრუნველყოფის სამუალებად გამოყენებასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ ის საფრთხეები, რომლებიც კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას ახლავს თან. მისი განმარტებით, მოპასუხე მხარემ ვერ დაასაბუთა, რომ დასახელებული ნივთების კრედიტორის ხელში გადასვლა მსესხებლის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაზიანებას გამოიწვევდა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ნორმით განსაზღვრული მოძრავი ნივთებით უზრუნველყოფილი საკრედიტო ვალდებულებების მასობრივად შეუსრულებლობის შემთხვევაში, ზიანი ვერ იქნებოდა იმ ხარისხის, რომ ფინანსური სტაბილურობის ინტერესი სერიოზული საფრთხის ქვეშ აღმოჩენილიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადაც ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გარანტირებულ საკუთრების უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის დიფერენცირებულ მოპყრობაზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ იურიდიული პირები, მათი სტატუსიდან გამომდინარე, სარგებლობენ გარკვეული უპირატესობით, კერძოდ, მათ მეტი მატერიალური და არამატერიალური რესურსი გააჩნიათ იმისთვის, რომ უკეთესად განსაზღვრონ სამართლებრივი ურთიერთობიდან მომდინარე საფრთხეები, მოახდინონ საკუთარი რესურსების დეტალური ანალიზი და სათანადოდ შეისწავლონ კრედიტორის მიერ მიწოდებული ინფორმაცია. შესაძლებელია, იურიდიულმა პირმა ვერ შეძლოს საკრედიტო ვალდებულების შესრულება, თუმცა, სადაც ნორმები მიზნად ისახავს არა ერთეული შემთხვევების გამორიცხვას, არამედ ისეთი რეალობის თავიდან აცილებას, როდესაც მესაკუთრეები მასობრივად კარგავენ თავიანთ ქონებას და მათი მსყიდველუნარიანობის შემცირების მასშტაბები არის განსაკუთრებულად დიდი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი საფრთხე იურიდიული პირების შემთხვევაში არის ძალიან მცირე, გამართლებულია სახელმწიფოს მიერ განსხვავებული რეგულირების დადგენა იმ პირთა მიმართ, რომელთა საქმიანობაც განსაკუთრებული რისკების მატარებელია და ამდენად, სადაც ნორმები არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით გარანტირებულ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას.

### 1.3.3. მეორე კოლეგია

„შპს ალტა“, „შპს ოქეი“, „შპს ზუმერი ჯორჯია“, „შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი“ და „შპს სმაილი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2020 წლის 25 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „შპს ალტა“, „შპს ოქეი“, „შპს ზუმერი ჯორჯია“, „შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი“ და „შპს სმაილი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №877).

№877 კონსტიტუციურ სარჩელში სადაც გამხდარი ნორმები, ფიზიკური პირის მიერ აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების პირადი მიზნით რეპროდუცირებისას (კოპირებისას), პონორარის გადახდის ვალდებულებას უდგენდა ამგვარი ნაწარმოების რეპროდუცირებისთვის განკუთვნილი მოწყობილობების

(მაგალითად, მობილური ტელეფონების და პერსონალური კომპიუტერების) და მატერიალური მატარებლების (მაგალითად, USB ფლეშ მეხსიერების) მწარმოებლებსა და იმპორტიორებს. ამასთანავე, ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრებოდა, ერთი მხრივ, აღნიშნულ მწარმოებლებს ან იმპორტიორებს და, მეორე მხრივ, ერთ-ერთ იმ ორგანიზაციას შორის შეთანხმებით, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე მართავს ავტორთა, შემსრულებელთა და ფონოგრამების დამამზადებელთა ქონებრივ უფლებებს. თუ მხარეები ვერ მიაღწევდნენ შეთანხმებას, ჰონორარის ოდენობას, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესს, ერთ-ერთი მხარის ან მხარეების მიმართვის საფუძველზე, განსაზღვრავდა „საქპატენტი“. „საქპატენტის“ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულიყო სასამართლოში გადაწყვეტილების მიღებიდან 2 თვის ვადაში.

გარდა ამისა, სადაც ნორმები ქონებრივი უფლების კოლექტიურ საფუძველზე მართვის ორგანიზაციას ანიჭებდა უფლებას, ჰონორარის განსაზღვრის მიზნით, ფიზიკური და იურიდული პირებისგან, აგრეთვე საჯარო დაწესებულებებისგან გამოეთხოვათ შესაბამისი მოწყობილობების და მატერიალური მატარებლების იმპორტისა და წარმოების შესახებ ინფორმაცია. თავის მხრივ, რეპროდუცირებისთვის განკუთვნილი მოწყობილობების მწარმოებლებსა და იმპორტიორებს ეკისრებოდათ ამგვარი ინფორმაციის მინდების ვალდებულება.

მოსარჩელეთა განმარტებით, სადაც რეგულაცია ჰონორარის გადახდაზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრავდა საავტორო ნაწარმოების რეპროდუცირებისთვის გამოსაყენებელ მოწყობილობათა მწარმოებლებსა და იმპორტიორებს, ნაცვლად იმ ადამიანებისა, ვინც ამ მოწყობილობებით უშუალოდ ახორციელებენ რეპროდუცირებას. ამასთან, მოსარჩელეთა მითითებით, კანონი არ ადგენდა ჰონორარის ფიქსირებულ ოდენობას ან მისი გაანგარიშების კონკრეტულ კრიტერიუმებს და იგი დამოკიდებული იყო ქონებრივი უფლების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის და იმპორტიორების/მწარმოებლების შეთანხმებაზე; შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში კი - „საქპატენტის“ გადაწყვეტილებაზე, რაც, მოსარჩელეთა აზრით, აჩენდა ჰონორარის ოდენობის გაუმართლებლად გაზრდის რისკებს და ენინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით დაცულ საკუთრების კონსტიტუციურ უფლებას.

ამასთანავე, მოსარჩელეთა განცხადებით, ქონებრივი უფლების კოლექტიურ საფუძველზე მართვის ორგანიზაციას, ერთი მხრივ, ენიჭებოდა განუსაზღვრელი უფლებამოსილება, მოეპოვებინა ინფორმაცია იმპორტიორების შესახებ, მეორე მხრივ კი, არ არსებობდა მკაფიო საკანონმდებლო ბერკეტები, რომლებიც დაიცავდა მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რაც ენინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით დაცულ პირადი ცხოვრებისა და პირის ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან დაკავშირებულ, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაციის ხელშეუხებლობის უფლებას.

მოპასუხე მხარე მიუთითებდა, რომ სადაც ნორმების ლეგიტიმური მიზანი იყო საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა ნაწარმოების უსასყიდლო გამოყენებისგან, ავტორის კანონით გარანტირებული ჰონორარით უზრუნველყოფა და ფიზიკური პირის რეპროდუცირების ადმინისტრირება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შემქმნელი პირების ავტორად აღიარება და მათი ეკონომიკური ინტერესების დაცვა უკავშირდება მნიშვნელოვან საჯარო ლეგიტიმურ მიზნებს. ამ ფორმით სახელმწიფო ხელს უწყობს იხოვაციურ და შემოქმედებით საქმიანობას, მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების შექმნას, შენარჩუნებას და განვითარებას, აგრეთვე საზოგადოების კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, ავტორების მიერ შექმნილი სიკეთით საზოგადოებრივ სარგებლობას, ხელს უწყობენ ნაწარმოებების შემსრულებლები, ინფორმაციის მატარებელზე შემნახველი და გამავრცელებელი პირები და მთელი ის კომერციული ინდუსტრია,

რომელიც ამ პროცესშია ჩართული. ამ თვალსაზრისით, მომიჯნავე უფლებების მფლობელი სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების დაცვა პირდაპირ კავშირშია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებასთან და ხელს უწყობს მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების შექმნას, გავრცელებას და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ფიზიკური პირების მიერ აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების პირადი სარგებლობის მიზნით რეპროდუცირებისთვის ჰონორარის გადახდა, უკავშირდება საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა ქონებრივი ინტერესების დაცვას. შესაბამისად, ჰონორარის გადახდის საფუძველს ქმნის ფიზიკური პირის მიერ აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების პირადი სარგებლობის მიზნით რეპროდუცირება. მიუხედავად ამისა, ჰონორარის გადახდის დაკისრება უშუალოდ რეპროდუცირების განმახორციელებელი ფიზიკური პირისათვის, საჭიროს გახდიდა თითოეული ფიზიკური პირის მიერ რეპროდუცირების ფაქტის დადგენას, შესაბამისი ჰონორარის ოდენობის განსაზღვრას და ჰონორარის გადახდევინების ადმინისტრირებას, რაც მნიშვნელოვან სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული და ეფექტურად ვერ დაიცვდა საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა ქონებრივი ინტერესებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიჩნია არაგონივრულად ჰონორარის გადახდის ვალდებულების გადაკისრება რეპროდუცირებისას გამოსაყენებელ მოწყობილობათა და მატერიალურ მატარებელთა იმპორტიორებისა და მწარმოებლებისთვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ შესაბამისი ტექნიკური საშუალებების მწარმოებლები და იმპორტიორები ხელს უწყობენ ფიზიკურ პირთა მიერ ნაწარმოებების პირადი სარგებლობის მიზნით რეპროდუცირებას, ხელმისაწვდომს ხდიან მათთვის შესაბამის მოწყობილობას და ამით თავადვე იღებენ ფინანსურ სარგებელს. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მწარმოებლებისა და იმპორტიორების რაოდენობის, მათი საქმიანობის გათვალისწინებით, იქმნება ჰონორარის გადახდის ადმინისტრირების ხელსაყრელი პირობები, რაც მაგალითად, ფიზიკური პირებისათვის ჰონორარის გადახდის ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში, არ არსებობს.

რაც შეეხება ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის წესს, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ჰონორარის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს ნაწარმოების რეპროდუცირებაზე. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კანონი ცხადად მიუთითებს „შესაბამის ჰონორარზე“, რისი მოთხოვნის უფლებაც გააჩნია ავტორსა თუ საავტორო უფლების სხვა მფლობელს. ამდენად, ჰონორარის შესაბამისობის განსაზღვრისათვის საჭირო გარემოება შეიძლება იყოს მოწყობილობისა და ინფორმაციის მატარებლის ბუნება, ფუნქციები, მისი პირველადი დანიშნულება, იმის დაახლოებითი ალბათობა, თუ რა სიხშირით იქნება იგი გამოყენებული აუდიოვიზუალური ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების პირადი სარგებლობის მიზნით რეპროდუცირებისათვის და ა.შ. ამდენად, ორგანიზაციასა და მწარმოებელ/იმპორტიორებს შორის უთანხმოების შემთხვევაში, სამართალშემფარდებელი, კანონიდან გამომდინარე, ვალდებულია, მხედველობაში მიიღოს ყველა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება და არ დაადგინოს შეუსაბამო ჰონორარის ოდენობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ჰონორარის ოდენობა არ უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ სრულად ასცდეს ჰონორარის მიზნებს. გაუმართლებელი და დაუსაბუთებელია ჰონორარის გადახდევინება ისეთ შემთხვევებში, როდესაც აშკარაა, რომ ნაწარმოების რეპროდუცირება არ ხდება ან არ მოხდება. ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისას უმთავრესი სახელმძღვანელო პრინციპია იმის დადგენა - ხდება თუ არა შესაბამისი მოწყობილობით ან ინფორმაციის მატარებლით ფიზიკურ პირთა აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების პირადი სარგე-

ბლობისათვის რეპროდუცირება. იმ შემთხვევაში თუ მოწყობილობის ან ინფორმაციის მატარებლის რეალიზაცია არ მომხდარა ან სხვაგვარად გამოირიცხება ფიზიკური პირის მიერ მისი გამოყენებით აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების პირადი სარგებლობისათვის რეპროდუცირება, არ არსებობს ჰონორარის გადახდის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

ამას გარდა, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ჰონორარის განსაზღვრის პროცედურაზე და აღნიშნა, რომ სადაც ნორმებით, ჰონორარის ოდენობის გაანგარიშების და გადახდის წესის განსაზღვრა ხდება სწორედ მწარმოებლებს/იმპორტიორებსა და ქონებრივი უფლების კოლექტიურ საფუძველზე მართვის ორგანიზაციას შორის ურთიერთმოლაპარაკებების გზით, რაც გამოირიცხავს ორგანიზაციის მიერ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღებას. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ შეთანხმება მიღწეული არ იქნება, შესაბამის პირობებს, ყველა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების შეფასების გზით, დაადგენს „საქპატენტი“. ამასთან, სადაც ნორმებით, უზრუნველყოფილია „საქპატენტის“ მიერ დადგენილი პირობების სასამართლოს მეშვეობით გადახედვის შესაძლებლობაც, სადაც სამართალშემფარდებელი ვალდებულია გადაამოწმოს, რამდენად კანონიერად განისაზღვრა ჰონორარის ოდენობა, მისი გაანგარიშებისა და გადახდის წესი, რა დროსაც, ბუნებრივია, მხედველობაში მიღებს კანონის სულისკვეთებას, არ მოხდეს შეუსაბამო ფასისა და გადახდის პირობების დადგენა მწარმოებლებისა და იმპორტიორებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩევის პოზიცია, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი იძლევა ჰონორარის უსამართლოდ განსაზღვრის შესაძლებლობას.

საკუთრების უფლების შეზღუდვის პროპორციულობაზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმპორტიორებისა და მწარმოებლებისათვის ფინანსური ტვირთის დაწესება მათ მიერ სარეალიზაციო პროდუქციაზე, გარკვეულწილად, იძლევა ტვირთის მომხმარებელზე გადანაწილების შესაძლებლობას. იმპორტიორებისა და მწარმოებლების მიერ ჰონორარის გადახდა, გადახდილი ჰონორარის ფარგლებში იწვევს პროდუქციის (შესაბამისი მოწყობილობებისა და ინფორმაციის მატარებლების) ფასის ზრდას. შედეგად, ფინანსური ტვირთი არაპირდაპირ უწესდებათ იმპორტიორებისა და მწარმოებლების მიერ რეალიზებული პროდუქციის მომხმარებლებს. ამ პირობებში უშუალოდ იმპორტიორებისა და მწარმოებლების მიმართ ფაქტობრივად რჩება მხოლოდ ჰონორარის გადახდის ადმინისტრირების, მისი ფასში შეყვანის ეკონომიკური ტვირთი. ამავე დროს, საქმის განხილვის დროს არ გამოკვეთილა, რომ ჰონორარის გადახდის შედეგად პროდუქციის ფასი იმდენად იზრდება, რომ ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება ან/და არსებითად რთულდება მისი რეალიზება, რაც შეუსაბამოდ მძიმე ტვირთად აწვება მოსარჩევეთა სამენარმეო საქმიანობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ნორმა შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ საკუთრების უფლებასთან.

რაც შეეხება ქონებრივი უფლების კოლექტიურ საფუძველზე მართვის ორგანიზაციის უფლებას, მწარმოებლებისგან და იმპორტიორებისგან გამოითხოვონ ინფორმაცია წარმოებისა და იმპორტის შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციას, კანონის სისტემური განმარტებიდან გამომდინარე, უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ჰონორარის შეგროვებასთან და განაწილებასთან. ამდენად, გამორიცხული უნდა იყოს მწარმოებლის და იმპორტიორის საავტორო ორგანიზაციისთვის სხვა ისეთი ინფორმაციის გადაცემის დავალდებულება, რომელიც კავშირში არ იქნება ჰონორარის შეგროვებასთან და განაწილებასთან.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მო-

ქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ქონებრივი უფლებების კოლექტიურად მართვის ორგანიზაციებისთვის გადაცემული ინფორმაციის გამუდავნებისგან დაცვის მყარ გარანტიებს. უფრო კონკრეტულად, კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ორგანიზაციის ვალდებულება, რომ უზრუნველყოს მწარმოებლებისა და იმპორტიორების შესახებ მისთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. აგრეთვე, არ არის დადგენილი ორგანიზაციის მიერ ინფორმაციის დამუშავების სათანადო ადმინისტრაციული, ინსტიტუციური და ტექნიკური სტანდარტები, რომლებიც გამორიცხავდა ინფორმაციის უნებლივი გავრცელებას. კერძოდ, არ არის განსაზღვრული, რა ფორმით უნდა მოხდეს ამ ინფორმაციის დამუშავება, ორგანიზაციის რომელ თანამშრომელს და რა დათქმით აქვს ამ ინფორმაციის გამოყენების უფლება, როგორია ინფორმაციის შენახვის ტექნიკური მოთხოვნები და ა.შ. ასევე არ არის განსაზღვრული ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, რაიმე ტიპის პასუხისმგებლობა. ამ პირობებში, ინფორმაციის ორგანიზაციისათვის გადაცემა, თავისთავად, მოიცავს მისი მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. ქონებრივი უფლებების კოლექტიურად მართვის ორგანიზაციებისთვის გადაცემული ინფორმაცია, შესაძლებელია, გარეშე პირებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს, როგორც ორგანიზაციისა და მისი წარმომადგენლების განზრახვით, ისე ასეთი განზრახვის არარსებობის შემთხვევაშიც, ინფორმაციის უნებლივიდ გავრცელებისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-3 წინადადება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტსა და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტს; ხოლო, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-4 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მწარმოებელს/იმპორტიორს ავალდებულებს, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციებს გადასცეს პირადი სარგებლობისათვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელ მოწყობილობათა (აუდიო და ვიდეო-მაგნიტოფონებისა და სხვა მოწყობილობათა) და მატერიალურ მატარებელთა (ფონო და ვიდეოფირების, კასეტების, ლაზერული ფირფიტების, კომპაქტფირფიტებისა და სხვა მატერიალურ მატარებელთა) წარმოებისა და იმპორტის შესახებ ინფორმაცია ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტს.

### გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2020 წლის 25 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩევი №1276). აღნიშნულ საქმეზე გასაჩივრებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები ადგენდნენ ჩხრეკის ჩატარების მიზანსა და საფუძველს, ასევე გამატყუნებელი განაჩენის გამოტანის მტკიცებულებით სტანდარტს.

მოსარჩევე მიუთითებდა, რომ სადაც ნორმებზე დაყრდნობით, შესაძლებელი იყო, ჩხრეკა ჩატარებულიყო მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ისე რომ დაცვის მხარეს და სასამართლოს არ ჰქონდა ამ ინფორმაციის პირველწყაროსთან გადამოწმების შესაძლებლობა. ამასთან მოსარჩევის განმარტებით, ასეთ შემთხვევაში, არ მოითხოვებოდა არც სხვა დამატებითი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რომელიც გაამყარებდა ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას. მოსარჩევის მტკიცებით, ამგვარი რეგულირება ქმნიდა პირადი ცხოვრების უფლების დაუსაბუთებლად შეზღუდვის რისკებს. გარდა ამისა, მოსარჩევის განმარტებით, საერთო სასამართლოები ჩხრეკის კანონიერების დასაბუთებისთვის ხშირად ეყრდნობოდნენ, მათ შორის, ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ნივთს, რაც ასევე ეწი-

ნააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით დაცულ მისი პირადი ცხოვრების უფლებას.

მოსარჩელე მხარე ასევე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა დანაშაულის თაობაზე მიღებული ოპერატიული ინფორმაციის შესახებ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ჩვენების განაჩენის საფუძვლად გამოყენებას და მიუთითებდა, რომ სადაც ნორმები ვერ აკმაყოფილებს უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის კონსტიტუციურ მოთხოვნას. გარდა ამისა, მოსარჩელე მხარე არაკონსტიტუციურად მიიჩნევდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის იმ ნორმატიულ შინაარსს, რომელიც უშვებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას მხოლოდ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების და მისგან მომდინარე მტკიცებულებების - ამ ჩხრეკის თვითმხილველი პოლიციის თანამშრომლების ჩვენებების, ჩხრეკა/დაკავების ოქმების და ექსპერტიზის დასკვნის (სხვა სიტყვებით, დასკვნა ამოღებული ნივთის სახეობასა და ოდენობაზე) საფუძველზე, მაშინ როდესაც ბრალდებული თავიდანვე აპელირებდა, რომ უკანონო ნივთი მას არ ეკუთვნოდა და ის მას პოლიციელებმა „ჩაუდეს“.

მოპასუხე მხარემ არ გაიზიარა სასარჩელო მოთხოვნა და განმარტა, რომ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის ინფორმაცია არ არის საკმარისი ამა თუ იმ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის. მოპასუხემ აღნიშნა, რომ ხსენებული ინფორმაციის მიღების შემდგომ, მისი სანდოობის შემოწმების მიზნით, ხდება დამატებითი ინფორმაციების მოძიება კონკრეტული გარემოების შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ იქმნება ინფორმაციათა ერთობლიობა და შესაძლებელი ხდება ჩატარება.

მოპასუხე მხარე არ დაეთანხმა მოსარჩელის პოზიციას ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებელი პირის ვინაობაზე სასამართლოს წვდომის დაშვებასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ამგვარ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შეფერხდებოდა საგამოძიებო ორგანოების საქმიანობა. ამასთან, მოპასუხის მითითებით, კანონით გათვალისწინებულ პირებს აქვთ დაშვება ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებელი პირის ვინაობაზე, რაც აზღვევს საგამოძიებო ორგანოს მხრიდან თვითნებობის რისკებს.

მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ უკვე ჩატარებული ჩხრეკის ღონისძიების კანონიერების შემოწმებისას სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი არ არის ჩხრეკის შედეგი, მთავარია, მოსამართლეს შეექმნას შინაგანი რწმენა იმის თაობაზე, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად, დასაბუთებულ ვარაუდთან ერთად, არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის წინაპირობები.

ამასთანავე, მოპასუხის პოზიციით, დანაშაულის თაობაზე მიღებული ოპერატიული ინფორმაციის შესახებ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ჩვენება არ წარმოადგენს მტკიცებულებას, იგი თავისი არსით არც პირდაპირი ჩვენებაა და არც ირიბი. შესაბამისად, ის საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს. რაც შეეხება ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთის და მასთან დაკავშირებული პოლიციის თანამშრომლების ჩვენებების გამამტყუნებელ განაჩენის გამოტანის საფუძვლად გამოყენებას, მოპასუხე მხარემ მიუთითა, რომ სადაც ნორმითა და კანონმდებლობით გამორიცხულია არაუტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ოპერატიული წყაროს (კონფიდენციალური/ინფორმაციური) და ანონიმური პირის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დანაშაულთან ბრძოლაში. საზოგადოების მიერ სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიწოდებული ინფორმაცია უზრუნველყოფს ისეთ დანაშაულთა სწრაფ გამოვლენას ან პრევენციას, რომელიც ამ ინფორმაციის მიწოდების გარეშე ვერ მოხდებოდა. ამდენად, სახ-

ელმწიფო უარს ვერ იტყვის ამ სუბიექტების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებაზე. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ოპერატიული წყაროს განსაიდუმლოება (გამუღავნება), მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო პროცესზე გადამოწმების მიზნით, ვერ ჩაითვლება საქმეში დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევისთვის ნაკლებად მზღვდავ საშუალებად. იმ შემთხვევაში, თუ წყაროს არ ექნებოდა კონფიდენციალურობის გარანტია, ის და სხვა პოტენციური პირები თავს შეიკავებდნენ სამართალდამცავ ორგანოებთან მომავალში თანამშრომლობისგან, რაც დააზარალებდა მნიშვნელოვან სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ჩვეულებრივი მოწმისგან განსხვავებით, ოპერატიული წყაროს და ანონიმური პირის შემთხვევაში არ ხდება/ვერ ხერხდება სასამართლოს მიერ ინფორმაციის პირველწყაროს სანდოობის გადამოწმება. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთი ინფორმაციის სათანადო გადამოწმების გარეშე ჩხრეკის საფუძვლად გამოყენების პირობებში, მაღალია ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის უფლების არასაჭირო შეზღუდვის რისკი. ამდენად, იმისთვის რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს გაუჩნდეს მოლოდინი ჩხრეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების შესახებ (რაც ჩხრეკის ჩატარების ლეგიტიმურ საფუძველს წარმოადგენს), მნიშვნელოვანია მოხდეს ამ ინფორმაციის სათანადოდ გადამოწმება.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩხრეკის ჩატარების მიზნებისათვის ინფორმაციის სანდოობა, შეიძლება დადასტურდეს სხვადასხვა გარემოებებით. იმისათვის, რომ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია საფუძვლად დაედოს ადამიანის ჩხრეკას, თავად ინფორმაცია უნდა იყოს იმგვარი, რომ შეიძლებოდეს ამ ინფორმაციის სანდოობის გარკვეული ხარისხით გადამოწმება, რათა ობიექტური პირი/მოსამართლე დარწმუნდეს, რომ ინფორმაციის მიმწოდებელი საქმისათვის მნიშვნელოვან მონაცემებს ფლობს, შეუძლია კონკრეტულ ფაქტებზე მითითება, ანდა დანაშაულთან დაკავშირებული კონკრეტული მომავალი მოვლენის აღნერა ან თავად ინფორმაცია ხასიათდება გარკვეული დეტალიზებით. ინფორმაციიდან უნდა იკვეთებოდეს, რომ წყარო ნამდვილად უთითებს ისეთ დეტალებს, რომელიც ადვილად გამოცნობადი/აღქმადი არ შეიძლება იყოს ჩვეულებრივი მესამე პირისთვის და მისი დაკვირვება გარკვეულწილად ძალისხმევას/გამოცდილებას უნდა უკავშირდებოდეს. გარდა ამისა, ინფორმაციის სანდოობა შეიძლება დადასტურდეს, აგრეთვე, პოლიციელის ჩვენებით, რომელიც გაფრთხილებულია ცრუ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და რომელიც მიუთითებს, რომ წყარო გამოცდილი და სანდოა, მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია კი სანდოობის ხარისხით გამოირჩეოდა წარსულშიც. ცხადია, გამორიცხული არაა, რომ პოლიციელის მხრიდან საქმისადმი დაინტერესების გამო, მის მიერ მოხდეს ამ ინფორმაციის ფაბრიკაცია, თუმცა, როგორც აღინიშნა, ასეთ ფაქტს მოყვება შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ეს ამცირებს პოლიციელის მიერ განზრას არასწორი და ცრუ ინფორმაციის მიწოდების რისკებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ინფორმაციის დადასტურების რაიმე წინასწარ განსაზღვრული ფორმულა ჯეროვნად ვერ მოემსახურება სახელწიფოს მიერ დანაშაულთან ბრძოლის მიზნებს და გადაწყვეტილებაში დასახელებული გარემოებები მხოლოდ ერთეულ შემთხვევებად ჩაითვლება იმ მრავალი ფაქტორიდან, რომელიც დაასაბუთებდა ოპერატიული ინფორმაციის სანდოობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონის სისტემური და გრამატიკული განმარტების საფუძველზე, გამორიცხული უნდა იყოს მხოლოდ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩხრეკის ჩატარება, ვინაიდან დასაბუთებული ვარაუდი მოითხოვს მინიმუმ კიდევ ერთ ინფორმაციას ან ფაქტს იმისათვის, რომ უფლებამოსილ პირს ჰქონდეს შესაბამისი ხარისხის ეჭვის საფუძველი. ამგვარად, ჩხრეკის კანონიერად ჩატარება მხოლოდ ოპერატიული

წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გამორიცხული უნდა იყოს.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თუ ოპერატიული ინფორმაციის მიღების შესახებ პატაკის შემდგენი/მიმღები პირის გამოკითხვის ოქმი ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის მითითების გარეშე იმეორებს მხოლოდ პატაკში აღწერილ ინფორმაციას ანდა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც ოპერატიულმა წყარომ მიაწოდა, იგი უტოლდება ერთ ინფორმაციას, რაც ცხადია ვერ შეფასდება ინფორმაციის ან ფაქტების ერთობლიობად. სანინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაში, ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობა ყოველთვის შეიქმნება, რადგან ყოველთვის იარსებებს პოლიციელი, რომელიც დაადასტურებს ოპერატიული წყაროდან ინფორმაციის გადმოცემის ფაქტს და გადმოცემს იმ ინფორმაციის შინაარს, რომელიც ოპერატიულმა წყარომ მიაწოდა. მიუხედავად ამისა, საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი ცხადი და რელევანტური პრაქტიკა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ჩერეკის საფუძველი გამხდარა მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პირის პატაკი და ამ პირის გამოკითხვის ოქმი, რომელიც იმეორებს პატაკში არსებულ ან/და ოპერატიული წყაროს ინფორმაციას, ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის მითითების ანდა ინფორმაციის გადამოწმების გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საერთო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩერეკის შედეგი საფუძვლად დადებია ჩერეკის კანონიერების დასაბუთებას. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ჩერეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების ფაქტი არარელევანტური გარემოებაა, იმის გადამოწმებისას, თუ რამდენად სწორად აფასებდა სამართალდამცავი ჩერეკის ჩატარებამდე დასაბუთებული ვარაუდის არსებობის ფაქტს. შესაბამისად, კონკრეტული ჩერეკის ჩატარების საჭიროების/აუცილებლობის შეფასებაზე გავლენას არ ახდენს ამავე ჩერეკის შედეგად სათანადო მტკიცებულების მოპოვების ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტურად მიიჩნია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებისა და 121-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ჩერეკის შედეგს განიხილავს ჩერეკისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ერთ-ერთ საფუძვლად.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საერთო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პოლიციელის ჩვენება, სადაც ეს უკანასკნელი სხვა რაიმე დამატებითი ინფორმაციის მითითების გარეშე, უბრალოდ გადმოსცემდა ოპერატიული ინფორმაციის წყაროს მონათხრობს, გამოყენებული იყო გამამტყუნებელი განაჩენის ერთ-ერთ საფუძვლად. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შინაარსობრივად პოლიციელის ჩვენება, რომელიც ემყარება ოპერატიული ინფორმაციის მომნოდებელ წყაროს – კონფიდენტის/ინფორმაციის ინფორმაციას, ირიბი ჩვენების ერთგვარი ფორმაა, რომელიც თანაბარ რისკებს უქმნის პირის მიმართ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სახელმწიფო ვალდებულებას. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციელის ამგვარი ჩვენების გამამტყუნებელი განაჩენისთვის გამოყენება აშკარად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს დაცვის მხარეს. დაცვის მხარეს არ აქვს შესაძლებლობა უშუალოდ დაკითხოს ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებელი პირი, ეჭვქვეშ დააყენოს იმ პირის სანდოობა და დამაჯერებლობა, რომლის ჩვენებასაც სასამართლო ეყრდნობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას. დაცვის მხარისთვის ამგვარი შესაძლებლობის არქონა აშკარად ქმნის იმის საფრთხეს, რომ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მოხდეს არაუტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ

არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ ჩვენების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება ოპერატიული წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე შეაფასა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების და მისგან მომდინარე მტკიცებულებების გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად გამოყენების კონსტიტუციურობა. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველ საქმეში არსებული მასალებით ორკვეოდა, რომ საერთო სასამართლოს, მათ შორის, საპელაციო და უზენაესი სასამართლოების, პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მომხდარა მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობით, რომელიც შედგებოდა ოპერატიული წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთის (ნარკოტიკული საშუალების ან ცეცხლსასროლი იარაღის), ამ ჩხრეკის თანამონანილე/დამსწრე პოლიციის თანამშრომელთა თანმიმდევრული ჩვენებების, ჩხრეკისა და დაკავების ოქმების და ქიმიური ექპერტიზის (რომელიც აღწერდა ამოღებული ნივთის სახეობას/რაობას და ოდენობას) საფუძველზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ქმნის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძვლს, რიგ შემთხვევებში, შეიძლება ვერ პასუხობდეს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მტკიცებულების უტყუარობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ჩხრეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების იმგვარი სისტემა, რომელიც, ერთი მხრივ, სამართალდამცავებს აღჭურავს ჩხრეკის სანდოობის უზრუნველყოფისათვის ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობით, მეორე მხრივ კი, შეამცირებს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკებს. ზოგადად, განუზომლად დიდია პოლიციელის მიერ განხორციელებული ქმედებისადმი ნდობის არსებობის მნიშვნელობა მართლმსაჯულების ეფექტურად აღსრულებისათვის. ამავე დროს, ვერც ერთი სახელმწიფო ორგანო, სასამართლოც კი, ვერ მოახერხებს ნდობის მოპოვებას საქმიანობის სათანადოდ განხორციელების გარეშე. როდესაც ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთის მტკიცებულებად გამოყენების საკითხი მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებზეა დამოკიდებული, მათი სანდოობისათვის არსებითი იქნება ის, თუ რამ გამოიწვია ასეთი მოცემულობის შექმნა. პოლიციის კეთილსინდისიერი მოქმედების პრეზუმირება ბევრად უფრო მარტივია იმ შემთხვევაში, როდესაც დასტურდება რომ საქმეში არსებული ფაქტობრივ გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელი (განუზომლად რთული) იყო ჩხრეკის სანდოობასთან დაკავშირებით დამატებითი მტკიცებულების მოპოვება. თუმცა როდესაც აშკარაა, რომ პოლიციელს შეეძლო მოეპოვებინა ჩხრეკის სანდოობის გამამყარებელი მტკიცებულება და მან ეს არ გააკეთა, მისი ქმედებებისადმი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საგამოძიებო მოქმედების კომპლექსურობის გათვალისწინებით, ყველა შემთხვევაში, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვერ მოხდეს ჩხრეკის ფაქტის ნეიტრალური მტკიცებულებით გამყარება, თუმცა უნდა დადასტურდეს რომ უფლებამოსილმა პირმა მიიღო გონივრული ზომები იმისთვის, რომ უზრუნველეყო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება. ამის აშკარა მაგალითია, როდესაც საქმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ პირის ან მისი მფლობელობის ჩხრეკის პროცესზე ნეიტრალური მოწმის დასწრების შესაძლებლობა ობიექტურად არსებობდა და პოლიციელებმა ეს არ უზრუნველყოვს. უფრო მეტიც, თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესი იძლევა შესაძლებლობას, რომ ჩხრეკის პროცესის ვიდეოგადაღებაც განხორციელდეს იმისათვის, რომ გამყარდეს ბრალდების პოზიცია.

მტკიცებულების სანდოობისადმი მნიშვნელოვან ეჭვს ასევე აჩენს გარემოება, როდესაც, პოლიციელთა უსაფრთხოების დაცვის პირობებში, არსებობდა ჩერეკის ვიდეო გადაღების რეალური შესაძლებლობა და პოლიციელმა ის არ გამოიყენა. ოპერატორი ინფორმაციის მიღება ყოველთვის არ მოითხოვს გადაუდებელი აუცილებლობით მოქმედებას და უფლებამოსილ პირს შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული დრო და შესაძლებლობაც, რომ ჩერეკა-მდე მოემზადოს, აღიჭურვოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით და სადაც მოხერხდება, ჩერეკის განხორციელება ვიდეოგადაღებით უზრუნველყოს. ამას გარდა, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაშიც კი, როგორც წესი, გადაულახავ სირთულესთან არ არის დაკავშირებული ჩერეკის დაფიქსირება თუნდაც მობილურ ტელეფონში არსებული ვიდეოკამერით, რომელიც დღესდღეობით ფაქტობრივად ყოველდღიური მოხმარების ნივთს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გამოძიებისთვის რეალურად ხელთ არსებული შესაძლებლობების გამოუყენებლობა, რაც დაადასტურებდა/გაამყარებდა პირის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ქმნის შეცდომის, თვითნებობის და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მნიშვნელოვან რისკებს. აღნიშნულის მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენს სამართალდამცავთა ვალდებულებას, მოიპოვონ ჩერეკის სანდოობის უზრუნველყოფი ნეიტრალური მტკიცებულებები, მაშინაც კი, როდესაც ეს პოლიციელის უსაფრთხოების ან/და მტკიცებულების განადგურების/გადამალვის საფრთხის შექმნის გარეშე, გონივრულ ფარგლებში მოქმედების შედეგად შესაძლებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმდებლობითა და სადავონორმით ვერ ხერხდება არასანდო მტკიცებულების გამოყენებით პირის მსჯავრდების რისკების დაზღვევა. შესაბამისად, სადავონორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩერეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებებით და ამავე დროს სამართალდამცავებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩერეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ უტყუარობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს და არაკონსტიტუციურია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაავადა დასახელებული ნორმატიული შინაარსის ძალადაკარგულად ცნობა 2021 წლის პირველ ივლისამდე იმისათვის, რომ კანონმდებელს და შესაბამის ორგანოებს მიეცეთ გონივრული ვადა გადაწყვეტილების იმპლემენტაციისათვის საჭირო საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური ცვლილებების განსახორციელებლად.

### ხათუნა წონორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2020 წლის 29 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „ხათუნა წონორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩევი №1337). საქმეზე სადავონდ იყო გამხდარი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლი, რომელიც ადგენდა, რომ სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლებოდა იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან მამკვიდრებლისაგან საჩუქრის სახით მიიღო, სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში.

მოსარჩევის მტკიცებით, მამკვიდრებლის მიერ მემკვიდრის დასაჩუქრების შემთხვევაში, სამკვიდროს გახსნისას, სადავო ნორმიდან გამომდინარე, ხდებოდა დასაჩუქრე-

ბული მემკვიდრის წილის უსაფუძვლოდ შემცირება, სხვა, თანაბარი რიგის კანონით მემკვიდრეთა სასარგებლოდ, რაც ენინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ როგორც მემკვიდრის, ისე მამკვიდრებლის საკუთრების უფლებას.

მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის განმარტებით, გასაჩივრებული ნორმა ემსახურებოდა კანონისმიერ მემკვიდრეთა შორის წილთა სამართლიანი განაწილების პრინციპს და შესაბამისად, სხვა თანამემკვიდრეთა ინტერესების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. ამ დროს, კანონმდებელი მოქმედებს პრეზუმუციით, რომ მამკვიდრებელს სურს, ყველა მემკვიდრეს მოეპყროს თანაბრად. ამასთან, მიიჩნევა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე 5 წლის განმავლობაში კანონისმიერი მემკვიდრეები ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას. ამდენად, ვინაიდან მამკვიდრებელი არ იყენებს ანდერძით მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს ასიმეტრიულად განაწილების შესაძლებლობას, სადაც ნორმა უზრუნველყოფდა ინტერესთა გონივრულ დაბალანსებას. ამასთან, ვინაიდან დასაჩუქრებული პირი სამკვიდროს გახსნის შემდგომაც ინარჩუნებს ქონებაზე საკუთრებას და ხდება მხოლოდ ამ ქონების ღირებულების სამკვიდრო წილში ჩათვლა, საფრთხე არ ექმნებოდა მის საკუთრების უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ, სადაც ნორმის განმარტების, აგრეთვე, მასთან დაკავშირებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით დაადგინა, რომ იგი მოსარჩელეს, როგორც კანონისმიერ მემკვიდრეს, ავალდებულებდა მამკვიდრებლისგან სამკვიდროს გახსნამდე 5 წლის განმავლობაში ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება სამკვიდროს გაყოფისას ჩაეთვალა საკუთარ წილში. მართალია, აღნიშნული არ გულისხმობდა საჩუქრის სახით მიღებულ ქონებაზე საკუთრების დაკარგვას, თუმცა ამცირებდა სამკვიდრო მასაში მის მიერ მისაღებ წილს და, ამდენად, წარმოადგენდა მისი საკუთრების კონსტიტუციური უფლების უფლების შეზღუდვას.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მხარის განმარტება, რომლის თანახმადაც, კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს, მემკვიდრეთა შორის სამკვიდრო მასიდან წილთა სამართლიანი განაწილება წარმოადგენდა იმ ლეგიტიმურ ინტერესს, რომლის გამოც შესაძლებელია საკუთრების უფლების შეზღუდვა. ამავდროულად, სასამართლოს განმარტებით, სადაც ნორმას საფუძვლად ედო პრეზუმუცია, რომ მამკვიდრებელს სურს, თანაბრად მოეპყროს ყველა თანაბარი რიგის მემკვიდრეს. მართალია, ზოგადად, კანონმდებლის მხრიდან მემკვიდრეობითსამართლებრივი საკითხების მოწესრიგება პრეზუმუციის საფუძველზე დასაშვებია, თუმცა, კონკრეტულ ვითარებაში, შერჩეული ღონისძიება უნდა ახდენდეს საკითხის გადაწყვეტას ინტერესთა მაქსიმალური დაბალანსების გზით.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქონების გაჩუქრებისას, მამკვიდრებელი წინასწარ ვერ განსაზღვრავს ვერც სამკვიდროს გახსნის მომენტს და ვერც ამ დროს დასაჩუქრებული პირის უფლებრივ სტატუსს. მართალია, მამკვიდრებელს ქონების გასხვისებისას შესაძლებელია, ჰერონდა ამ გარიგებით მომავალში მემკვიდრეების წილებზე გავლენის მოხდენის სურვილი, თუმცა, მისი მკვეთრად გამოხატული ნების გარეშე, არაფერი მიუთითებდა, მინიმუმ, უმრავლეს შემთხვევაში, ასეთი სურვილის არსებობაზე. სადაც ნორმით კი კანონმდებელი საკანონმდებლო პრეზუმუციას ეყრდნობოდა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუძლებელი იყო მამკვიდრებლის ნების დადგენა, არამედ მაშინაც, როდესაც ეს უკანასკნელი იყო ცოცხალი და ახორციელებდა ქონების ჩუქებით გასხვისებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ დაუშვებელია, კანონმდებელი მოქმედებდეს მარტოოდენ საკუთარი ვარაუდის საფუძველზე და უგულებელყოფდეს მამკვიდრებლის, ქონების მესაკუთრის ნამდვილ ნებას. მამკვიდრებლის ნების საკანონმდებლო პრეზუმუციით ჩანაცვლება, როდესაც ქმედების გონივრული შეფასება აშკარად ქონების უპირობოდ ჩუქების მიზანზე მიუთითებს, მოკლებულია ლოგიკურ ახსნას. ამ

დროს, კანონმდებელი პრეზუმირებს, რომ მამკვიდრებლის ნება რეალურად მის მიერ გამოხატულის საპირისპიროა. სამოქალაქო კანონმდებლობა ორიენტირებული უნდა იყოს მესაკუთრის ნების პატივისცემაზე, ხოლო, მსგავსი პრეზუმაცია ემსგავსება მამკვიდრებლის ნების უგულებელყოფას, როდესაც მის მიერ ქონების გაჩუქების ფაქტს, გამჩუქებლის მითითების გარეშე, დამატებით შედეგებს უკავშირებს. ამავე დროს, სასამართლომ აღნიშნა, რომ სახეზე არ იყო ლეგიტიმური ინტერესი, რომელიც ქონების განკარგვასთან დაკავშირებით მესაკუთრის ნების დაძლევას გაამართლებდა.

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა არ ადგენდა გონივრულ ბალანსს მამკვიდრებლისა და მემკვიდრის ქონებრივ უფლებებსა და საჯარო ინტერესებს შორის, რის გამოც იგი ენინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განმტკიცებულ საკუთრების უფლებას.

### ირაკლი ჯულელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2020 წლის 29 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „ირაკლი ჯულელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №1412). საქმეზე სადავოდ გამხდარი ნორმა ადგენდა, რომ იმ პირის ადმინისტრაციული დაკავების საერთო ვადა, რომლის დაკავების ვადაც ემთხვევა არასამუშაო დროს, არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ გასაჩივრებული რეგულაციით ხდებოდა ადმინისტრაციული დაკავების ქვეშ მყოფ პირთა გაუმართლებელი დიფერენცირება დაკავების დროის მიხედვით. კერძოდ, იმ პირთა დაკავების მაქსიმალური ვადა, რომელთა დაკავებაც განხორციელდა არასამუშაო დროს, შეადგენდა 48 საათს, ხოლო სამუშაო დროს დაკავებული პირების – 12 საათს. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ადმინისტრაციული დაკავების ქვეშ მყოფი პირები, განურჩევლად ადმინისტრაციული დაკავების დროისა, წარმოადგენდნენ არსებითად თანასწორ პირებს და გააჩნდათ საპროცესო დაცვის გარანტიებით სარგებლობის თანაბარი ინტერესი. პირთა დაკავების მაქსიმალურ ვადებს შორის სადავო ნორმით განპირობებული 36 საათიანი სხვაობა არ წარმოადგენდა რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებას და ენინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ თანასწორობის უფლებას.

საქართველოს პარლამენტის პოზიციით, სადავო ნორმით გამოწვეული დიფერენცირება განპირობებული იყო სასამართლოს შეზღუდული სამუშაო გრაფიკით. გასაჩივრებული რეგულაცია შესაძლებელს ხდიდა სასამართლო განხილვის გარეშე არ მომხდარიყო იმ პირების გათავისუფლება, რომელთა დაკავების ვადაც ემთხვეოდა სასამართლოს არასამუშაო დროს. შესაბამისად, გასაჩივრებული რეგულაცია ემსახურებოდა მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფას. ამასთან, პოლიციელი ვალდებული იყო ადმინისტრაციული დაკავების ქვეშ მყოფი პირი სასამართლოში წარედგინა პირველი შესაძლებლობისთანავე, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა პირის უკანონო დაკავებას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარე მიიჩნევდა, რომ გასაჩივრებული რეგულაციიდან მომდინარე დიფერენცირება არ ხასიათდებოდა მაღალი ინტენსივობით, განპირობებული იყო ობიექტური საფუძვლით და შესაბამებოდა თანასწორობის უფლების მოთხოვნებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა პირთა დიფერენცირებას უკავშირებდა პირის ადმინისტრაციული დაკავების ზოგადი, 12 საათიანი ვადის ამონურვის დროს. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ პირის დაკავებისთვის განკუთვნილი 12 საათიანი ვადის გასვლა ემთხვეოდა სასამართლოს არასამუშაო დროს, პირის ადმინისტრაციული დაკავების მაქსიმალური ვადა შესაძლოა ყოფილიყო 48 საათი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პირის დაკავებისთვის განკუთვნილი 12 საათიანი ვადის გას-

ვლა ემთხვეოდა სასამართლოს სამუშაო დროს, მაშინ პირის დაკავება ვერ გაგრძელდებოდა 12 საათზე მეტ ხანს. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაკავებულ პირთა ორივე ჯგუფს გააჩნდა იდენტური საპროცესო მდგომარეობა და საპროცესო გარანტიებით სარგებლობის თანაბარი ინტერესი. შესაბამისად, მოქმედი სამართლებრივი ურთიერთობის მიზნებისთვის შესადარებელი პირები იყვნენ არსებითად თანასწორობის და სადაც ნორმით ხდებოდა სამართლის წინაშე ყველას თანასწორობის უფლების შეზღუდვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ნორმით დადგენილი დიფერენცირება არ წარმოადგენდა მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნის – მართლმსაჯულების განხორციელების მიღწევის საშუალებას. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ საერთო სასამართლოების ადმინისტრაციულ პალატებში მორიგე მოსამართლები საქმეებს განიხილავნ შაბათ-კვირასაც. შესაბამისად, პირის დაკავების თუნდაც 24 საათიანი ვადა აუცილებლად მოიცავდა სასამართლოს სამუშაო დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული დაკავების 48 საათამდე გახანგრძლივების შესაძლებლობა ვერ აიხსნებოდა სასამართლოს არასამუშაო დროით. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული ისეთი ობიექტური გარემოებები, როგორებიცაა – საქმის განსჯადი სასამართლოს გადატვირთული გრაფიკი ან საქმის განმხილველი მოსამართლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, თანაბრად მიემართებოდა დაკავების ნებისმიერ შემთხვევას. მიუხედავად ამისა, პირთა გარკვეული წრისათვის დაწესებული დაკავების მაქსიმალური ვადა შეადგენდა 12 საათს ანუ, მაქსიმუმ, მოსამართლის ერთ სამუშაო დღეს, ხოლო პირთა მეორე წრისათვის დაწესებული დაკავების მაქსიმალური ვადა – 48 საათს ანუ მოსამართლის 2 სამუშაო დღეს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადაც ნორმის პირობებში ისეთ ობიექტურ გარემოებას, როგორიცაა სასამართლოს გადატვირთული გრაფიკი, შესაძლოა პოლიციელი იძულებული გაეხადა ზოგიერთი პირი სხვა უფრო ადრე დაკავებულ პირებზე პრიორიტეტულად წარედგინა სასამართლოსთვის, რაც ერთი მხრივ, ალოგიკური და ყოველგვარ რაციონალურ ახსნას მოკლებული იქნებოდა, ხოლო მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვანი უსამართლობის წყაროს წარმოადგენდა. ამასთან, მოპასუხე მხარეს არ დაუსახელებია რაიმე დამატებითი გარემოება, რომელიც მსგავსი საკანონ-მდებლო რეგულირების რაციონალურობაზე მიუთითებდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ნორმით დადგენილი რეგულაცია იყო დისკრიმინაციული და ენინაალმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ თანასწორობის უფლებას.

ამასთან, საკონსტიტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადაც ნორმის დაუყოვნებლივ, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე ძალადაკარგულად ცნობის შედეგად, ადმინისტრაციული დაკავების მაქსიმალური ვადა, ყველა შემთხვევაში, განვითარდა 12 საათი, რაც, რიგ შემთხვევებში, არ დაემთხვეოდა სასამართლოს სამუშაო დროს. შესაბამისად, ვერ მოხდებოდა პირის მოსამართლის წინაშე წარდგენა, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა მნიშვნელოვანი ინტერესების დაზიანება მოჰყოლოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია სადაც ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება გადავადებულიყო 2021 წლის პირველ ივნისამდე, რათა საქართველოს პარლამენტს მისცემოდა გონივრული ვადა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად აღნიშნული საკითხის მოწესრიგებისთვის.

## **2. საერთაშორისო ურთიერთობები და სხვა ღონისძიებები**

### **2.1. საჯარო კომუნიკაცია და საგამომცემლო საქმიანობა**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საკომუნიკაციო და საგანმანათლებლო აქტივობაზე არსებითი გავლენა იქნია კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებულმა შეზღუდვებმა. ნიშანდობლივია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატი 2020 წლის 13 მარტიდან მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადავიდა, რომელიც გულისხმობდა საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის დიდი ნაწილისთვის მუშაობის დისტანციურ განაწესს, ხოლო ადგილზე მომუშავე თანამშრომლების განთავსებას ფალ-ფალკე, იზოლირებულ ოთახებში.

#### **2.1.1. სამართალნარმოების ელექტრონული პორტალი**

საჯარო კომუნიკაციისა და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით, აღსანიშნავია სამართალნარმოების ელექტრონული პორტალის ამოქმედება. საკონსტიტუციო სასამართლომ 2020 წლის იანვარიდან დაიწყო საკონსტიტუციო სამართალნარმოების ელექტრონული სისტემის გამოყენება. 2020 წლის აპრილიდან, ტესტირების რეჟიმში ამოქმედდა სისტემის გარე მომხმარებლების (მოსარჩევე/მოპასუხე მხარის და მათი წარმომადგენლების) ელექტრონული პორტალი. 2020 წლის 18 მაისიდან პორტალით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრირებულ მიმდინარე კონსტიტუციურ სარჩევზე არის სარჩელის/წარდგინების ავტორი ან მოპასუხე/სადაცო ნორმატიული აქტის მიღები, აგრეთვე მათი წარმომადგენელი.

ელექტრონული პორტალის მეშვეობით მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს და შესაბამის საქმესთან დაკავშირებით კომუნიკაცია დაამყარონ საკონსტიტუციო სასამართლოსთან.

ელექტრონული პორტალით სარგებლობისთვის აუცილებელია სამართალნარმოების მონაცილემ ინსტრუქციით დადგენილი წესით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. პორტალის გასააქტიურებელი ბმული პირს გაეგზავნება მოთხოვნის ავთენტურობის შემოწმების შემდეგ.

საკონსტიტუციო სამართალნარმოების ელექტრონული სისტემა შეიქმნა ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის (EU4Justice) დახმარებით. ამასთან, სისტემისა და გარე მომხმარებლების ელექტრონული პორტალის კრიტიკული მნიშვნელობის მოდულების სიმყარის, უსაფრთხოებისა და სანდონის უზრუნველყოფის მიზნით პროექტის მხარდაჭერას აგრძელებს ევროპის საბჭო. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს სასამართლოსა და მხარეებს შორის კომუნიკაციის მოდულის დახვენა, გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრა და საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი რეგლამენტიდან მომდინარე საჭიროებების შესაბამის პროგრამულ მოდულებში ასახვა.

#### **2.1.2. „საკონსტიტუციო სამართლის უურნალის“ გამოცემები**

2020 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ გააგრძელა საგამომცემლო საქმიანობა, რომლის მიზანს საკონსტიტუციო სამართლის დარგის კვლევის განვითარება წარმოადგენს. 2020 წელს გამოიცა „საკონსტიტუციო სამართლის უურნალის“ ორი გამოცემა.

კერძოდ, უურნალის **2020 წლის 15 ივნისს** გამოქვეყნებული სპეციალური გამოცემა მიეძღვნა საგანგებო მდგომარეობის კონსტიტუციურსამართლებრივ რეგულირებასა და ასეთ სიტუაციაში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს. კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პირობებში, რომელმაც დღის წერიგში დააყენა კრიზისული მმართველობის

განხორციელება, ხსენებული გამოცემის თემატიკა განსაკუთრებული აქტუალურობის მატარებელია.

უურნალის სპეციალური გამოცემა მოიცავს საერთაშორისო დონეზე აღიარებული მკვლევარების ნაშრომებს, რომელთა ქართულ ენაზე გამოქვეყნების უფლება უურნალმა ექსპლუზიურად მოიპოვა. კერძოდ, მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს ავტორიტეტული და ხშირად ციტირებადი უცხოელი მეცნიერების - ბრიუს აკერმანის, ერიკ ა. პოზნერისა და კლარისა ლონგის - სტატიებს საგანგებო მდგომარეობის მოწესრიგების გამოცდილებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე, პირადი ინფორმაციის დაცვის საკითხებზე პანდემიის პირობებში. ბრიუს აკერმანის ნაშრომი, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი ძალაუფლების გადაცემის შემთხვევას განიხილავს კონსტიტუციურსამართლებრივი თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული კონტრიბუციაა საგანგებო მდგომარეობის თემაზე. მასვე ეკუთვნის მეორე ნაშრომი, სადაც ავტორი წარმოადგენს მოსაზრებას იმაზე, თუ რა არის საჭირო აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში ძალაუფლების დასაბალანსებლად. ერიკ პოზნერის ნაშრომი განიხილავს აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი გადაწყვეტილებების მიღების მინდობის თეზისის არსს, მისი მოქმედების ფარგლებს ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე. არანაკლებ საინტერესო და რელევანტურია კლარისა ლონგის უახლესი პუბლიკაცია, რომელიც COVID-19-ის პანდემიის პირობებში სახელმწიფოთა მიერ პირადი მონაცემთა შეგროვების პრაქტიკის განხილვას ეთმობა.

ამასთანავე, სპეციალურ გამოცემაში თავმოყრილია ახალგაზრდა ქართველი მკვლევარების ნაშრომები ისეთ მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე, როგორიცაა საგანგებო მდგომარეობის დროს ნორმაშემოქმედების პროცესი, საკუთრების უფლების დაცვის საკითხები, ასევე, საგანგებო მდგომარეობიდან მომდინარე საფრთხეები დემოკრატიული სისტემისთვის და საპარლამენტო ფუნქციების განხორციელება მმართველობის საგანგებო რეჟიმში.

„საკონსტიტუციო სამართლის უურნალის“ მეორე წლიური გამოცემა გამოქვეყნდა 2020 წლის 30 ნოემბერს. გამოცემაში თავმოყრილია ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის რუთ ბეიდერ გინსბურგისა და პროფესორ დებორა ჯონს მერიტის სტატია, რომელიც პირველად 1999 წელს გამოქვეყნდა და აღმჭურველი ქმედების არსს და მის საერთაშორისო-სამართლებრივ საფუძვლებს ეხება, ასევე მიმოიხილავს კაცთა და ქალთა შორის თანასწორობის მიღწევისკენ მიმართულ პრაქტიკას აშშ-ში, ინდოეთსა და ევროპის კავშირში. ნიშანდობლივია, საქართველოს პარლამენტის მიერ სქესის ნიშნით პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველყოფი კვოტირების მექანიზმის შემოღების შემდეგ ხსენებული საკითხი ქართული რეალობისთვის განსაკუთრებული აქტუალურობის მატარებელია. სტატიაში მოცემულია იმ დროისათვის არსებული აღმჭურველი ქმედების პრაქტიკა როგორც სქესის ნიშნით დისკრიმინაციის, ისე სხვა ტიპის უთანასწორების აღმოფხვრის მიმართ.

უურნალის 2020 წლის მეორე გამოცემა ასევე გვთავაზობს პროფესორ კას სანსტინის ნაშრომს, რომელიც სოციალური მნიშვნელობის არსებით პრობლემას ეთმობა და განიხილავს, თუ როგორ ვითარდება ადამიანების ბრაზი და აღმფოთება საზოგადოებაში. უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარებული სოციალური პროტესტის მაგალითზე, ნაშრომი აფასებს, თუ რა ძალა აქვს ადამიანებს, რომლებიც დამკვიდრებული ნორმების შერყვევას იწყებენ და რა მნიშვნელობის მატარებელია საზოგადოების განწყობა უმცირესობების უფლებებისათვის ბრძოლის წარმატების საკითხში.

ამასთანავე, მიმდინარე გამოცემაში თავმოყრილია ქართველი მკვლევარების ნაშრომები მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე. კერძოდ, რეგიონალური კონტექსტიდან გამომდინარე, აქტუალურია, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განსჯადობის საკითხის განხილვა შეიარაღებული კონფლიქტისას წამოჭ-

რილი ადამიანის უფლებათა დარღვევის საჩივრებთან მიმართებით, ხოლო მეორე მხრივ, საინტერესოა ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული ორგანოების პრაქტიკის მიმოხილვა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით. უურნალის გამოცემა ასევე მოიცავს ნაშრომებს კონკურენციის კონსტიტუციურსამართლებრივი ასექტების, მენარმეობის თავისუფლებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა და ინფორმაციული თავისუფლების მნიშვნელობაზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პირობებში.

მიმდინარე გამოცემაში ასევე მოცემულია 2020 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ მიღებული ორი პრეცედენტული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილების მიმოხილვა.

აღსანიშნავია, რომ „საკონსტიტუციო სამართლის უურნალი“ გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში და განკუთვნილია სამართლის სფეროში მოღვაწე მეცნიერების, ექსპერტებისა და სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომების გამოსაქვეყნებლად. გამოცემა უკვე ღიად ხელმისაწვდომი უურნალების საერთაშორისო ბაზაში (Directory of Open Access Journals (DOAJ)) განთავსებული და ინდექსირებულია ევროპის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური გამოცემების ბაზაში (ERIH PLUS), რაც უურნალის სტანდარტების, ღიაობის პოლიტიკის და ეთიკური კრიტერიუმების აღიარებას წარმოადგენს. „საკონსტიტუციო სამართლის უურნალის“ ხსენებულ ბაზაში განთავსება კიდევ უფრო გაზრდის მის ავტორიტეტს და უზრუნველყოფს ფართო ხელმისაწვდომობას უურნალში გამოქვეყნებულ ნაშრომებზე.

## 2.2. საერთაშორისო ურთიერთობები

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აქტიურად საქმიანობდა საერთაშორისო ასპარეზზე და ახორციელებდა მთელ რიგ ღონისძიებებს. სამწუხაროდ, კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებულმა შეზღუდვებმა შეცვალა სასამართლოს საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგი 2020 წელს. კერძოდ, გაუქმდა ან გვიანი ვადით გადაიდო საერთაშორისო ფორმატის დაგეგმილი არაერთი აქტივობა.

შექმნილი მდგომარეობის მოუხედავად, 2020 წლის განმავლობაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განახორციელა შემდეგი აქტივობები:

### 2.2.1. სასამართლოს თავმჯდომარის/წევრების მიერ 2020 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ვიზიტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონფერენციების/ორმხრივი შეხვედრების ფარგლებში მჭიდროდ ურთიერთობს უცხო ქვეყნების საკონსტიტუციო სასამართლოებთან და საერთაშორისო ინსტიტუტებთან.

- **2020 წლის 31 იანვარი -** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძემ სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მიწვევით სასამართლოს სამუშაო წლის გახსნასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა. ზაზა თავაძე სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარე ლინოს-ალექსანდრე სიცილიანოსს შეხვდა. შეხვედრისას მხარეებმა საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს შორის წარმატებულ თანამშრომლობაზე ისაუბრეს, რომელიც მრავალი წელია ვითარდება.

შეხვედრას ასევე ესწრებოდა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მოსამართლე ლადო ჭანტურია, ევროსასამართლოს აპარატის წარმომადგენლები, საკონსტიტუციო სასამართლოს პროტოკოლისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ლომთაძე და ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირაკლი გივიაშვილი.

შეხვედრაზე დადებითად აღინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი საქართველოში კონსტიტუციის უზენაესობის დაცვისა და სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცების პროცესში.

- **2020 წლის 19-20 თებერვალი** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე და სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის მთავარი მრჩეველი გიორგი სულხანიშვილი სამუშაო ვიზიტით მოლდოვას რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ, სადაც მონაწილეობა მიიღეს მოლდოვას რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 25 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დელეგაცია დაესწრო საერთაშორისო კონფერენციას - „კონსტიტუციური მართლმსაჯულება და საზოგადოების რეაქცია: როდესაც საზოგადოების უმრავლესობა არ ეთანხმება საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტებს.“ ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის თავმჯდომარე, საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლები ევროპიდან და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზაზა თავაძემ ბალტიისა და შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციის (BBCJ) ფორმატში შეხვედრა გამართა მოლდოვას რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ვლადიმირ ტურჩანთან. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ლიეტუვას რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე დანიუს უალიმასი. მხარეებმა წევრ საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა განიხილეს და მისი განვითარების შესაძლებლობაზე ისაუბრეს.

ზაზა თავაძემ ასევე პირისპირ შეხვედრა გამართა ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის თავმჯდომარე ჯანი ბუკიკიოსთან. მხარეებმა საქართველოს საკონსტიტუციო სა-სამართლოსა და ვენეციის კომისიას შორის არსებული თანამშრომლობა განიხილეს.

- **2020 წლის 9 მარტი** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე სამუშაო ვიზიტით ასტანაში იმყოფებოდა, სადაც ყაზახეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარე კაირატ მამის შეხვდა.

შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა, რომლის ფარგლებშიც მხარეებმა ორ ინსტიტუციას შორის თანამშრომლობის მიმართულებები განიხილეს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ყაზახეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭოს ევროპისა და მსოფლიო მასშტაბის ფარგლებში მრავალმხრივი ურთიერთობის ფორმატში თანამშრომლობის ისტორია აქვთ. შეხვედრაზე გამოითქვა სურვილი ინსტიტუციებს შორის განვითარდეს ორმხრივი თანამშრომლობა.

- **2020 წლის 28 აგვისტო** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავამ მონაწილეობა მიიღო ყაზახეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო საბჭოს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში: „XXI საუკუნის კონსტიტუცია - კანონის უზენაესობა, ადამიანის ღირსება და სახელმწიფოს ეფექტურობა“, რომელიც ონლაინ რეჟიმში გაიმართა. ღონისძიება ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 25 წლის იუბილეს მიეძღვნა და აზის საკონსტიტუციო სასამართლოებისა და რელევანტური ინსტიტუტების ასოციაციის IV კონგრესის ფარგლებში ჩატარდა.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კასიმ-უმარტ ტოკაევმა და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ჯანი ბუკიკიომ.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსამართლეები ევროპისა და აზიის უმაღლესი ეროვნული სასამართლოებიდან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები.

## **2.2.2. საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა**

საკონსტიტუციო სასამართლო აგრეთვე აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან.

- **2020 წლის 14 ივნისი -** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კელი დეგნანი ენვია, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავამ უმასპინძლა.

სამართლის სფეროში მისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ელჩი დეგნანი დაინტერესდა საკონსტიტუციო კონტროლის სისტემით საქართველოში, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციითა და სამართალწარმოების პრაქტიკული ასპექტებით. მერაბ ტურავამ ელჩითან ისაუბრა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცედურისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ეფექტების შესახებ.

შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა. მხარეებმა გამოთქვეს სურვილი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით.

- **2020 წლის 20 ივნისი -** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში კრისტიან ურსე ესტუმრა, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავამ უმასპინძლა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობას, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების მნიშვნელობას საქართველოს სამართლებრივი სისტემის განვითარებაში. მხარეებმა, ასევე, დადებითად აღნიშნეს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ევროპის საბჭოს ოფის შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის - „სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება და ადვოკატთა პროფესიონალიზმის ამაღლება საქართველოში“ - ფარგლებში, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციურ გაძლიერების კომპონენტს ითვალისწინებს.

კრისტიან ურსემ, რომელიც საქმიანობას საქართველოში ასრულებდა, პატივისცემა გამოხატა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ და დადებითად აღნიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს როლი საქართველოში სამართლის უზენაესობის განმტკიცების პროცესში.

მერაბ ტურავამ მაღლობა გადაუხადა კრისტიან ურსეს მხარდაჭერისთვის და საკონსტიტუციო სასამართლოსა და ევროპის საბჭოს შორის თანამშრომლობის გაძლიერების პროცესში შეტანილი ღირებული წვლილისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ასევე, მაღლიერება გამოხატა კრისტიან ურსეს მიერ საქართველოში გაწეული საქმიანობის მიმართ და წარმატებები უსურვა მას მომავალ პროფესიულ საქმიანობაში.

- **2020 წლის 1-2 აგვისტო** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავამ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის (EU4Justice) მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც სასამართლო აქტების გამოქვეყნებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის საკანონმდებლო რეგულირების საკითხებზე პათუმში, სასტუმრო „ჰილტონში“ გაიმართა.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და, შეხვედრის თემიდან გამომდინარე, ყურადღება გაამახვილა საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებაზე, რომლის შედეგადაც არაკონსტიტუციურად გამოცხადდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის სადავო დებულებების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს ლია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას.

მოწვეულ სტუმრებს ასევე, სიტყვით მიმართეს: საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა, ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელმა რენატე ვინთერმა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა გიორგი მიქაუტაძემ და სახელმწიფო ინსპექტორმა ლონდა თოლორაიამ.

სამუშაო შეხვედრაზე გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების პროფესორის, ევროკავშირის პროექტის „სასამართლო რეფორმების მხარდაჭერა საქართველოში“ უფროსი ექსპერტის, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლის მაია კოპალეიშვილის კვლევის პრეზენტაცია თემაზე: „კონსტიტუციით დადგენილი ბალანსი სასამართლო აქტებზე საჯარო ხელმისაწვდომობის უფლებასა და პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობისგან დაცვის უფლებას შორის“. შეხვედრაზე, ასევე, მიმოიხილეს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების სამუშაო ვერსია.

ღონისძიებას ესწრებოდნენ, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე, საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, უზენაესი სასამართლოსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

### **2.2.3. ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ თანადაფინანსებული პროექტის „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“**

2020 წლის იანვრიდან ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ თანადაფინანსებული პროექტი „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ დაიწყო, რომლის ერთ-ერთი კომპონენტის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური გაძლიერება წარმოადგენს. პროექტის მიზანია საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, სასამართლოს აპარატის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საკონსტიტუციო კონტროლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიტიური პოზიციონირება და მისი როლისა და ფუნქციების შესახებ ცნობადობის ამაღლება. პროექტი 2020 - 2021 წლებში განხორციელდება, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ტიპის აქტივობა იგეგმება.

სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკების კონსორციუმი (CELL).

საქართველოს სამართლის ინსტიტუტის უშუალო ძალისხმევითა და ევროკავშირი/ევროსაბჭოს ერთობლივი „სასამართლოს რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტისა და US-

AID-ის დაფინანსებული პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფინანსური ხელშეწყობით სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკების კონსორციუმი დაფუძნდა (CELL). კონსორციუმი საშუალებას აძლევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს/თანამშრომლებს ჰქონდეთ წვდომა ელექტრონულ სამართლებრივ რესურსებზე (Westlaw and HeinOnline), რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს კვლევისა და სამეცნიერო მუშაობის ხარისხს.

აღსანიშნავია, რომ აკადემიურ წყაროებზე წვდომა მოითხოვს სპეციალურ, ძვირადღირებულ საწევრო გადასახადს, რომლის საშუალებით ხელმისაწვდომია ათასობით იურიდიული სახის ლიტერატურა, აკადემიური ჟურნალი და სხვა რელევანტური პერიოდული გამოცემები.

კონსორციუმში ჩართულ მხარეებს საშუალება ეძლევათ გაინაწილონ ყოველწლიური საწევრო გადასახადი და ჰქონდეთ აკადემიურ წყაროებთან შეუფერხებელი წვდომა. ამით ინსტიტუციების ელექტრონული აკადემიური ბიბლიოთეკა ხდება მეტად ხელმისაწვდომი და ხარჯ-ეფექტური, ვინაიდან საწევროს გადასახადი დონორების მხარდაჭერაზე აღარ იქნება დამოკიდებული.

კონსორციუმის დამფუძნებელი წევრები არიან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი და საქართველოს უნივერსიტეტი. თუმცა, კონსორციუმი ღიაა ითანამშრომლოს სხვა დაინტერესებულ საჯარო, აკადემიურ თუ კერძო ორგანიზაციებთან, წევრების რაოდენობის გაზრდისა და, შესაბამისად, უფრო მეტი ელექტრონული რესურსისადმი ხელმისაწვდომობის მიზნით.

## 2.2.4. ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენცია

2017-2020 წლებში ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციას თავმჯდომარეობდა ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო. აღსანიშნავია, რომ კორონავირუსის (ჩშVID-19) პანდემიის გამო, 2020 წლის 26 - 29 მაისს ქალაქ პრაღაში დაგეგმილი ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების XVIII კონგრესი გადაიდო და წევრი სასამართლოების გადაწყვეტილებით, 2021 წლის 24-25 თებერვალს დისტანციურ ფორმატში გაიმართა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავამ მონაწილეობა მიიღო ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის XVIII კონგრესში, რომელსაც ორგანიზება ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ გაუწია.

24 თებერვალს XVIII კონგრესის ფარგლებში, ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეთა მიერ გადაწყდა სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხი, მათ შორის, განისაზღვრა, რომ ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის XIV კონგრესის თავმჯდომარე იქნება მოლდოვის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო.

25 თებერვალს გაიმართა კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც სპიკერებმა წარმოადგინეს მოხსენებები კონგრესის თემატურ საკითხზე. XVIII კონგრესის თემას წარმოადგენდა - „ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები: ურთიერთდამოკიდებულება საერთაშორისო, სუპრანაციონალურ და ეროვნულ კატალოგებს შორის 21-ე საუკუნეში“.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების მოსამართლეებმა, ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოსა და ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს თავმჯდომარეებმა.

აღსანიშნავია, რომ 2014-2017 წლებში ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების

კონფერენციას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავმჯდომარეობდა, რომლის ფარგლებშიც XVII კონგრესის ღონისძიებები 2017 წელს ბათუმში გაიმართა.

ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენცია 1971 წელს დაარსდა და მასში გაერთიანებულია ევროპის 41 საკონსტიტუციო სასამართლო და რელევანტური ინსტიტუტი. კონფერენციის მიზანია, საკონსტიტუციო სასამართლოების რეგულარული ურთიერთობის საფუძველზე, ხელი შეუწყოს წევრ სასამართლოებს შორის ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარებას კონსტიტუციური კონტროლის საკითხებზე. ასევე, მისი ამოცანაა გაზარდოს საკონსტიტუციო სასამართლოების დამოუკიდებლობა, როგორც დემოკრატიის და კანონის უზენაესობის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლებების დაცვა.

ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის სტრუქტურა და კომპეტენცია რეგულირდება მისი სტატუტით და რეგლამენტით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნული კონფერენციის წევრია 2000 წლიდან.

### **3. კონსტიტუციური კანონიერების განმარტივების მნიშვნელოვანი მიმართულებები**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის 2020 წელი მნიშვნელოვანი და გამოწვევებით აღსავსე იყო როგორც გადაწყვეტილებებით დადგენილი კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტების, ისე - პანდემიის პირობებში კონსტიტუციური კონტროლის ეფექტური განხორციელებისა და მის მიმდინარეობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

#### **3.1. 2020 წელს დადგენილი კონსტიტუციურსამართლებრივი სტანდარტები**

2020 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა რწმენის თავისუფლების შინაარსთან და ფარგლებთან დაკავშირებით.<sup>38</sup> კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელეთა რელიგიური წინააღმდეგობა, როგორიცაა რელიგიური რწმენის მოტივით ელექტრონული პირადობის მოწმობის აღმაზე უარის თქმა, დაცული იყო კონსტიტუციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით, ვინაიდან, იგი არ ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიულ ღირებულებებს და გააჩნდა გარკვეული დასაყრდენი მართლმადიდებლურ სწავლებაში, იმავდროულად, აკმაყოფილებდა სერიოზულობისა და დამაჯერებლობის კონსტიტუციურ სტანდარტს. სასამართლომ დაადგინა, რომ დაუშვებელია, დაცული სფეროს ფარგლებში მოვიაზროთ პირის მხოლოდ ის რელიგიური მოსაზრებები, რომლებსაც შესაბამისი კონფესიის/რელიგიური ჯგუფის წევრთა უმრავლესობა იზიარებს. არამედ, ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პირის გულწრფელობას, მისი წინააღმდეგობის კეთილსინდისიერებას. კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულია რწმენის მხოლოდ იმგვარი გაცხადება (მოქმედება/უმოქმედობა), რომელიც მჭიდრო და უშუალო კავშირშია აღნიშნულ რწმენასთან.

დასახელებულ საქმეში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა სადავო ნორმების ნეიტრალურ ბუნებაზე და განმარტა, რომ სახელმწიფოს ზოგადი რეგულაცია, რომელიც არ ანესებს კონკრეტულ შეზღუდვას რწმენის თავისუფლებასთან მიმართებით და, იმავდროულად, საერთოდ არ გააჩნია პირდაპირი შინაარსობრივი ბმა რწმენის/რელიგიის საკითხებთან, ვერ იქნება განხილული რწმენის/რელიგიის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევად. საქართველოს კონსტიტუციით დაცული რწმენის/ალმასარებლობის თავისუფლებიდან არ წარმოდგება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, ოფიციალური დოკუმენტების შემუშავებისას, გაითვალისწინოს ყველა ის გულწრფელი წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლება რწმენის საფუძველზე წარმოედვას მის მოქალაქეებს, რომლებიც სხვადასხვა რელიგიის მიეკუთვნებიან. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც რელიგიური რწმენით შთაგონებული ესა თუ ის ქმედება არ წარმოადგენს შესაბამისი რელიგიის პრინციპულ/სავალდებულო მოთხოვნას.

2020 წლის პრაქტიკიდან აღსანიშნავია ასევე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საქართველოს უზრუნვესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის არსებულ მოდელზე.<sup>39</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ერთი მხრივ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის და უზრუნვესი სასამართლოს მოსამართლების საბოლოო განხესებაში საბჭოს როლის, ხოლო, მეორე მხრივ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ

<sup>38</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის №1/1/1404 გადაწყვეტილება საქმეზე „ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“

<sup>39</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

გადაწყვეტილების მიღების წესის და კეთილსინდისიერი და კომპეტენტური კანდი-დატების შერჩევის უზრუნველსაყოფად არსებული კომპლექსური პროცედურებისა და გარანტიების გათვალისწინებით, საბჭოს, როგორც კოლეგიური ორგანოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევისას გადაწყვეტილების მიღება ფარულად და წერილობითი დასაბუთების გარეშე არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს და არსებული მოდელი უზრუნველყოფდა პარლამენტისათვის მოსამართლეთა სათანადო კანდიდატების წარდგენას.

აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა სასამართლოს კეთილსინდისიერი და კომპეტენტური მოსამართლებით დაკომპლექტების მნიშვნელობაზე და განმარტა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება სათანადო ღირსების, კვალიფიკაციის, კონსტიტუციურ ღირებულებათა და ადამიანის უფლებებისადმი ერთგული მოსამართლების გარეშე, მარტოოდენ, ფიქციად იქცევა. საზოგადოებას ვერ ექნება სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობა, თუ თავად მოსამართლეებს არ შესწევთ უნარი, სათანადოდ აღასრულონ და ემსახურონ მართლმსაჯულებას. ამდენად, სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების ერთადერთი უპირობო საშუალება მისი სათანადო მოსამართლეებით დაკომპლექტებაა. აღნიშნული, თავისთავად, გულისხმობს სასამართლოს იმ კანდიდატებით დაკომპლექტებას, რომელიც სრულად აკმაყოფილებენ მოსამართლისათვის წაყენებულ კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.

2020 წელს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა პარტიულ სიებში სქესის ნიშნით სავალდებულო კვოტირების ინსტიტუტთან და ამ კუთხით საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ ნაკისრ პოზიტურ ვალდებულებებთან დაკავშირებით.<sup>40</sup> კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი წარმოადგენს სახელმწიფოსთვის ზოგად სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სხვადასხვა გზებით მამაკაცებისა და ქალების უნარების თანაბრად რეალიზების ხელშეწყობის ვალდებულებას განერს. დასახელებული კონსტიტუციური დებულების მიზანია შექმნას ისეთი გარემო, რომელშიც ქალი და მამაკაცი თანაბარი შრომითა და უნარებით თანაბარ წარმატებას მიაღწევენ. ხსენებული კი შესაძლებელია მიღწეულ იქნეს სქესთან დაკავშირებული და მისგან მომდინარე წარმატებისთვის ხელისშემშლელი ხელოვნური ბარიერების დამაბალანსებელი მექანიზმების ჩამოყალიბებით.

აღნიშნულ საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საქართველოში არსებულ ფაქტობრივ რეალობაზე, რომელიც აშკარად მიუთითებდა, რომ საქართველოს პარლამენტში ქალთა დაბალი წარმომადგენლობა პირდაპირ კავშირში იყო მათი უნარების რეალიზებასთან დაკავშირებული ხელოვნური ბარიერების არსებობასთან, რის გამოც, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის, გამართლებული იყო სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ზომების მიღება, რომელიც გაზრდიდა პარლამენტში ქალთა რაოდენობას და ამ გზით დააბალანსებდა ხელოვნური ბარიერების არსებობით განპირობებულ უთანასწორობას. სადაც ნორმის კონსტიტუციურობის დადგენისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ნორმიდან მომდინარე უფლების შეზღუდვის ნაკლები ინტენსივობა და მისი მოქმედების დროებითი ხასიათი და მიიჩნია, რომ სადაც ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საარჩევნო სუბიექტებს ავალდებულებდა საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის პარტიული სიის ყოველ ოთხეულში წარედგინათ მინიმუმ ერთი ქალი კანდი-

<sup>40</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/3/1526 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, პერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

დატი შესაბამისობაში იყო საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებთან.

2020 წელს განხილულ საქმეთაგან აგრეთვე აღსანიშნავია პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის წევრისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება.<sup>41</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ პარლამენტის წევრის კონსტიტუციური სტატუსის, მისი ფუნქციების მნიშვნელობისა და ლეგიტიმაციის წყაროს გათვალისწინებით, აუცილებელია, არსებობდეს პარლამენტის წევრის უფლებებისა და ინტერესების დაცვის მყარი კონსტიტუციური საფუძვლები და არ მოხდეს მისი უფლებამოსილების შეწყვეტა დემოკრატიის პრინციპთან შეუთავსებელი გზით. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ დანაშაულის ხასიათზე, რომლის ჩადენაშიც იყო მოსარჩევე დამნაშავედ ცნობილი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნაა, საკანონმდებლო საქმიანობა განახორციელონ მხოლოდ ისეთმა პირებმა, რომელთა ქცევაც შეუსაბამო არაა პარლამენტის წევრის სტატუსთან, რათა საქართველოს პარლამენტის საქმიანობას არ მიადგეს გამოუსწორებელი რეპუტაციული ზიანი და ეჭვქვეშ არ დადგეს მის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და მაკონტროლებელი ფუნქციების სანდოობა. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, საზოგადოებაში უნდა არსებობდეს აღქმა, რომ პარლამენტის საქმიანობა და კანონშემოქმედებითი პროცესი თავისუფალია შიდა და გარე ჩარევების, ვიწროდ პირადი ინტერესებისა და უკანონო ზემოქმედებისაგან. ამ მიზნის მიღწევა კი შეუძლებელი იქნება მაშინ, თუკი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი პირი კვლავ განაგრძობს საკანონმდებლო ორგანოში საქმიანობას.

2020 წელი მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებების გაუმჯობესების თვალსაზრისით. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბლანკეტურად გამორიცხავდა დაზარალებულის შესაძლებლობას, სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების მიღების გზით გაცნობოდა ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღნიშნული ქმედება საფრთხეს არ უქმნიდა გამოძიების ინტერესებს.<sup>42</sup>

გასული წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათაგან აღსანიშნავია მის მიერ განვითარებული მსჯელობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელ პირთა ინტერესების დაცვის და ამ მიმართულებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განვითარების თვალსაზრისით.<sup>43</sup> კერძოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციასთან შესაბამისად ცნო ნორმები, რომლებიც ფიზიკური პირის მიერ აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების პირადი მიზნით რეპროდუცირებისას (კოპირებისას), ჰონორარის გადახდის ვალდებულებას უდგენდა ამგვარი ნაწარმოების რეპროდუცირებისთვის განკუთვნილი მოწყობილობების და მატერიალური მატარებლების მნარმოებლებსა და იმპორტიორებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელ პირთა ქონებრივი ინტერესების დაცვის მნიშვნელობას და

<sup>41</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე «ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ»

<sup>42</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის №1/3/1312 გადაწყვეტილება საქმეზე „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

<sup>43</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/1/877 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს ალტა“, „შპს ოქეი“, „შპს ზუმერი ჯორჯია“, „შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი“ და „შპს სმაილი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

აღნიშნა, რომ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შემქმნელი პირების ავტორად აღიარება და მათი ეკონომიკური ინტერესების დაცვა უკავშირდება მნიშვნელოვან საჯარო ლეგიტიმურ მიზნებს. კერძოდ, საავტორო უფლებების სათანადოდ დაცვით, სახელმწიფო ხელს უწყობს ინოვაციურ და შემოქმედებით საქმიანობას, მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების შექმნას, შენარჩუნებას და განვითარებას, აგრეთვე საზოგადოების კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებას. ამასთან, ავტორების მიერ შექმნილი პროდუქტის საზოგადოებამდე მიტანაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ნაწარმოებების შემსრულებლები, ინფორმაციის მატარებელზე შემნახველი და გამავრცელებელი პირები და მთელი ის კომერციული ინდუსტრია, რომელიც ამ პროცესშია ჩართული. აქედან გამომდინარე, მომიჯნავე უფლებების მფლობელი სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების დაცვაც პირდაპირ კავშირშია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებასთან, ხელს უწყობს მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებების შექმნას, გავრცელებას და საზოგადოებისათვის მათ ხელმისაწვდომობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა სისხლის სამართლის პროცესში ჩერეკის ჩატარების საფუძვლებსა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მტკიცებულებით სტანდარტთან მიმართებით.<sup>44</sup> კერძოდ, სასამართლომ იმსჯელა ჩერეკის ჩატარების კონსტიტუციურობაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მას მხოლოდ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ედება საფუძვლად. ამასთან, სასამართლომ პირადი ცხოვრების დარღვევად მიიჩნია ჩერეკის შედეგის განხილვა ჩერეკისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ერთ-ერთ საფუძვლად.

სასამართლომ ხაზი გაუსვა ოპერატიული წყაროსა და ანონიმური პირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას დანაშაულთან ბრძოლის კუთხით. ამასთან, ყურადღება გაამახვილა ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალურობის გარანტიის აუცილებლობაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად. იმავდროულად, სასამართლომ განმარტა, რომ ჩვეულებრივი მოწმისგან განსხვავებით, ოპერატიული წყაროს და ანონიმური პირის შემთხვევაში არ ხდება/ვერ ხერხდება სასამართლოს მიერ ინფორმაციის პირველწყაროს სანდოობის გადამოწმება. შესაბამისად, ასეთი ინფორმაციის სათანადო გადამოწმების გარეშე ჩერეკის საფუძვლად გამოყენება ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის უფლების არა-საჭირო შეზღუდვის მაღალ რისკს ქმნის.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმისათვის, რათა ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია საფუძვლად დაედოს ადამიანის ჩერეკას, თავად ინფორმაცია უნდა იყოს დეტალიზებული და შესაძლებელი იყოს მისი სანდოობის გარკვეული ხარისხით გადამოწმება. მაგალითისთვის, ინფორმაციის სანდოობა შეიძლება დადასტურდეს პოლიციელის ჩვენებით, რომელიც გაფრთხილებულია ცრუ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და რომელიც მიუთითებს, რომ წყარო გამოცდილი და სანდოა, მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია კი სანდოობის ხარისხით გამოირჩეოდა წარსულშიც.

სასამართლომ განმარტა, რომ კანონის სისტემური და გრამატიკული განმარტების საფუძველზე, გამორიცხული უნდა იყოს მხოლოდ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩერეკის ჩატარება, ვინაიდან დასაბუთებული ვარაუდი მოითხოვს მინიმუმ კიდევ ერთ ინფორმაციას ან ფაქტს იმისათვის, რომ უფლებამოსილ პირს ჰქონდეს შესაბამისი ხარისხის ეჭვის საფუძველი. ამრიგად, ჩერეკის კანონიერად ჩატარება მხოლოდ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექ-

<sup>44</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

სის მიხედვით, არ უნდა იყოს შესაძლებელი.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თუ ოპერატიული ინფორმაციის მიღების შესახებ პატაკის შემდგენი/მიმღები პირის გამოკითხვის ოქმი ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის მითითების გარეშე იმეორებს მხოლოდ პატაკში აღწერილ ინფორმაციას, ანდა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც ოპერატიულმა წყარომ მიაწოდა, იგი უტოლდება ერთ ინფორმაციას, რაც ცხადია ვერ შეფასდება ინფორმაციის ან ფაქტების ერთობლიობად. მიუხედავად ამისა, საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი ცხადი და რელევანტური პრაქტიკა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ჩერეკის საფუძველი გახდა მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პირის პატაკი და ამ პირის გამოკითხვის ოქმი, რომელიც იმეორებს პატაკში არსებულ ან/და ოპერატიული წყაროს ინფორმაციას, ყოველგვარი დამატებითი ინფორმაციის მითითების ანდა ინფორმაციის გადამოწმების გარეშე. ამრიგად, სასამართლო ამ კუთხით სადაც რეგულირება კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ არ მიიჩნია.

თუმცა, სასამართლომ მიუთითა, რომ საერთო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩერეკის შედეგი საფუძვლად დაედო ჩერეკის კანონიერების დასაბუთებას. სასამართლოს განმარტებით, ჩერეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების ფაქტი არარელევანტური გარემოებაა იმის გადამოწმებისას, თუ რამდენად სწორად აფასებდა სამართალდამცავი ჩერეკის ჩატარებამდე დასაბუთებული ვარაუდის არსებობის ფაქტს. შესაბამისად, კონკრეტული ჩერეკის ჩატარების საჭიროების/აუცილებლობის შეფასებაზე გავლენას არ ახდენს ამავე ჩერეკის შედეგად სათანადო მტკიცებულების მოპოვების ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია სადაც რეგულირების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ჩერეკის შედეგს განიხილავს ჩერეკისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ერთ-ერთ საფუძვლად.

ამავე გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენის უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობის კონსტიტუციურ გარანტიასთან შეუსაბამოდ მიიჩნია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმგვარი ჩვენების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება ოპერატიული წყაროს (კონფიდენტი/ინფორმანტი) და ანონიმური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

სასამართლომ დაადგინა, რომ საერთო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პოლიციელის ჩვენება, სადაც ეს უკანასკნელი სხვა რაიმე დამატებითი ინფორმაციის მითითების გარეშე, უბრალოდ გადმოცემდა ოპერატიული ინფორმაციის წყაროს მონათხოვბს, გამოყენებული იყო გამამტყუნებელი განაჩენის ერთ-ერთ საფუძვლად. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შინაარსობრივად პოლიციელის ჩვენება, რომელიც ემყარება ოპერატიული ინფორმაციის მომწოდებელ წყაროს - კონფიდენტის/ინფორმანტის ინფორმაციას, ირიბი ჩვენების ერთგვარი ფორმაა, რომელიც თანაბარ რისკებს უქმნის პირისთვის უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სახელმწიფო ვალდებულებას. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციელის ამგვარი ჩვენების გამამტყუნებელი განაჩენისთვის გამოყენება აშკარად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს დაცვის მხარეს. დაცვის მხარეს არ აქვა შესაძლებლობა უშუალოდ დაკითხოს ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებელი პირი, ეჭვქვეშ დააყენოს იმ პირის სანდოობა და დამაჯერებლობა, რომლის ჩვენებასაც სასამართლო ეყრდნობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას. დაცვის მხარისთვის ამგვარი შესაძლებლობის არქონა აშკარად ქმნის იმის საფრთხეს, რომ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მოხდეს უტყუარი მტკიცებულებების გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე შეაფასა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ჩერეკის შედეგად ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების და მისგან მომდინარე მტკიცებულებების გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად გამოყენების

კონსტიტუციურობა. განსახილველ საქმეში არსებული მასალების ანალიზის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საერთო სასამართლოების პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მოხდა მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობით, რომელიც შედგებოდა ოპერატიული წყაროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ჩერეკის შედეგად ამოღებული ნივთის (ნარკოტიკული საშუალების ან ცეცხლსასროლი იარაღის), ამ ჩერეკის თანამონაწილე/დამსწრე პოლიციის თანამშრომელთა თანმიმდევრული ჩვენებების, ჩერეკისა და დაკავების ოქმების და ქიმიური ექცერტიზის (რომელიც აღწერდა ამოღებული ნივთის სახეობას/რაობას და ოდენობას) საფუძველზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ქმნის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს, რიგ შემთხვევებში, შეიძლება ვერ პასუხობდეს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ჩერეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების იმგვარი სისტემა, რომელიც, ერთი მხრივ, სამართალდამცავებს აღჭურავს ჩერეკის სანდოობის უზრუნველყოფისათვის ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობით, მეორე მხრივ კი, შეამცირებს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკებს. როდესაც ჩერეკის შედეგად ამოღებული ნივთის მტკიცებულებად გამოყენების საკითხი მხოლოდ და მხოლოდ პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებებზეა დამოკიდებული, მათი სანდოობისათვის არსებითი იქნება ის, თუ რამ გამოიწვია ასეთი მოცემულობის შექმნა. პოლიციის კეთილსინდისიერი მოქმედების პრეზუმირება ბევრად უფრო მარტივია იმ შემთხვევაში, როდესაც დასტურდება, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელი (განუზომლად რთული) იყო ჩერეკის სანდოობასთან დაკავშირებით დამატებითი მტკიცებულების მოპოვება. თუმცა როდესაც აშკარაა, რომ პოლიციელს შეეძლო მოეპოვებინა ჩერეკის სანდოობის გამამყარებელი მტკიცებულება და მან ეს არ გააკეთა, მისი ქმედებებისადმი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს.

სასამართლოს განმარტებით, საგამოძიებო მოქმედების კომპლექსურობის გათვალისწინებით, ყველა შემთხვევაში, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვერ მოხდეს ჩერეკის ფაქტის ნეიტრალური მტკიცებულებით გამყარება, თუმცა უნდა დადასტურდეს, რომ უფლებამოსილმა პირმა აღნიშნულისათვის მიიღო გონივრული ზომები. ამის აშკარა მაგალითია, როდესაც საქმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ პირის ან მისი მფლობელობის ჩერეკის პროცესზე ნეიტრალური მონმის დასწრების შესაძლებლობა ობიექტურად არსებობდა და პოლიციელებმა ეს არ უზრუნველყოვს. უფრო მეტიც, თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესი იძლევა შესაძლებლობას, რომ ბრალდების პოზიციის გამყარებისთვის განხორციელდეს ჩერეკის პროცესის ვიდეოგადაღებაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გამოძიებისთვის რეალურად ხელთ არსებული შესაძლებლობების გამოყენებლობა, რაც დაადასტურებდა/გაამყარებდა პირის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ქმნის შეცდომის, თვითნებობის და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მნიშვნელოვან რისკებს. აღნიშნულის მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენს სამართალდამცავის ვალდებულებას, მოიპოვოს ჩერეკის სანდოობის უზრუნველყოფი ნეიტრალური მტკიცებულებები, მაშინაც კი, როდესაც ეს პოლიციელის უსაფრთხოების ან/და მტკიცებულების განადგურების/ გადამალვის საფრთხის შექმნის გარეშე, გონივრულ ფარგლებში მოქმედების შედეგად შესაძლებელია.

ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმდებლობითა და სადავო ნორმით ვერ ხერხდება არასანდო მტკიცებულების გამოყენებით პირის მსჯავრდების რისკების დაზღვევა. შესაბამისად, სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩერეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამო-

ყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებებით და ამავე დროს სამართალდამცავებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს და არაკონსტიტუციურია.

აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება,<sup>45</sup> რომლის საფუძველზეც დისკრიმინაციად იქნა მიჩნეული ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა დიფერენცირება დაკავების დროს მიხედვით. განსხვავებული მოპყრობა გამოიხატებოდა დაკავების მაქსიმალური ვადის განსაზღვრაში იმის მიხედვით, პირის დაკავება განხორციელდა თუ არა სამუშაო დროს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ იმ შემთხვევაში თუ პირის დაკავებისთვის განკუთვნილი 12 საათიანი ვადის გასვლა ემთხვეოდა სასამართლოს არასამუშაო დროს, პირის ადმინისტრაციული დაკავების მაქსიმალური ვადა შესაძლოა ყოფილიყ 48 საათი, ხოლო სხვა შემთხვევაში პირის დაკავება ვერ გაგრძელდებოდა 12 საათზე მეტ სანს. სასამართლომ შესაძარებელი პირები არსებითად თანასწორებად მიიჩნია და მიუთითა, რომ სადაცო ნორმით დადგენილი დიფერენცირება არ წარმოადგენდა მოპასუხე მხარის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნის – მართლმსაჯულების განხორციელების მიღწევის საშუალებას. სასამართლომ განმარტა, რომ პირის თუნდაც 24 საათით დაკავების შემთხვევაშიც, აღნიშნული ვადა აუცილებლად მოიცავდა სასამართლოს სამუშაო დროს, განურჩევლად იმისა, თუ დროის რა მონაკვეთში განხორციელდა პირის დაკავება. შესაბამისად, ადმინისტრაციული დაკავების 48 საათამდე გახანგრძლივების შესაძლებლობა ვერ აიხსნებოდა სასამართლოს არასამუშაო დროით. ამრიგად, სადაცო რეგულირება არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მნიშვნელოვანი სტანდარტები დაადგინა ეკონომიკური სიჯანსაღისა და მომხმარებელთა დაცვის მოტივით საკუთრების უფლების შეზღუდვასთან მიმართებით.<sup>46</sup> საქმეზე სადაცოდ გამხდარი ნორმები ადგენდა ფიზიკურ პირზე (მათ შორის, ინდივიდუალურ მენარმეზე) გასაცემი/გაცემული სესხის/კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად მის ან სხვა ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე იპოთეკის და გარკვეული კატეგორიის ნივთებთან მიმართებით, გირავნობის გამოყენების აკრძალვას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საზოგადოებაში ჭარბვალიანობის თავიდან აცილება, ეკონომიკის სიჯანსაღე, საზოგადოების მსყიდველუნარიანობის შენარჩუნება წარმოადგენს ისეთ საჯარო ინტერესებს, რაც შესაძლოა საფუძვლად დაედოს საკუთრების უფლების შეზღუდვას. სასამართლოს მითითებით, ფიზიკური პირების სასესხო ვალდებულებების მასობრივ აკუმულირებას შეუძლია ნეგატიური ზეგავლენის მოხდენა დასახელებულ ინტერესებზე. ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ბაზარზე არსებული კრედიტორები, უმეტეს შემთხვევაში, სარგებლობენ მათი მდგომარეობისთვის დამახასიათებელი ასიმეტრიული ძალთა ბალანსით, რაც განპირობებულია არა მხოლოდ მათი შესაბამისი გამოცდილებით, არამედ სამართლებრივი ურთიერთობიდან მაღალი სარგებლის მიღების მომეტებული ინტერესითაც. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ აუცილებელია ისეთი მექანიზმების არსებობა, რომელიც დააბალანსებს ასეთი კრედიტორებისგან მომდინარე საფრთხეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ, მათი სპეციფიკურობის და არსებული რისკების

<sup>45</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/4/1412 გადაწყვეტილება საქმეზე „ირაკლი ჯულელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

<sup>46</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის №1/4/1380 გადაწყვეტილება საქმეზე «ფატმან კვარაცხელია და კახა ეხვაის საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ».

გათვალისწინებით, ერთმანეთისგან გამიჯნა უძრავ ნივთზე იპოთეკის და გარკვეული კატეგორიის მოძრავ ნივთებთან მიმართებით, გირავნობის გამოყენების შემთხვევები. სასამართლომ აღნიშნა, რომ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხი, როგორც წესი, დამახასიათებელია ისეთი საკრედიტო ურთიერთობებისთვის, რომლებიც უკავშირდება განსაკუთრებით დიდი ოდენობით საკრედიტო ვალდებულების მიღებას. შესაბამისად, ამგვარი სესხის კრედიტორისთვის დაბრუნება ისეთ მაღალ ტვირთს შეიძლება აკისრებ-დეს პირს, რომ მნიშვნელოვნად ამცირებდეს მის მსყიდველუნარიანობას და საგრძნობლად აუარესებდეს მის ხელთ არსებული რესურსებით სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ზემოხსენებული ნეგატიური შედეგების დიდი სიხშირის გამო, მხედველობაშია მისაღები ნორმის არა მხოლოდ ინდიდუალური, არამედ საზოგადოებრივი ეფექტი, ვინაიდან რიგ საჯარო ინტერესებს ექმნება საფრთხე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით სამართლიანად არის დადგენილი ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის გამცემ პირთა წრის შეზღუდვა არ ეწინააღმდეგება საკუთრების უფლებას.

თუმცა, გარკვეული კატეგორიის მოძრავი ნივთების, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებების გირავნობით უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე მხარემ ვერ დაასაბუთა დასახელებული ნივთების კრედიტორის ხელში გადასვლით მსესხლებლის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაზიანების გამოწვევის მაღალი ალბათობა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, სადავო ნორმით განსაზღვრული მოძრავი ნივთებით უზრუნველყოფილი საკრედიტო ვალდებულებების მასობრივად შეუსრულებლობის შემთხვევაში, ზიანი ვერ იქნებოდა იმ ხარისხის, რომ ფინანსური სტაბილურობის ინტერესი სერიოზული საფრთხის ქვეშ აღმოჩენილიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა არღვევს საკუთრების უფლებას.

გასულ წელს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო საკუთრების უფლებით დაცული ლეგიტიმური მოლოდინის ფარგლებთან მიმართებით.<sup>47</sup> კერძოდ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრების სარჩელი, რომელთაც სადავო ნორმის საფუძველზე 190 ლარის ოდენობით შეუმცირდათ ყოველთვიური სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მოსარჩელეთათვის დანიშნული კომპენსაცია საკუთრების კონსტიტუციური უფლებით დაცულ ინტერესად მიიჩნია, რადგან არსებობდა კანონის საფუძველზე არსებული ლეგიტიმური მოლოდინი მის მიღებასთან დაკავშირებით. სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა პენსია, რომელიც სახელმწიფოს მიერ გამოვლენილი კეთილი ნების ფარგლებში დადგენილი დამატებითი სოციალური და ეკონომიკური გარანტია და პენსია, რომელიც სახელმწიფოს სასარგებლოდ განხორცილებული ქმედების წინასწარგანსაზღვრული კომპენსირების მექანიზმია.

სასამართლომ მიუთითა, რომ რიგ საჯარო თანამდებობებთან მიმართებით, როგორიცაა ჯარისკაცი ან პოლიციელი, კომპენსაციის/პენსიის სტაბილურად მიღების გარანტია ამ მნიშვნელოვანი და სახიფათო თანამდებობის დაკავების წახალისებისთვის შესაძლოა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს, თუმცა მსგავსი საჭიროებები არ იკვეთება დეპუტატის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით. არაგონივრულია ვარაუდი, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების განხორციელების არსებით წინაპირობად,

<sup>47</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №3/4/648, 1315, 1369, 1370, 1371, 1372, 1373, 1374, 1375, 1379, 1385, 1386, 1388, 1391, 1397, 1398, 1405, 1406, 1407, 1411, 1413, 1414, 1415 გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან მესხი, ნესტან კირთაძე, თამაზ ბოლქვაძე და სხვები (სულ 50 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

პირი სამომავლოდ სოციალური დახმარების განსხვავებულ რეჟიმში მიღებას განიხილავდა და სხვა შემთხვევაში შეიძლება არც დათანხმებოდა პარლამენტის წევრობას. ამდენად, სადავო კანონით დანიშნული სახელმწიფო კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პოლიტიკის ფარგლებში, კეთილი ნების საფუძველზე შექმნილ სოციალურ გარანტიად იქნა მიჩნეული.

ამავდროულად, სასამართლომ ხაზი გაუსვა ეკონომიკური რესურსების განკარგვასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში კანონმდებლის განსაკუთრებით ფართო მიხედულების ფარგლებს. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმებით არ მომხდარა მოსარჩევეთა კომპენსაციის იმგვარი შემცირება, რომელიც მნიშვნელოვნად დააზარალებდა მათ ეკონომიკურ ინტერესებს. ამრიგად, სადავო ნორმები არ იქნა მიჩნეული საკუთრების უფლების საწინააღმდეგოდ.

### 3.2. ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოცვეული რიგი შეზღუდვების

პირობებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ეჭეპტური

ფუნქციონირებისთვის გადადგმული ნაკიჯვალი

2020 წელს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ პანდემია გამოაცხადა. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით საქართველოში არაერთი შეზღუდვა დაწესდა. ყოველივე მნიშვნელოვნად აისახა სამართალწარმოების კლასიური ფორმით განხორციელებლობის შესაძლებლობაზე იმდენად, რამდენადაც სასამართლოს სხდომის დარბაზში მხარეთა ფიზიკური შეკრება და ამ ფორმით საქმის ზეპირი განხილვის სხდომების ჩატარება ვირუსის გავრცელების რისკებს შეიცავს.

იმისთვის, რომ საფრთხე არ შექმნოდა ქვეყანაში კონსტიტუციური კონტროლის ეფექტურ განხორციელებას და, ამავე დროს, მაქსიმალურად ყოფილიყო დაზღვეული ახალი კორონავირუსის გავრცელების რისკი, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2020 წლის 7 დეკემბერს №127/1 დადგენილებით ცვლილება შეიტანა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტში, რომელსაც დაემატა  $20^1 - 20^6$  მუხლები. დასახელებული ნორმებით დამტკიცდა სასამართლოს სხდომის დისტანციურად ჩატარების წესი, მათ შორის, დისტანციურ სხდომათა ტექნიკური განხორციელების, მასში საქმის განხილვის მონაწილეთა ჩართულობის პროცედურა და სხვა რელევანტური საკითხები.

სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვის უზრუნველყოფასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ დისტანციურად ჩატარებული სხდომები, პირდაპირ ეთერის საშუალებით გადაიცემა საჯაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოს იუთუბ (youtube.com) არხის მეშვეობით. დისტანციურად ჩატარებული სხდომები ხელმისაწვდომია, როგორც მათი მიმდინარეობისას, ისე სხდომების დასრულების შემდგომ ნებისმიერი პირისთვის. სასამართლოს სხდომების ხელმისაწვდომობა უაღრესად მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო მართლმსაჯულების გამჭვირვალობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ფიზიკურად სხდომის დარბაზში პირთა შეკრება გახდა შეუძლებელი და იმავდროულად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი.

2020 წლის განმავლობაში გამოიკვეთა ელექტრონული საჯარო სერვისების განსაკუთრებული მნიშვნელობა. აღნიშვნია, რომ 2020 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ დანერგა საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა. პროექტი, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. საკონსტიტუციო სამართალწარმოების ელექტრონულმა სისტემამ შესაძლებელი გახდა სასამართლოს თანამშრომელთა დისტანციურ რეჟიმში საქმიანობის შეუფერხებლად და ეფექტურად წარმართვა. საქმის წარმოების სისტემამ

ასევე უზრუნველყო სამართალწარმოების მონაწილეთა შორის საქმის მასალების ელექტრონულად მიმოცვლა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობას, ისე ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციას.

### 3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა განლესება და სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა

2020 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში. 2020 წლის 15 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრ, ზაზა თავაძეს, რომელიც 2016 წლის ოქტომბრიდან იკავებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობას, ამოენურა უფლებამოსილების 10 წლიანი ვადა. სამოსამართლო საქმიანობის მანძილზე ზაზა თავაძე აქტიურად იყო ჩართული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განვითარებაში. მისი მონაწილეობით საკონსტიტუციო სასამართლოს მიღებული აქვს არაერთი გადაწყვეტილება, რომლითაც დამკვიდრდა ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი სტანდარტები, გაიზარდა თავად საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და მისი ავტორიტეტი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის პარალელურად, 2018-2019 წლებში ზაზა თავაძე თავმჯდომარეობდა აგრეთვე შავი ზღვის და ბალტიისპირეთის რეგიონების ქვეყნების კონსტიტუციური მართლმსაჯულების ასოციაციას. გარდა უშუალოდ სამოსამართლო საქმიანობისა, ზაზა თავაძე აქტიურად მონაწილეობდა საკონსტიტუციო სასამართლოს საგანმანათლებლო და აკადემიურ პროექტებში, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში, საჯარო ლექციებსა და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებში, მათ შორის, 2016-2017 წლებში იგი არჩეული იყო ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების კონფერენციის თავმჯდომარედ, ხოლო, 2018-2020 წლებში ხელმძღვანელობდა საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლის უურნალის სარედაქციო საბჭოს.

2020 წლის 25 ივნისს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენურმის მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მერაბ ტურავა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენურმის 2020 წლის 3 აპრილის №3/პლ დადგენილებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, მაია კოპალეიშვილის ნაცვლად დაინიშნა ხვიჩა კიკილაშვილი, რომელიც მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა ფიცის დადების დღიდან, 2020 წლის 8 აპრილიდან.

ხვიჩა კიკილაშვილი 2006-2020 წლებში ახორციელებდა მოსამართლის უფლებამოსილებას საერთო სასამართლოებში, კერძოდ: სიღნალის რაიონულ სასამართლოში (2006-2011 წწ.), ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (2011-2013 წწ. და 2017-2019 წწ.), ბათუმის საქალაქო სასამართლოში (2013-2016 წწ.), 2019 წლიდან კი მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. 1994-2006 წლებში იგი მუშაობდა პროკურატურაში სხვადასხვა პოზიციაზე. 1994 წელს მან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენურმის 2020 წლის 29 მაისის №28/პლ დადგენილებით კი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად, ზაზა თავაძის ნაცვლად დაინიშნა ვასილ როინიშვილი, რომლის ფიცის დადების ცერემონიაც გაიმართა 2020 წლის 17 ივნისს. 2020 წლის 25 ივნისს ვასილ როინიშვილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენურმის მიერ არჩეულ იქნა სასამართლოს თავმჯდომარის

მოადგილედ და პირველი კოლეგიის თავმჯდომარედ.

ვასილ როინიშვილი 2009 – 2020 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. მას აქვს სამართლის სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. სხვადასხვა დროს იკავებდა წამყვან პოზიციებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურაში.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება იწყება მის მიერ ფიცის დადების დღიდან.

## **4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება და გადაწყვეტილებებით დადგენილი სტანდარტების იმპლემენტაცია**

კონსტიტუციური კანონიერების განმტკიცებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების სრულყოფილად აღსრულებასა და გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების ეფექტურ იმპლემენტაციას. შესაბამისად, დოკუმენტის ამ ნაწილში განხილული იქნება 2020 წელს გამოვლენილი საკითხები, რომლებიც საყურადღებოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების თვალსაზრისით.

### **4.1. სადაცო ნორმის ძალადაცარგულად ცნობის გადავადება**

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა ხელისუფლების ნების-მიერი შტოსათვის. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ თვითაღსრულებადია, ნორმა ძალას კარგავს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან და არ საჭიროებს სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, დამატებით, საიმპლემენტაციო ლონისძიებების გატარებას.

ამასთანავე, ცალკეულ შემთხვევებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად ცნობამ შესაძლებელია, გამოიწვიოს მნიშვნელოვანი კერძო და საჯარო ინტერესების დაზიანება. ასეთ შემთხვევებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სადაცო ნორმატიულ აქტს ძალადაკარგულად ცნობს არა გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, არამედ გადაწყვეტილებით განსაზღვრული კონკრეტული, უფრო გვიანდელი თარიღიდან. სადაცო ნორმის ძალადაკარგულად ცნობის გადავადების მექანიზმის მიზანია, რეგულირების გარეშე არ დარჩეს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ სამართლებრივ მოწესრიგებას. ასეთ შემთხვევებში აუცილებელი ხდება არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის მიმღები ორგანოს აქტიური მოქმედება, რათა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და არაკონსტიტუციური ნორმების ძალადაკარგულად ცნობის შედეგად არ დაზიანდეს შესაბამისი კერძო და საჯარო ინტერესები.

2019 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციური ნორმის ძალადაკარგულად ცნობა გადავადა 2020 წლის სხვადასხვა პერიოდისათვის 2 გადაწყვეტილებასა და 2 განმწერიგებელი სხდომის განჩინებაში, რომლითაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების იდენტური შინაარსის ნორმები („დამძლევი ნორმები“) ძალადაკარგულად იქნა ცნობილი მათი არსებითად განსაზღვრულად მიღების გარეშე. ამასთან, 2020 წელს სასამართლოს მიერ გამოტანილ 2 გადაწყვეტილებაში იქნა გამოყენებული არაკონსტიტუციური ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადების თარიღის გადავადების მექანიზმი, რომლებზეც შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისთვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა ჯერ არ არის ამონურული.

#### **4.1.1. საქმეები, რომლებზეც საკანონმდებლო ცვლილებები არ მიღებულა**

ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის №1/1/655 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს სკს“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2019 წლის 18 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე შპს „სკს“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩევლი №655). სასამართლომ მენარმეობის თავისუფლებასთან შეუსაბამოდ მიიჩნია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომლის მიხედვითაც, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე არ ვრცელდებოდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

სასამართლომ დაადგინა, რომ სადაც რეგულირება შპს „საქართველოს ფოსტას“ უპირატეს საბაზრო მდგომარეობაში აყენებდა სხვა ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობა (ა) მკაფიოდ არ განსაზღვრავდა შპს „საქართველოს ფოსტისათვის“ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად განევის ვალდებულებას, (ბ) არ ადგენდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად განევის ეკონომიკური ხარჯების გამოთვლის გამჭვირვალე და ობიექტურ პარამეტრებს და (გ) არ არსებობდა შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ შეღავათის მინიჭების იმგვარი წესი, რომელიც გამორიცხავდა მისთვის იმაზე მეტი სარგებლის მინიჭების შესაძლებლობას, ვიდრე შესაბამისი ეკონომიკური ხარჯების და გონივრული მოგების ასანაზღაურებლად იქნებოდა საჭირო. შედეგად, სადაც ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

სადაც ნორმის ძალადაკარგულად ცნობა გადავადდა 2020 წლის პირველ მაისამდე, რათა საფრთხე არ შექმნოდა შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საფოსტო და საკურიერო მომსახურების ხელმისაწვდომ ფასად უზრუნველყოფის პროცესს და მას უარყოფითი ზეგავლენა არ მოეხდინა საფოსტო და საკურიერო მომსახურების მიმღები სუბიექტების ინტერესებზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის მიუხედავად, კანონმდებლობაში არ განხორციელებულა შესაბამისი ცვლილებები. საკითხის ახლებურად მოუწესრიგებლობა შესაძლოა ასევე აღქმული იქნეს იმგვარად, რომ საქართველოს პარლამენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია ხსენებულ სამართალურთიერთობაზე „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების გავრცელება.

ბ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩევები №693 და №857) და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები<sup>48</sup>, რომლებიც ზღუდავდა პერსონალური მონა-

<sup>48</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) 28-ე მუხლის პირველი ნაწილის, 44-ე მუხლის პირველი ნაწილის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების ის ნორმატული

ცემის შემცველი საჯარო ინფორმაციის გაცემას, ხოლო თუ ამგვარი მონაცემი მიეკუთვნებოდა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს, სრულად იყო აკრძალული მისი გასაჯაროება ან/და მესამე პირისთვის გადაცემა მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, არსებული სისტემის ფარგლებში სასამართლოს გადაწყვეტილების სრული ტექსტის მოპოვება ფაქტობრივად შეუძლებელი ხდებოდა, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც პერსონალური მონაცემების სუბიექტებს არ გააჩნიათ პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესი. გარდა ამისა, პერსონალური მონაცემების სუბიექტის თანხმობის არარსებობის შემთხვევაშიც, ერთმანეთს უპირისპირდებოდა კონსტიტუციით დაცული ორი უფლება, რომელთა შორის ბალანსს სადაც რეგულირება თითქმის უპირობოდ წყვეტდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სასარგებლოდ. სასამართლოს განმარტებით, პერსონალური მონაცემების სასარგებლოდ დადგენილი პირველადი ბალანსი არ არის თავსებადი საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ლირებულებათა წესრიგთან.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადაც ნორმების დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში აღარ იარსებებდა, პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სასამართლოს აქტების საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი, რის გამოც, შესაძლებელია დარღვეულიყო პირადი ცხოვრების უფლება. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ 2020 წლის პირველ მაისამდე გადაავადა სადაც ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადება. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის განსაზღვრული ვადა ამოინურა, თუმცა საქართველოს პარლამენტს ამ შემთხვევაშიც არ განუხორციელებია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

გ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ძონენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

2018 წლის 7 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ძონენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №765) და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშევბდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით<sup>49</sup> გათვალისწინებული საფუძვლით გაუქმების შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადაც ნორმით დადგენილი წესით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო შეტანილი განცხადების საფუძვლიანობის შემთხვევაში, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, სრულად უქმდებოდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ახლად აღმოჩენილი მტკიცებულებები და გარემოებები შეიძლება მიუთითებდეს არა გადაწყვეტილებით დამდგარი სამართლებრივი შედეგების სრული გაუქმების, არამედ მხოლოდ მისი

შინაარსი, რომელიც გამორიცხავს ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

<sup>49</sup> მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ნაწილის რევიზიის აუცილებლობაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ უფლების ნაკლებად მზღვდავ საშუალებად ჩაითვლებოდა გადაწყვეტილების გადახედვის წესი, რომელიც მოსამართლეს მისცემდა შესაძლებლობას, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, მხარეთა ინტერესების დაბალანსების გზით, გადაეწყვიტა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების ფარგლები.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის სადავო ნორმატიული შინაარსის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის მიერ საკითხის მოწესრიგებამდე შესაძლოა, აღარ არსებულიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების სამართლებრივი წინაპირობა. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, რიგ შემთხვევებში, სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნა იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე გაუქმებას შესაძლოა გამოწვია ცალკეული პირების სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა გადავადდა 2019 წლის 30 აპრილამდე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქართველოს პარლამენტისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტს 2020 წელსაც არ განუხორციელებია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები. საქართველოს პარლამენტის უმოქმედობა ისეთ შემთხვევაში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებაშივე ექსპლიციტურად მიუთითებს, რომ ამგვარმა უმოქმედობამ, შესაძლოა, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა გამოიწვიოს, განსაკუთრებით პრობლემურად უნდა ჩაითვალოს.

#### **4.1.2. საქმეები, რომელი შეც საკანონმდებლო ცვლილებები მიღებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ**

ქვემოთ განხილულ შემთხვევაში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>50</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 19 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი №779) და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმები,<sup>50</sup> რომელთა შესაბამისადაც, ზოგიერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე

<sup>50</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადების სიტყვები „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ და მე-2 წინადადების სიტყვები „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“; ამავე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის სიტყვები „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ და „დ“ ქვეპუნქტის სიტყვები „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო საბოლოო და არ საჩივრდებოდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადაც ნორმების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოში დავის შესაძლებლობა გამოირიცხებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ხდებოდა პასუხისმგებლობის დაკისრება მძიმე სამართალდარღვევისათვის, მათ შორის, ისეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომლებზეც სახდელის სახით, სხვა სანქციებთან ერთად, გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული პატიმრობა. სასამართლოს დადგენილი სტანდარტის მიხედვით, პირს, რომლის პასუხისმგებლობაც დგება მძიმე სამართალდარღვევის ჩადენისათვის, უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა, იმის მიუხედავად, იქნა თუ არა გამოყენებული მის მიმართ მძიმე სანქცია. საკონსტიტუციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა ასევე არაკონსტიტუციურად მიიჩნია ნებისმიერი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, სადაც არაერთგვაროვანია სასამართლოების პრაქტიკა. სასამართლოს შეფასებით, გასაჩივრების დაუშვებლობა იმ პირობებში, როდესაც ერთი ინსტანციის სასამართლოები ნორმებს განსხვავებულად განმარტავენ, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის სამართლებრივ უსაფრთხოებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადაც ნორმები ემსახურებოდა სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ მიზანს. სადაც ნორმების დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად გამოცხადებას შესაძლოა გამოეწვია სააპელაციო სასამართლოების გადატვირთვა. შესაბამისად, სადაც ნორმების ძალადაკარგულად ცნობა გადავადდა 2019 წლის 31 მარტამდე.

საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 22 მაისს მიიღო საქართველოს კანონი №5927-სს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე განისაზღვრა სააპელაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები. დასახელებული საკანონმდებლო ცვლილება ძალაში შევიდა 2020 წლის 28 მაისს. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის (2019 წლის 31 მარტი) ამონურვის შემდგომ.

#### **4.1.3. საქმეები, რომლებზეც უფლებამოსილმა ორგანოებმა საკითხი მოაწესრიგეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში და საქმეები, რომლებზეც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ ამონურულა**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადაც ნორმების ძალადაკარგულად ცნობა 2019 წელს გადაავადა 2 განჩინებაში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის №2/12/1237 განჩინება საქმეზე „ვასილ საგანელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/16/1346 განჩინება საქმეზე „გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“), სადაც უფლებამოსილმა ორგანოებმა განსაზღვრულ ვადაში მიიღეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ 2020 წელს მიღებული 2 გადაწყვეტილებით გადაავადა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების ძალადაკარგულად ცნობა. აღნიშნული აქტებით გათვალისწინებული ვადა ამ დროისთვის გასული არ არის. ეს აქტებია:

ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქეშურია საქართველოს პარლამენტის

წინააღმდეგ“ - სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა გადავადებულია 2021 წლის პირველ ივლისამდე;

ბ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/4/1412 გადაწყვეტილება საქმეზე „ირაკლი ჯუღელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ - სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა გადავადებულია 2021 წლის პირველ ივნისამდე.

ზოგადად მნიშვნელოვანია, რომ უფლებამოსილმა ორგანოებმა მაქსიმალური ძალისხმევა გასწიონ, რათა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, ნორმების ძალადაკარგულად გამოცხადებამდე, მიღებულ იქნეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და თავიდან იქნეს აცილებული მნიშვნელოვანი კერძო და საჯარო ინტერესების დაზიანება.

## **5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის საქმიანობის სტატისტიკური მიმოხილვა**


საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ძირითადი მახასიათებლებისა და ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა სტატისტიკური ინფორმაცია. ქვემოთ გრაფიკული ფორმით არის წარმოდგენილი საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის სტატისტიკის შემაჯამებელი მონაცემები, რომლებიც ასახავს სასამართლოს მიერ ამ წელს განხევული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

**„საქმე“, „სარჩელი“ და „აქტი“** - სტატისტიკის გარკვეული ნაწილი შეეხება დასრულებულ სარჩელებს და დასრულებულ საქმეებს. საკონსტიტუციო სამართალწარმოებისას სხვადასხვა კონსტიტუციური სარჩელი შეიძლება გაერთიანდეს ერთ საქმედ. სხვაგვარად, „საქმე“ შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე კონსტიტუციური სარჩელისგან. საკონსტიტუციო სასამართლო აქტი მიემართება სასამართლოს მიერ მიღებულ ყველა ტიპის აქტს - საოქმო ჩანაწერს, განჩინებასა და გადაწყვეტილებას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.


**„დამძლევი განჩინება“** - გრაფიკული გამოსახულება, რომელშიც გამოყენებულია ტერმინი „დამძლევი“, გულისხმობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ემუხლის 4<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას. კერძოდ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგინა, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავდა იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად და გამოიტანა განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

**კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის საფუძვლები** - N7 გრაფის აღწერისას, გამოყენებული ეს ტერმინი მიუთითებს სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საფუძვლებზე. ხოლო ტერმინი „სარჩელის/წარდგინების დაუსაბუთებლობა“ მიუთითებს ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველზე.


**1. 2020 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების რაოდენობა**




**2. 2011-2020 წლებში რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელებისა და წარდგინებების რაოდენობა**




**3. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2020 წელს მიღებული აქტები პლენუმისა და კოლეგიების მიხედვით**




**4. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა და მათი შემაჯამებელი აქტები**




**5. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2020 წელს მიღებული გადაწყვეტილებების შედეგები კოლეგიების/პლენუმი მიხედვით**




**6. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული საოქმო ჩანაწერების შედეგები კოლეგიების/პლენუმის მიხედვით**




**7. საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობის საფუძვლები საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერებსა და განჩინებებში**



**8. მოსარჩელის მიერ მითითებული კონსტიტუციური დებულებები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2020 წელს მიღებულ აქტებში**



**9. სადავო ნორმატიული აქტები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2020 წელს  
მიღებულ აქტებში**



**10. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა მიერ გამოთქმულ განსხვავებულ და თან-  
მხვედრ აზრთა რაოდენობა**

